



5-6

~~6.18.9.19.9.2.9.3~~

6360 32580  
1 9 3 6

# ՔՅԵԼԱ ԹԱՐԱՎԱ

ՏԱՐԱԿՈՎԱՅՐՈՎ ՏԱՑՈՒՄՈՒ ԹՅՈՒՆՈՒՑՈՒ  
ԿԱՑՈՒԽՈՎ ՌԱԴՈ ԶՈՒՆԱԾՈ

5-6

1 9 3 6  
6807060



## შ 0 6 ა ა რ ს 0

ამხანაგ ი. ბ. ხტალიძეს მოხხენება ხ ხ რ კავშირის კონსტიტუციის	
პროექტის შეხახებ . . . . .	3
ლ. ბერია - მგზნებარე მებრძოლი . . . . .	31
ს. მ. კიროვი - ჩევნი პარტია მაგარია, როგორც სალი კლდვ	36

### მჩატვის ული ლიტერატურა

მირზა გელოვანი — ცხენის ტირილი . . . . .	39
ხევერიან ისიანი — გარბენის გმირს . . . . .	41
შალვა ამისულაშვილი — აპრილის ლამე კახეთში . . . . .	43
ვლ დიმერ უბილავა — როველი და მებაღე . . . . .	45
შიხეილ ფოფხაძე — ძაბული . . . . .	46
გრიგოლ აროსია — ჩონგური . . . . .	48

### პროზა:

ა. ჩენენელი — „შეიდი კაცის პოლიტიკა“ . . . . .	49
--	----

### კლასიკური მემკვიდრეობა

ალიფიერი დანტე — სალხინებელი. ქება პირელი, თარგმანი	
კ. გაასახურდიასი . . . . .	56

### პრიტიკა

ვ. წულუკიძე — ნიკოლოს ოსტროვსკი . . . . .	61
ბ. ბუაჩიძე — ხალხურობის საკათხი საბჭოთა მწერლობაში . . . . .	65



0. ६०१३०६०

# ქართველი ი. გ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს მ რ ხ ს ე ნ ე ბ ბ

ს ა ბ ჭ ი ლ ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ - ს ა კ ა ზ ი რ ი ს  
ს ა გ ა ნ ე ვ ე ბ ი ს VIII პ რ ი ლ ი რ ა ზ ე

## ს ს რ კ ა ვ ი შ ი რ ი ს კ ო ნ ე ტ ი ტ უ ც ი ი ს პ რ ი ლ ე ბ ი ს უ ს ა ს ა ვ ე ბ

(ამხანავ ს ტ ა ლ ი ნ ი ს გ ა მ ი ჩ ე ნ ა ს ტ რ ი ბ უ-  
ნ ა ზ ე მ თ ე ლ ი დ ა რ ბ ა ზ ი ხ ა ნ გ ჩ ა ძ ლ ი ვ ი მ ქ უ ხ ა რ ე ლ ვ ა ც ი ი თ  
ხ ფ დ ე ბ ა . მ თ ე ლ ი დ ა რ ბ ა ზ ი ფ ე ხ ტ ე ლ ე ბ ა . ყ ა ვ ე ლ ი მ ხ რ ი-  
ლ ა ნ გ ა ვ ი ს მ ხ ი ლ ი : „ ვ ა მ ა ა მ ხ ა ნ ა გ ს ტ ა ლ ი ნ ს ! “ „ გ ა უ-  
მ ა რ ჯ ლ ი ა მ ხ ა ნ ა გ ს ტ ა ლ ი ნ ს ! “ „ გ ა უ მ ა რ ჯ ლ ი ლ ი დ ი დ ს ტ ა-  
ლ ი ნ ს ! “ „ დ ი დ გ ე ნ ი მ ს ა მ ხ ა ნ ა გ ს ტ ა ლ ი ნ ს ვ ა ზ ა ! “  
„ ვ ი ვ ა ტ ! “ „ რ ა ტ ფ რ ი ნ ტ ! “ „ ა მ ხ ა ნ ა გ ს ტ ა ლ ი ნ ს დ ი-  
დ ე ბ ა ! “ ) :

## ს ა კ ო ნ ე ტ ი ტ უ ც ი ი ს კ ო ნ ე ს ი ი ს უ ს ა ს ა ვ ე ბ ი დ ა მ ი ს ი ა მ ა რ უ ც ი მ ი ს

ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ი !

ს ა კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ი კ ო მ ი ს ი ა , რ ო მ ლ ი ს პ რ ი ლ ე ტ ი გ ა ნ ს ა ხ ი ლ ვ ე ლ ა დ წ ა რ ე დ ე გ ი ნ ა  
ა მ ყ რ ი ლ ი მ ბ ა ს , რ ო გ ო რ ც ვ ი ც ი თ , შ ე ქ მ ნ ი ლ ი ი ყ ო ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს ს ა ბ ჭ ი რ ე ბ ი ს VII  
ყ რ ი ლ ი მ ბ ა ს ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ი თ . ე ს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა მ ი ლ ე ბ უ ლ ი ქ ნ ა 1935  
წ ლ ი ს 6 . ო ტ ე ბ რ ე ვ ა ლ ს . ი ქ ნ ა თ ქ ვ მ ი ა :

„ 1 . შ ე ტ ა ნ ი ლ ი ქ ნ ა ს ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა შ ი ც უ ლ ი ლ ე ბ ა ნ ი შ ე მ დ ე გ ი  
მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ :

ა) მ ო ხ დ ე ს ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ა ს ი ს ტ ე მ ი ს შ ე მ დ გ მ ი დ ე მ ი კ რ ა ტ ი ზ ა ც ი ა ი მ მ ხ რ ი ვ ,  
რ ო მ ა რ ა ს ა ვ ს ე ბ ი თ თ ა ნ ა ს წ ი რ ი ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი შ ე ი ც ვ ა ლ ი ს თ ა ნ ა ს წ ი რ ი თ , მ რ ა ვ ა ლ-  
ს ა ფ ე ხ უ რ ი ა ნ ი — პ ი რ დ ა პ ი რ ი თ , ა შ კ ა რ ა — ფ ა რ უ ლ ი თ .

ბ) დ ა ზ უ ს ტ დ ე ს კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ი ს ს ო ც ი ა ლ უ რ - ე კ ო ნ მ ი უ რ ი ს ა ფ უ ძ ე ვ ე ლ ი ი მ  
მ ხ რ ი ვ , რ ო მ კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა შ ე ს ა ბ ა მ ი ს კ ლ ა ს მ ბ რ ი ვ ძ ა ლ თ ა ხ ლ ა ნ დ ე ლ თ ა ნ ა ფ ა რ-  
დ ი მ ბ ა ს ს ს რ კ ა ვ შ ი რ შ ი (ა ხ ა ლ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ი ნ დ უ ს ტ რ ი ი ს შ ე ქ მ ნ ა , კ უ ლ ა კ ო მ ბ ი ს  
გ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ ა , ს ა კ ო ლ მ ე უ რ ნ ე მ წ ყ უ ბ ი ლ ე ბ ი ს გ ა მ ი რ ჯ ვ ე ბ ა , ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა კ უ თ-  
რ ე ბ ი ს , რ ो გ ო რ ც ს ა ბ ჭ ი რ თ ა ს ა ზ ი გ ა დ ლ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ე ლ ი ს , დ ა მ კ ვ ი დ რ ე ბ ა დ ა ა . შ . ) .

2. წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა მ ი ე ც ე ს ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ა ლ მ ა ს რ უ ლ ე ბ ე ლ კ ო მ ი-  
ტ ე ც ე ს ა ი რ ჩ ი ი ს ს ა კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ი კ ო მ ი ს ი ა , რ ო მ ე ლ ს ა ც დ ა ე ვ ა ლ ი ს კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ი ს  
შ ე ს წ ი რ ე ბ უ ლ ი ტ ე ქ ს ტ ი ს შ ე მ უ შ ა ვ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ პ უ ნ ქ ტ შ ი ა ლ ნ ი შ ნ უ ლ ს ა ფ უ ძ ე ლ ე ბ ზ ე  
დ ა მ ი ს ი წ ა რ დ ე ვ ნ ა ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს ც ა კ ი ს ს ე ს ი ა ზ ე დ ა ს ა მ ტ ე ი ც ე ბ ლ ა დ .

3. საბჭოთა ხელისუფლებას ორგანოების უახლოესი მორიგი არჩევნები სსრ კავშირში ჩატარდეს ახალი საარჩევნო სისტემის საფუძველზე“.

ეს იყო 1935 წლის ექვს თებერვალს. ამ დადგენილების მიღებიდან ერთი დღის შემდეგ, ე. ი. 1935 წლის შვიდ თებერვალს, შეიკრიბა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სესია და სსრ კავშირის საბჭოების VII ყრილობის დადგენილების შესასრულებლად შექმნა საკონსტიტუციო კომისია 31 კაცის რაოდენობით. მან საკონსტიტუციო კომისიას დაავალა სსრ კავშირის შესწორებული კონსტიტუციის პროექტის შემუშავება.

ასეთია ფორმალური საფუძვლები და სსრ კავშირის უზენაესი ორგანოს დირექტივები, რომელთა ბაზაზე უნდა გაეშალა თავისი მუშაობა საკონსტიტუციო კომისიას.

ამრიგად საკონსტიტუციო კომისიას უნდა შეეტანა ცვლილებანი ამჟამად მომქმედ კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულია 1924 წელს, და ამასთან გაეთვალისწინებინა ის ძვრანი სსრ კავშირის ცხოვრებაში სოციალიზმის მიმართულებით, რომელიც განხორციელდნენ 1924 წლიდან დღევანდლაშე განვლილ პერიოდში.

## II

### ცვლილებაში სსრ კავშირის ცხოვრებაში 1924 წლიდან 1936 წლამდე განვითარების პერიოდში

როგორია ის ცვლილებანი სსრ კავშირის ცხოვრებაში, რომელიც განხორციელდნენ 1924 წლიდან 1936 წლამდე განვითარების პერიოდში და რომელიც უნდა აესახა საკონსტიტუციო კომისიას თავის კონსტიტუციის პროექტში?

რაშია ამ ცვლილებათა არსება?

რა გვქონდა ჩვენ 1924 წელს?

ეს იყო ნეპ-ის პირველი პერიოდი, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ დაუშვა კაპიტალიზმის ერთგანი გამოცოცხლება. სოციალიზმის ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად, როცა ის ითვალისწინებდა, რომ მეურნეობის ორი სისტემის, კაპიტალისტური და სოციალისტური სასტემების, შეჯიბრების მსვლელობაში შექმნა სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის შიმართ. ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ამ შეჯიბრების მსვლელობაში გაგვეტკიცებინა სოციალიზმის პოზიციები, მიგველწია კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის და დაგვემთვრებინა სოციალისტური სისტემის, როგორც სახალხო მეურნეობის ძირითადი სისტემის, გამარჯვება.

ჩვენი მრეწველობა მაშინ წარმოადგენდა არასახარბიცელო სურათს, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობა. მართალია, ხდებოდა მისი თანდათანობითი აღდგენა, მაგრამ მას ჯერ კიდევ სრულიადაც ვერ მიეღწია თავისი პროდუქციის ომამდელ დონემდე. იგი ემყარებოდა ძველ ჩამორჩენილ და არამდიდარ ტექნიკას. რა თქმა უნდა, იგი ვითარდებოდა სოციალიზმის მიმართულებით. ჩვენი მრეწველობის სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა მაშინ შეადგენდა დაახლოებით 80 პროცენტს. მაგრამ კაპიტალიზმის სექტორს მაინც ჰქონდა მრეწველობის არანაკლებ 20 პროცენტისა.

ჩვენი სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო არასახარბიელო სურათს წარმოადგენდა. მართალია, მემამულეთა კლასი უკვე ლიკვიდირებული იყო, მაგრამ სამაგიეროდ სასოფლო-სამეურნეო კაპიტალისტების კლასი, კულაკების კლასი, ჯერ კიდევ საქმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. მთლიანად სოფლის მეურნეობა მაშინ მოგვაგონებდა წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა თვალუწვდენ ოკეანეს თავიანთი ჩამორჩენილი შუასაუკუნოებრივი ტექნიკით. ამ ოკეანეში ცალკეული წერტილებისა და პატარა კუნძულების სახით არსებობდნენ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, რომელთაც, კაცმა რომ სთქვას, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ცოტად თუ ბევრად სერიოზული მნიშვნელობა ჩვენს სახალხო მეურნეობაში. კოლმეურნეობანი. და საბჭოთა მეურნეობანი სუსტი იყვნენ, ხოლო კულაკი ჯერ კიდევ ძალაში იყო. ჩვენ მაშინ ვლაპარაკობდით კულაკობის არა ლიკვიდაციაზე, არამედ მის შეზღვაზე.

იგივე უნდა ითქვას. საქონელბრუნვაზე ჩვენს ქვეყანაში. სოციალისტური სექტორი საქონელბრუნვაში შეადგენდა რაღაც 50-60 პროცენტს,—არა მეტს, ხოლო მთელი დანარჩენი არე ეკავათ ვაჭრებს, სპეცუალურებს და სხვა კერძოებს.

ასეთი იყო ჩვენი ეკონომიკის სურათი 1924 წელს.

რა გვაქვს ჩვენ ახლა, 1936 წელს?

თუ ჩვენ მაშინ გვქონდა ნეპ-ის პირველი პერიოდი, ნეპ-ის დასაწყისი, კაპიტალიზმის ერთგვარი გამოცემულების პერიოდი, ახლა ჩვენ გვაქვს ნეპ-ის უკანასკნელი პერიოდი, ნეპ-ის დასასრული, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში კაპიტალიზმის სრული ლიკვიდაციის პერიოდი.

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ ამ პერიოდში ჩვენი მრეწველობა გიგანტურ ძალად გაიზარდა. ახლა უკვე არ შეიძლება ვუწოდოთ მას სუსტი და ტექნიკურად ცულად შექურვილი. პირიქით, ახლა იგი ემყარება ახალ, მდიდარ თან ამედროვე ტექნიკას ძლიერ განვითარებული მძიმე ინდუსტრიით და კიდევ უფრო მეტად განვითარებული მანქანათმშენებლობით. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ კაპიტალიზმი სრულიად განდევნილია ჩვენი მრეწველობის სუეროდან, ხოლო წარმოების სოციალისტური ფორმა ახლა წარმოადგენს განუყოფლად გაბატონებულ სისტემას ჩვენი მრეწველობის დარგში. წვრილმანად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი. რომ ჩვენი ახლანდელი სოციალისტური ინდუსტრია პროდუქციის მოცულობის თვალსაზრისით შვიდჯერ და კიდევ უფრო მეტად სჭარბობს ომამდელი დროის ინდუსტრიას.

სოფლის მეურნეობის დარგში ნაცვლად წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა იკანისა, მათი სუსტი ტექნიკით და კულაკის ძალა-გავლენით, ახლა ჩვენ გვაქვს მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მაშინიშებული, ახალი ტექნიკით შეიარაღებული წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოვლის შემცველი სისტემის სახით. ყველასათვის ცნობილია, რომ კულაკობა სოფლის მეურნეობაში ლიკვიდირებულია, ხოლო წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა სექტორს, თავისი ჩამორჩენილი შუასაუკუნოებრივი ტექნიკით, ახლა უმნიშვნელო ადგილი უჭირავს; ამასთან მისი ხვედრითი წონა სოფლის

შეურნეობაში სათესი ფართობების ოდენობის მზრივ შეაღენს არაუმეტეს 2-3 პროცენტისა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ახლა კოლმეურნეობებს თავიანთ განკარგულებაში აქვთ 316 ათასი ტრაქტორი 5.700 ათასი ტრენისძიებისალის სიმძლავრით, ხოლო საბჭოთა მეურნეობებთან ერთად აქვთ 400 ათასზე მეტი ტრაქტორი 7.580 ათასი ტრენისძიების სიმძლავრით.

რაც შეეხება საქონელბრუნვას ჩვენს ქვეყანაში, ვაჭრები და სპეცულანტები სრულიად განდევნილი არიან ამ დარგიდან. ახლა მთელი საქონელბრუნვა სახელმწიფოს, კომპერაციისა და კოლმეურნეობების ხელში იმყოფება. წარმოიშვა და განვითარდა ახალი, საბჭოთა ვაჭრობა, ვაჭრობა უსპექულანტებოდ, ვაჭრობა უკაპიტალისტებოდ.

ამგვარად, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სოციალისტური სისტემის სრული გამარჯვება ახლა ფაქტს წარმოადგენს.

ხოლო ეს რას ნიშნავს?

ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია მოსპობილია, ლიკვიდირებულია, ხოლო საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება დამკვიდრებულია, როგორც ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ურყევი საფუძველი. (ხანგრძლივი ტაში).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დარგში ყველა ამ ცვლილების შედეგად ჩვენ ახლა გვაქვს ახალი, სოციალისტური ეკონომიკა, რომელმაც არ იცის კრიზისები და უმუშევრობა, არ იცის სიღატაკე და გაჩანაგება და რომელიც აძლევს მოქალაქეებს ყოველგვარ საშუალებას შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის.

ასეთია ძირითადად ის ცვლილებანი, რომლებიც მოხდა ჩვენი ეკონომიკის დარგში 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში.

სსრ კავშირის ეკონომიკის დარგში მომხდარ ამ ცვლილებათა შესაბამისად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურაც.

მეშამულეთა კლასი, როგორც ცნობილია, უკვე ლიკვიდირებული იყო. სამოქალაქო ობის ძლევამოსილად დამთავრების შედეგად. რაც შეეხება სხვა ექსპლოატატორულ კლასებს, მათ მემამულეთა კლასის ბედი გაიზიარეს. აღარ არის კაპიტალისტთა კლასი მჩერწველობის დარგში. აღარ არის კულაქების კლასი სოფლის მეურნეობის დარგში. აღარ არიან ვაჭრები და სპეცულანტები საქონელბრუნვის დარგში. ამგვარად, ყველა ექსპლოატატორული კლასი ლიტვიდირებული აღმოჩნდა.

დარჩა მუშათა კლასი.

დარჩა გლეხთა კლასი.

დარჩა ინტელიგენცია.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამ სოციალურ ჯგუფებს ამ ხნის განმავლობაში არავითარი ცვლილება არ განეცადოთ, თითქოს ისინი დარჩენილიყვნენ ისეთებადვე, როგორიც ისინი, ვთქვათ, კაპიტალიზმის პერიოდში იყვნენ.

ავიღოთ, მაგალითად, სსრ კავშირის მუშათა კლასი. მას ძევლი ჩვეულების მიხედვით წმირად პროლეტარიატს უწოდებენ. მაგრამ რა არის პროლეტარია-

პრიზ პროლეტარიატი არის კლასი, მოკლებული საწარმოო იარაღებსა და საშუალებებს მეურნეობის ისეთი სისტემის დროს, როდესაც საწარმოო იარაღები და საშუალებანი კაპიტალისტებს ეკუთვნით და როგორც კაპიტალისტთა კლასი ეწევა პროლეტარიატის ექსპლოატაციას. პროლეტარიატი—ეს არის კაპიტალისტების მიერ ექსპლოატირებული კლასი. მაგრამ ჩვენში კაპიტალისტთა კლასი, როგორც ცნობილია, უკვე ლიკვიდირებულია, საწარმოო იარაღები და საშუალებანი ჩამოერთვა კაპიტალისტებს და გადაეცა სახელმწიფოს, რომლის ხელმძღვანელ ძალას მუშათა კლასი წარმოადგენს. მაშასადამე, აღარ არის კაპიტალისტთა კლასი, რომელსაც შეეძლოს ექსპლოატაცია გაუწიოს მუშათა კლასს. მაშასადამე, ჩვენი მუშათა კლასი არა თუ მოკლებული არ არის საწარმოო იარაღებსა და საშუალებებს, არამედ, პირიქით, იგი მათ ჰყლობს მთელ ხალხთან ერთად. რაკი იგი მათ ჰყლობს, ხოლო კაპიტალისტთა კლასი ლიკვიდირებულია,— გამორიცხულია მუშათა კლასის ექსპლოატაციის ყოველგვარი შესაძლებლობა. შეიძლება თუ არა ამის შემდეგ ჩვენს მუშათა კლასს პროლეტარიატი ეწოდოს? ცხადია, არ შეიძლება. მარქსი ამბობდა: იმისათვის, რომ პროლეტარიატმა თავი გაინთავისუფლოს, ჩან უნდა გაანადგუროს კაპიტალისტთა კლასი, ჩამოართვას კაპიტალისტებს საწარმოო იარაღები და საშუალებანი და მოსპოს წარმოების ის პირობები, რომლებიც პროლეტარიატს წარმოშობენ. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ სსრ კავშირის მუშათა კლასმა უკვე განახორციელა თავისი განთავისუფლების ეს პირობები? უსათუოდ შეიძლება და უნდა ითქვას. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატი გადაიქცა სრულიად ახალ კლასად, სსრ კავშირის მუშათა კლასად, რომელმაც მოსპოს მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა, დაამკიდრა საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება და საბჭოთა საზოგადოებს კომუნიზმის გზით წარმართავს.

როგორც ხედავთ, სსრ კავშირის მუშათა კლასი—ეს სრულიად ახალი, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული, მუშათა კლასია, რომლის მსგავსი ჭარბობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სცრდნია.

გადავიდეთ გლეხობის საკითხზე. ჩვეულებრივ ამბობენ, რომ გლეხობა—ეს წვრილ წარმოებელთა ისეთი კლასია, რომლის წევრნი ატომიზებული, მთელ ქვეყანაში გაბნეული არიან, ცალკალტე ცოდვილობენ თავიანთ წვრილ მეურნეობებში თავიანთი ჩამორჩენილი ტექნიკით, წარმოადგენნ კერძო საკუთრების მონებს და მათ დაუსჯელად უწევენ ექსპლოატაციას მემამულენი, კულაკები, ვაჭრები, სპეცულანტები, ბევრებენი და მათი მსგავსი. და მართლაც, გლეხობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, თუ მხედველობაში მის ძირითად მასას მიკილებთ, სწორედ ასეთ კლასს წარმოადგენს. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენი თანამედროვე გლეხობა, საბჭოთა გლეხობა, თავისი მასით ამგვარ გლეხობას წააგავს? არა, ამის ოქმა არ შეიძლება. ასეთი გლეხობა ჩვენში უკვე აღარ არის. ჩვენი საბჭოთა გლეხობა სრულიად ახალ გლეხობას წარმოადგენს, ჩვენში აღარ არიან მემამულები და კულაკები, ვაჭრები და მევახშეები, რომელთაც შეეძლოთ გლეხთა ექსპლოატირება. მაშასადამე, ჩვენი გლეხობა არის ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული გლეხობა. შემდეგ, ჩვენი საბჭოთა გლეხობა თავისი უდი-

დესი უმრავლესობით არის კოლმეურნე გლეხობა, ე. ი. იგი თავის მუშაობას და თავის დოვლათს ამყარებს არა ერთპიროვნულ შრომასა და ჩამორჩენილ ტექნიკაზე, არამედ კოლექტიურ შრომასა და თანამედროვე ტექნიკაზე. ბოლომ, ჩვენი გლეხობის მუშაობას საფუძვლად უდევს არა კერძო საკუთრება, არამედ კოლექტიური საკუთრება, რომელიც კოლექტიური შრომის ბაზაზე გაიზირდა.

როგორც ხედავთ, საბჭოთა გლეხობა—ეს სრულიად ახალი გლეხობაა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას ჯერ კიდევ არ სცოდნია.

დასასულ, გადავიდეთ ინტელიგენციის საკითხზე, საკითხზე ინუინერ-ტექ-ნიკოს მუშაკთა, კულტურული ფრონტის მუშაკთა, საერთოდ მოსამსახურეთა და სხვ. მან აგრეთვე დიდი ცვლილებანი განიცადა განვლილ პერიოდში. ეს უკვე ის ძეველი დახავსებული ინტელიგენცია კი არ არის, რომელიც ცდილობდა თავისი თავი კლასებს ჰევით-დაეყუნებინა, ნამდვილად კი თავისი მასით ემსახურებოდა მემამულებსა და კაპიტალისტებს. ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია—ეს სოულიად ახალი ინტელიგენციაა, რომელიც მთელი ფესვებით დაკავშირებულია მუშათა კლასთან და გლეხობათან. ჯერ-ურთი, შეიცვალა ინტელიგენციის შემაღენლობა. თავადაზნაურობისა და ბურუუაზის წრიდან გამოსულები შეადგენენ ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის მცირე პროცენტს. საბჭოთა ინტელიგენციის 80-90 პროცენტი—ეს მუშათა კლასის, გლეხობის და მშრომელთა სხვა ფენებიდან არის გამოსული. ბოლომ, შეიცვალა ი. ვით ინტელიგენციის საქმიანობის ხასიათიც. წინათ მას უნდა ემსახურნა მდიდარი კლასებისათვის, ვინაიდან მას სხვა გამოსვალი არა ჰქონდა. ახლა იგი უნდა ემსახუროს ხალხს, ვინაიდან უკვე აღარ არიან ექსპლოატატორული კლასები. და სწორედ ამიტომ იგი ახლა წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების თანასწორულებიან წევრს, სადაც იგი მუშებთან და გლეხებთან ერთად, მათთან ხელიხელ ჩაკიდებული, ეწევა ახალი უკლასო სოციალისტური საზოგადოების შენებას.

როგორც ხედავთ, ეს საცხებით ახალი, მშრომელი ინტელიგენციაა, რომლის მსგავსს დედამიწის ვერც ერთ ქვეყანაში ვერ იპოვით.

ასეთია ის ცვლილებანი, რომლებიც განვლილი დროის მანძილზე მოხდა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის დარღვში.

რას გვეუბნებიან ეს ცვლილებანი?

ისინი გვეუბნებიან, ჯერ-ურთი, — იმას, რომ საზღვარი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, ისევე როგორც ამ კლასებსა და ინტელიგენციის შორის—იშლება, ხოლო ძველი კლასობრივი განკერძოებულობა—ჰქონდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო და უფრო მცირდება მანძილი ამ სოციალურ ჯგუფებს შორის.

მეორე, ისინი გვეუბნებიან იმას, რომ ეცემა, იშლება ეკონომიკური წინა-აღმდევობანი ამ სოციალურ ჯგუფებს შორის.

დასასრულ, ისინი გვეუბნებიან იმას, რომ ეცემა და იშლება აგრეთვე პოლიტიკური წინააღმდევობანი მათ შორის.

ასეთია საქმის ვითარება სსრ კავშირის კლასობრივი სტრუქტურის დარგში ცვლილებათა მხრივ.

სსრ კავშირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცვლილებათა სურათი არ იქნებოდა სრული, რამდენიმე სიტყვა რომ არ გვეთქვა ცვლილებებზე კიდევ ერთ დარგში. მე მხედველობაში მაქს სსრ კავშირში ნაციონალურ ურთიერთდამოკიდებულებათა სფერო. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში შედის დაახლოვებით სამოცი ნაცია, ნაციონალური ჯგუფი და ეროვნება. საბჭოთა სახელმწიფო მრავალეროვანი სახელმწიფოა. გასაგებია, რომ სსრ კავშირის ხალხებს შორის ურთიერთდამოკიდებულებათა საკითხს არ შეიძლება არ ჰქონდეს ჩვენთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, როგორც ცნობილია, შეიქმნა 1922 წელს სსრ კავშირის საბჭოების პირველ ყრილობაზე. იგი შეიქმნა სსრ კავშირის ხალხთა თანასწორობისა და ნებაყოფლობის საფუძვლებზე. ამეა-მად მომქმედი კონსტიტუცია, მიღებული 1924 წელს, არის სსრ კავშირის პირ-ველი კონსტიტუცია. ეს იყო პერიოდი, როცა ხალხებს შორის ურთიერთობანი ჯერ კიდევ არ იყო წესირად მოგვარებულია, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამქრა-ლი ველიკოროსებისადმი უნდობლობის ნაშთები, როცა ცენტრალური ძალები ჯერ კიდევ განაგრძობდნენ მოქმედებას. საჭირო იყო ამ პირობებში მოგვეგა-რებინა ხალხთა ძმური თანამშრომლობა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედ-რო ურთიერთდახმარების ბაზაზე, მათი ერთ საკავშირო მრავალეროვან სახელ-მწიფოდ გაერთიანებით. საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო არ დაენახნა ამ საქმის სიძნელენი. მის თვალწინ იყო ბურუუაზიულ ქვეყნებში მრავალეროვან სახელმწიფოთა მარცხით დამთავრებული ცდები. მის თვალწინ იყო ძეველი ავ-სტრია-უნგრეთის მარცხით დამთავრებული ცდა. და მან მაინც მიმართა მრა-ვალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდას, ვინაიდან მან იცოდა, რომ სოცია-ლიზმის ბაზაზე წარმოშობილმა მრავალეროვანმა სახელმწიფომ უნდა გაუძლოს ყველა და ყოველგვარ განსაცდელს.

მას შემდევ 14 წელმა განვლო. პერიოდი საკმარისია იმისათვის, რომ შე-ვამოწმოთ ცდა. და მერე? განვლილმა პერიოდმა უეჭველად ზაგვანახვა, რომ სო-ციალიზმის ბაზაზე წარმოშობილი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდა სრული წარმატებით დამთავრდა. ეს არის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის უეჭველი გამარჯვება. (ხანგრძლივი ტაში).

რით უნდა აიხსნას ეს გამარჯვება?

არარსებობამ ექსპლოატატორთა კლასებისამ, რომლებიც ნაციათა შორის ჩხების ძირითად ორგანიზატორებს წარმოადგენენ; არარსებობამ ექსპლოატაციი-სამ, რომელიც ურთიერთუნდობლობას ნერგავს და ნაციონალისტურ ვნებებს ძლიერებს; იმან, რომ ძალაუფლების სათავეში სდგას მუშათა კლასი, რომელიც მტერია ყოველგვარი დამონებისა და ერთგული მატარებელია ინტერნაციონა-ლიზმის იდეებისა; ხალხთა ურთიერთდახმარების ფაქტიურმა განხორციელებამ სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში; ბოლოს, სსრ კავ-შირის ხალხთა ნაციონალური კულტურის, ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებამ,—ყოველივე ამან და მათმა მსგავსმა ფაქ-ტორებმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ძირითესევიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალ-ხთა სახე, გაპქრა მათში ურთიერთუნდობლობის გრძნობა, განვითარდა მათში

ურთიერთ მეგობრობის გრძნობა და, აშევარიად, შოგვარდა ხალხთა წამდვილში ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში.

ამის შედეგად ახლა ჩვენ გვაქვს საფსებით ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლოდა რომლის სიმტკიცეც შეშურდებოდა რომელიც გნებავთ ნაციონალურ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში. (ზურხარე ტაში).

ასეთია ის ცვლილებანი, რომლებიც განვლილი პერიოდის მანძილზე მოხდა სსრ კავშირში ნაციონალურ ურთიერთდამოკიდებულებათა სფეროში.

ასეთია სსრ კავშირის სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების იმ ცვლილებათა საერთო შედეგი, რომლებიც 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში მოხდა.

### III

#### კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი

რა ასახვა ჰპოვა სსრ კავშირის ცხოვრებაში მომხდარმა ყველა ამ ცვლილებამ ახალი კონსტიტუციის პროექტში?

სხვანაირად რომ ვთქვათ: როგორია ძირითადი თავისებურებანი კონსტიტუციის პროექტისა, რომელიც ამ ყრილობის განსახილველად არის წარმოდგენილი?

საკონსტიტუციო კომისიას დავალებული პქონდა შეეტანა ცვლილებანი 1924 წლის კონსტიტუციის ტექსტში. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შედეგად მივიღეთ კონსტიტუციის ახალი ტექსტი, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი. ახალი კონსტიტუციის პროექტის შედგენისას საკონსტიტუციო კომისია იქიდან გამოდიოდა, რომ კონსტიტუცია არ უნდა იქნას არეული პროგრამასთან. ეს ნიშნავს, რომ პროგრამასა და კონსტიტუციას შორის არსებითი განსხვავება არის. მაშინ როდესაც პროგრამა ლაპარაკობს იმაზე, რაც ჯერ კიდევ არ არის და რაც ჯერ კიდევ მიღწეულ და მოპოვებულ უნდა იქნას მომავალში კონსტიტუცია, პირიქით, უნდა ლაპარაკობდეს იმაზე, რაც უკვე არის, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია ახლა, აწყობში. პროგრამა უმთავრესად ეხება მომავალს, კონსტიტუცია — აწყობს.

ორი მაგალითი ილუსტრაციისათვის.

ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებამ მიაღწია იმას, რომ ძირითადად უკვე განახორციელა სოციალიზმი, შექმნა სოციალისტური წყობილება, ე. ი. განახორციელა ის, რასაც მარქსისტები სხვანაირად კომუნიზმის პირველ ანუ დაბალ ფაზას უწოდებენ. მაშასადამე, ჩვენში ძირითადად უკვე განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა, სოციალიზმი. (ხანგრძლივი ტაში). კომუნიზმის ამ ფაზის ძირითად პრინციპს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ფორმულა: „თვითოველისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითოველს—მისი შრომის მიხედვით“. უნდა ასახოს თუ არა ჩვენმა კონსტიტუციამ ეს ფაქტი, სოციალიზმის მოპოვების ფაქტი? უნდა დაემყაროს თუ არა იგი ამ მონაპოვარს? უსათუოდ უნდა დაემყაროს. უნდა დაემყაროს, რადგან სოციალიზმი. სსრ კავშირისათვის არის ის, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია.

მაგრამ საბჭოთა საზოგადოებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია კომუნიზმის შალი ფაზის განხორციელებისათვის, სადაც გაბატონებული პრინციპი იქნება ფორმულა: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს მისი მოთხოვნილების მიხედვით“, თუმცა კი იგი მიზნად ისახავს მიაღწიოს მომავალში კომუნიზმის უმაღლესი ფაზის განხორციელებას. შეუძლიან თუ არა ჩვენს კონსტიტუციის დაემყაროს კომუნიზმის უმაღლეს ფაზას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის და რომელიც ჯერ კიდევ მოპოვებულ უნდა იქნას? არა, არ შეუძლიან, რადგან კომუნიზმის უმაღლესი ფაზა სსრ კავშირისათვის არის ის, რაც ჯერ კიდევ არ განხორციელებულა და რაც მომავალში უნდა განხორციელდეს. არ შეუძლიან, იუ არ უნდა მას გადაიქცეს პროგრამად, ან დეკლარაციად მომავალ მონაბოვართა შესახებ.

ასეთია ჩვენი კონსტიტუციის ჩარჩობი მოცემულ ისტორიულ მომენტში.

ამგვარად, ახალი კონსტიტუციის პროექტი წარმოადგენს განვლილი გზის შედეგს, უკვე მიღწეულ მონაბოვართა შედეგს. იყი, მაშასადამე, წარმოადგენს. იმის რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, რაც საქმით უკვე მიღწეული და მოპოვებულია. (მქუჩარე აუ ში).

ამაშია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის პირველი თავისებურება.

შეძეგა. ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციები ჩვეულებრივ გამოდიან კაპიტალისტური წყობილების ურყევლობის რწმენიდან. ამ კონსტიტუციათა მთავარ საფუძველს შეადგენენ კაპიტალიზმის პრინციპები, მისი ძირითადი საყრდენები: მიწის, ტყეების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა საწარმოო იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრება; ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაცია და ექსპლოატაციონითა და ექსპლოატირებულთა აჩსებობა; შშრომელი უმრავლესობის არაუზრუნველყოფა საზოგადოების ერთ პოლუსზე და არამშრომელი, მაგრამ უზრუნველყოფილი უმცირესობის ფუფუნება მეორე პოლუსზე; და სხვ. და ა. შ. ისინი ეყრდნობიან კაპიტალიზმის ამ და მათ მსგავს საყრდენებს. ისინი იმათ ასახავენ, ისინი იმათ განამტკიცებენ საკანონმდებლო წესით.

მათგან განსხვავებით სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოდის კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაციის ფაქტიდან, სსრ კავშირში სოციალისტური წყობილების გამარჯვების ფაქტიდან. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მთავარ საფუძველს შეადგენენ სოციალიზმის პრინციპები: მისი ძირითადი საყრდენები, უკვე მოპოვებული და განხორციელებული: მიწის, ტყეების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა საწარმოო იარაღებისა და საშუალებების სოციალისტური საკუთრება; ექსპლოატაციისა და ექსპლოატაციული კლასურების ლიკვიდაცია; უმრავლესობის სიღატაკისა და უმცირესობის, ფუფუნების ლიკვიდაცია; უმუშევრობის ლიკვიდაცია; შრომა, როგორც თვითეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ლირსების საქმე-ფორმულით: „ვინც არ მუშაობს, ის ვერც სჭამს“. შრომის უფლება, ე. ი. თვითეული მოქალაქის უფლება მიიღოს გარანტირებული სამუშაო; დასვენების უფლება; განათლების უფლება; და სხვ. და ა. ახალი კონსტიტუციის პროექტი ეყრდნობა სოციალიზმის ამ და მათ მსგავს საყრდენებს. იგი მათ ასახავს, იგი მათ განამტკიცებს საკანონმდებლო წესით.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მეორე თავისებურება.

შემდეგ. ბურუუაზიული კონსტიტუციები მდუმარედ გამოდიან იმ წანა-შძვარიდან, რომ საზოგადოება შესდგება ანტიგონისტური კლასებისაგან, იმ კლასებისაგან, რომელიც სიმდიდრესა ჰყლობენ, და იმ კლასებისაგან, რომელიც მას არ ჰყლობენ, რომ რომელი პარტიაც უნდა ჩაუდგეს ხელისუფლებას სათავეში, საზოგადოების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა (დიქტატურა) უნდა ეკუთვნოდეს ბურუუაზიას, რომ კონსტიტუცია საჭიროა იმისათვის, რათა განმტკიცდეს საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც სასურველი და ხელ-საყრელია შეძლებული კლასებისათვის.

ბურუუაზიული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოდის იქიდან, რომ საზოგადოებაში უკვე აღარ არიან ანტაგონისტური კლასები, რომ საზოგადოება შესდგება ორი ერთმანეთის მე-გობრული კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან, რომ ხელისუფლების სათავეში დგანან სწორედ ეს მშრომელი კლასები, რომ საზოგადოების სახელმწიფო ხელმძღვა-ნელობა (დიქტატურა) ეკუთვნის მუშათა კლასს, როგორც საზოგადოების მოწინავე კლასს, რომ კონსტიტუცია საჭიროა იმისათვის, რათა განვამტკიცოთ საზოგადოებ-რივი წესწყობილება, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია მშრომელებისათვის.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის შესამე თავისებურება.

შემდეგ. ბურუუაზიული კონსტიტუციები მდუმარედ გამოდიან იმ წანამ-ძღვარიდან, რომ ნაციები და რასები არ შეიძლება თანასწორუფლებიანი იყ-ვნენ, რომ არიან სრულუფლებიანი ნაციები და არიან არასრულუფლებიანი ნაციები, რომ, ამას გარდა, არსებობს კიდევ ნაციებისა ან რასების მესამე კატე-გორია, მაგალითად, კოლონიებში, რომლებსაც კიდევ უფრო ნაკლები უფლე-ბები აქვთ, ვიდრე არასრულუფლებიან ნაციებს. ეს იმას ნიშანავს, რომ ყველა ეს კონსტიტუცია თავისი საფუძვლით წარმოადგენს ნაციონალისტურს, ე. ი. გაბატონებული ნაციების კონსტიტუციებს.

ამ კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუ-ციის პროექტი, პირიქით, ლრმად ინტერნაციონალურია. იგი გამოდის იქიდან, რომ ყველა ნაცია და რასა თანასწორუფლებიანია. იგი გამოდის იქიდან, რომ განსხვავება კანის, ფერისა, ან ენისა, კულტურული დონისა, ან სახელმწიფო განვითარების დონისა, ისევე როგორც სხვა რომელიმე განსხვავება ნაციებსა და რასებს შორის—არ შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ გავამართლოთ ნა-ციონალური არათანასწორუფლებიანობა. იგი გამოდის იქიდან, რომ ყველა ნა-ცია და რასა, მათი წარსული და ახლანდელი მდგომარეობისაგან დამოუკიდებ-ლად, მათი ძალისა ან სისუსტისაგან დამოუკიდებლად,—უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებით საზოგადოების სამეურნეო, საზოგადოებრივი, სახელმწი-ფო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მეოთხე თავისებურება.

ახალი კონსტიტუციის პროექტის შეხუთე თავისებურებას წარ-მოადგენს მისი თანმიმდევრობითი და ბოლომდე დაცული დემოკრატიზმი. დე-მოკრატიზმის თვალსაზრისით ბურუუაზიული კონსტიტუციები შეიძლება დავ-კონტაქტით გვთავად: კონსტიტუციათა ერთო კონტაქტით უარყოფს ან

ფაქტიურად არარაობად იქცევს მოქალაქეთა უფლებების თანასწორობას და დემოკრატიულ თავისუფლებებს. კონსტიტუციათა მეორე ჯგუფი ხალისით ლებულობს და საქვეყნოდაც კი გაპეივის დემოკრატიულ საწყისებზე. მაგრამ ამასთან უკითებს ისეთ შენიშვნებსა და შეზღუდვებს, რომ დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებანი სრულიად დამახინჯებული გამოდის. ისინი ლაპარაკობენ თანასწორ-საარჩევნო უფლებებზე ყველა მოქალაქეისათვის, მაგრამ იქვე ზღუდავენ მათ ბინადრობით, განათლების ცენზით და ქონებრივი ცენზითაც კი: ისინი ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორ უფლებებზე, მაგრამ იქვე უკეთებენ შენიშვნას, რომ ეს არ შექება ქალებს, ან შექება მათ ნაწილობრივ. და სხვ. ა. შ.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავისუფალია მსგავსი შენიშვნებისა და შეზღუდვებისაგან. მისთვის არ არსებობენ აქტიურია ან პასიური მოქალაქენი, მისთვის ყველა მოქალაქე აქტიურია. იგი არა სცნობს განსხვავებას მაბაკაცთა და დედაკაცთა, „ბინადართა“ და „არაბინადართა“, მქონებელთა და უქონელთა, განათლებულთა და გაუნათლებელთა უფლებებში. მისთვის ყველა მოქალაქე თანასწორია თავის უფლებებში. არა ქონებრივი მდგომარეობა, არა ნაციონალური წარმოშობა, არა სქესი, არა სამსახურებრივი მდგომარეობა, არამედ თვითურები მოქალაქის პირადი უნარი და პირადი შრომა განსაზღვრავენ მის მდგომარეობას საზოგადოებაში.

დასასრულ, ახალი კონსტიტუციის პროექტის კიდევ ერთი თავისებურება: ბურუჟიზიული კონსტიტუციები ჩვეულებრივ სჯერდებიან მოქალაქეების ფორმალურ უჯლებათა ფიქსირებას და არ ზრუნავენ ამ უფლებათა განხორციელების პირობებზე, მათი განხორციელების შესაძლებლობაზე. მათი განხორციელების საშუალებებზე. ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორობაზე, მაგრამ ავიწყდებათ, რომ არ შეიკლება ნამდგილი თანასწორობა მეპატრონებია და მუშას შორის, მემამულებია და გლეხს შორის, თუ პირუელთ აქვთ სიმდიდრე და პოლიტიკური წონა საზოგადოებაში, ხოლო მეორენი შოკლებულნი არიან ერთსაც და მეორესაც, თუ პირველნი წარმოადგენენ ექსპლოატატორებს, ხოლო მეორენი – ექსპლოატირებულთ. ან კიდევ: ლაპარაკობენ სიტყვის, კრებებისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე, მაგრამ ივიწყებენ, რომ ყველა ეს თავისუფლება შეიძლება მუშათა კლასისათვის ლიტონისტუვად გადაიქ კი, თუ იგი მოკლებულია შესაძლებლობას იქონიოს თავის განკარგულებაში შესაფერისი შენობები კრებებისათვის, კარგი სტამბები, საბეჭირი ქალალის საკმაო რაოდენობა და ა. შ.

ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ სჯერდება მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას, არამედ სიმძიმის ცენტრი გადააქს ამ უფლებათა გარანტიების საკითხზე, ამ უფლებათა განხორციელების საშუალებების საკითხზე. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს მოქალაქეების უფლებათა თანასწორობას, არამედ კიდეც, უზრუნველჰყოფს მათ ექსპლოატაციის რეჟიმის ლიკვიდაციის ფაქტის, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან მოქალაქეთა განთავისუფლების ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს შრომის უფლებას, არამედ კიდეც უზრუნველჲყოფს

შას საბჭოთა საზოგადოებაში კრიზისების არარსებობის ფაქტის, უმუშევრობის მოსპობის ფაქტის საკანონმდებლო განმცყოლებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს დემოკრატიულ თავისუფლებებს, არამედ კიდევ უზრუნველჲყოფს მათ საკანონმდებლო წესით გარკვეული მატერიალური საშუალებებით. ამიტომ გისავებია, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტის დემოკრატიაზმი წარმოადგენს არა „ჩვეულებრივსა“ და „საყოველთაოდ აღიარებულ“ დემოკრატიზმს საერთოდ, არა მედ ხოციალისტურ დემოკრატიზმს.

ასეთია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი.

ასეთია სსრ კავშირის სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების იმ ძვრათა და ცვლილებათა ასახვა ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომელიც განხორციელდნენ 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში.

#### IV

### კონსტიტუციის პროვეტის ბურჟუაზიული პრიტიკა

რამდენიმე სიტყვა კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკის შესახებ.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს კონსტიტუციის პროექტს უცხოეთის ბურჟუაზიული პრესა, უდავოდ წარმოადგენს ერთგვარ ინტერესს.

რამდენადაც უცხოეთის პრესა ასახავს ბურჟუაზიულ ქვეყნათა მოსახლეობის სხვადასხვა ფენების საზოგადოებრივ ახრს, ჩვენ არ შეგვიძლიან გვერდი ავუხვიოთ იმ კრიტიკას, რომელიც ამ პრესამ კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ გაშალა.

კონსტიტუციის პროექტის მიმართ უცხოეთის პრესის რეაქციის პირველი ნიშნები გამოიხატა გარკვეულ ტენდენციაში—დუმილით შეხვედროდნენ კონსტიტუციის პროექტს. მე ამ შემთხვევაში შედვ ლობაში მაქს ყველაზე უფრო რეაქციული, ფაშისტური პრესა. კრიტიკასთა ამ ჯვეულმა უმჯობესად ჩასთვალა უბრალო დუმილით შეხვედროდა კონსტიტუციის პროექტს, ისე წარმოედგინა საქმე, თითქოს პროექტი არ ყოფილიყოს და იგი საერთოდ არ არსებობდეს ბუნებაში. შეიძლება სთქვან, დუმილით შეხვედრა არ არის კრიტიკა. მაგრამ ეს არაა მართალი. დუმილით შეხვედრის მეთოდიც, როგორც უგულებელყოფის განსაკუთრებული საწუალება, არის ავტორუ კრიტიკის ფორმა, მართალია, სულელური და სასაცილო, მაგრამ მაინც კრიტიკის ფორმა. (საერთო სიცილი, დაში). მაგრამ დუმილით შეხვედრის მეთოდიდან მათ არაფერი გამოუვიდათ. ბოლოს-დაბოლოს ისინი იძულებული გახდნენ აეხსნათ სარქველი და ეუწყებინათ მსოფლიოსათვის, რომ რარიგ სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი მაინც არსებობს, და არა თუ არსებობს, არამედ მავნე ზეომედებასაც ახდენს ადამიანთა გონებაზე. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყო-

ფილიკო, რადგან მაინც არის ქვეყნად რაღაც საზოგადოებრივი აზრი, მეითხველები, ცოცხალი ადამიანები, რომელთაც სურთ იცოდნენ სიმართლე ფაქტების შესახებ, და მათი დიდებას ყოლა მოტუშების მარწუხებში ყოვლად შეუძლებელია. მოტუშებით შორს ვერ წახვალ...

მეორე ჯგუფი კრიტიკოსებისა აღიარებს, რომ კონსტიტუციის პროექტი ნამდვილად არსებობს ბუნებაში, მაგრამ იგი სთვლის, რომ პროექტი არ წარმოადგენს დიდ ინტერესს, რადგან იგი არსებითად არის არა კონსტიტუციის პროექტი, არამედ ფარატინა ქალაჭდი, ცალიერი დაპირება, ნავარაუდევი ერთგვარი მანევრის გასაკეთებლად და ხალხის მოსატყუებლად. ამასთან ისინი დასძენენ, რომ უკეთესი პროექტის მოცემა საბჭოთა კავშირს არც შეეძლო, რადგან თვითონ სსრ კავშირი წარმოადგენს არა სახელმწიფოს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ — გეოგრაფიულ ცნებას (საერთო სიცილი), ხოლო რაჯი იგი სახელმწიფოს არ წარმოადგენს, ამიტომ მისი კონსტიტუცია არ შეიძლება ნამდვილი კონსტიტუცია იყოს. კრიტიკოსთა ამ ჯგუფის ტიპიური წარმომადგენელია, რარიგ უცნაურიც არ უნდა იყოს ეს, გერმანიის ოფიციოზი „დეიტშე დიპლომატიშ პოლიტიშე კორესპონდენცი“. ეს უურნალი პირდაპირ ამბობს, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი წარმოადგენს ცალიერ დაპირებას, მოტუშებას, „პოტიომპინის სოფელს“. იგი უყოფებანოდ აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი არ არის სახელმწიფო, რომ საბჭოთა კავშირი „სხვა არაფერია, თუ არა ზუსტად განსაზღვრული გეოგრაფიული ცნება“ (საერთო სიცილი), რომ ამიტომ საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია არ შეიძლება ნამდვილ კონსტიტუციად იქნას აღიარებულიო.

რა შეიძლება ითქვას ასეთ, უკაცრავად პასუხია, კრიტიკოსებზე?

ერთერთ თავის წლაპარ-მოთხოვნაში დიდი რუსი მწერალი შეხდრინი იძლევა თავნება ბიუროკრატის ტიპს, რომელიც ძალიან ჰეზლულულია და გონება-ჩლუნები, მაგრამ უაღრესად დარწმუნებული თავისთავში და ფიცხი. მას შემდეგ რაც ამ ბიუროკრატმა მისდამი „რწმუნებულ“ ოლქში „წესრიგი და სიწყნარე“ დაამყარა, რისთვისაც ათასობით მციოვებნი გაულიტა და ათობით ქალაქები გადასწვა, მან ირგვლივ მიმოიხდა და პორიზონტზე შენიშვნა ამერიკა, რასაკეირელია, ნაკლებადუნობილი ქვეყანა, სადაც, თურქე, არის რაღაც თავისუფლებები, რომლებსაც ხალხში შფოთი შეაქვთ და სადაც სახელმწიფოს სხვა მეთოდებით შართავენ. ბიუროკრატმა ამერიკა შენიშვნა და აღმფოთდა: ეს რა ქვეყნაა, საიდან გაჩნდა იგი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი? (საერთო სიცილი, ტაში). რასაკვირველია, იგი შემთხვევით აღმოაჩინეს რამდენიმე საუკუნის წინათ, მაგრამ განა არ შეიძლება მისი კვლავ დახურება, რომ მისი სსენებაც აღარ იყოს? (საერთო სიცილი). და, სრულად არა ეს, დაადო რეზოლუცია: „კვლავ დაიხუროს ამერიკა“ (საერთო სიცილი).

მე მგონია, რომ ვაჟბატონები „დეიტშე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენციდან“ როგორც ორი წვეთი წყალიც ისე ჰეგვანან შეხდრინის ბიუროკრატს. (საერთო სიცილი, მოწონების ტაში). ამ ვაჟბატონებს საბჭოთა კავშირი უკვე დიდიხანია თვალში ეჩირებათ. ცხრამეტი წელიშადია დგას საბჭოთა კავშირი, როგორც შუქურა, რომელიც განთავისუფლების სულით მსჭვალავს მთე-

ლი მსოფლიოს მუშათა კლასს და ცოტს ჰგვრის მუშათა კლასის მტრებს. და იგი, ეს საბჭოთა კავშირი, თურქე, არა თუ მხოლოდ არსებობს, არამედ იზრდება კიდევ, და არა თუ იზრდება, არამედ წარმატებებსაც აღწევს, და არა თუ წარმატებებს აღწევს, არამედ ახალი კონსტიტუციის პროექტსაც კი სთხავს, პროექტს, რომელიც აღაგზნებს ადამიანთა გონიერებას, ახალ იმედებს უნერგავს და აგრძელებს. (ტაში). როგორ არ უნდა აღშოთ დრინგ ამის შემდევ ვაუბატონები გერმანული ოფიციოზიდან? რა ქვეყანაა ეს ქვეყანა, გოდებენ ისინი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი (ხაერთო ხიცილი), და თუ იგი 1917 წლის ოქტომბერში აღმოაჩინეს, რატომ არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც ალარ იყოს? და, სთქვეს რა ეს, დაადგინეს: კვლავ დაიხუროს საბჭოთა კავშირი, ყველას გასაგონად გამოცხადდეს, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო, არ არსებობს, რომ საბჭოთა კავშირი სხვა არაფერია, თუ არა უბრალო გეოგრაფიული ცნება! (ხაერთო ხიცილი).

ადებდა რა რეზოლუციის იმის შესახებ, რომ ქვლავ დახურულიყო ამერიკა, შეჩდრინის ბიუროკრატმა, მიუხედავად მთელი თავისი სიჩქანეებისა, მაცნც შონაზა თავისთავში რეალურის გაგების ელემენტები, ჩაიღაბარაკა რა იქვე თავისთვის: „მაგრამ, მგონი, საქმი ესე ჩემზე არ არის დამოკიდებულიო“. (მხიარული ხიცილის გრიალი, მქუხარე ტაში). მე არ ვიცი, ეყოფათ თუ არა ჭიუა ვაუბატონებს გერმანული ოფიციოზიდან მიხვდნენ, რომ ამათუიმ სახელმწიფოს „დახურვა“ ქალალზე მათ, რასაკვირველია, შეუძლიანა, მაგრამ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, „საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული“... (მხიარული ხიცილის გრიალი, მქუხარე ტაში).

რაც შეეხება იმას, ვითომც სსრ კავშირის კონსტიტუცია წარმოადგენდეს ცალიერ დაპირებას, „პოტიომეტინის სოფელს“ და ა. შ., მე მინდა მივუთითო მთელ რიგ დადგენილ ფაქტებზე, რომლებიც თავისთავიად მეტყველებენ.

1917 წელს სსრ კავშირის ხალხებმა დამხეს ბურუაზია და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა, დაამყარეს საბჭოთა ძალაუფლება. ეს ფაქტია და არა დაპირება.

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა მემამულეთა კლასის ლიკვიდაცია და გლეხებს გადასცა 150 მილიონზე მეტი ჰექტარი ყოფილი მემამულური, სახაზინო და სამონასტრო მიწები და ეს—იმ მიწების გარდა, რომლებიც წინათაც გლეხთა ხელში იყო. ეს ფაქტია და არა დაპირება.

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა კაპიტალისტთა კლასის ექსპრობიაცია, ჩამოართვა მათ ბანკები, ქარხნები, რეკინიგზები და სხვა საწარმოო იარაღი და საშუალებანი, გამოაცხადა ისინი სოციალისტურ საკუთრებად და ამ საწარმოთა სათავეში დააყენა მუშათა კლასის საუკეთესო აღამიანები. ეს ფაქტია და არა დიპირება. (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ, მოაწყო რა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ახალ, სოციალისტურ საფუძველზე, ახალი ტექნიკური ბაზით, საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწიო იმას, რომ ამეამად მიწათმოქმედება სსრ კავშირშა იძლევა ერთნახევარჯერ მეტ პროდუქციას, ვიღრე ომამდე იძლეოდა, ინდუსტრია აწარმოებს შვიდ-

ჯერ პროდუქციას, ვიდრე ომამდე, ხოლო სახალხო შემოსავალი გაიზარდა ერთოთხად ომამდელ დროსთან შედარებით. ყოველივე ეს—ფაქტებია და არა დაპირებანი. (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო უმუშევრობა, ცხოვრებაში გაატარა შრომის უფლება, დასვენების უფლება, განათლების უფლება, უზრუნველყოფის უფლების მატერიალური და კულტურული პირობები მუშებისა, გლეხებისა და ინტელიგენციისათვის, უზრუნველყოფისათვის, საყოველთაო, პირდაპირი და თანამშორი საარჩევნო უფლების გატარება ცხოვრებაში მოქალაქეთა ფარული კენჭისყრით. ყოველივე ეს—ფაქტებია და არა დაპირებანი. (ხანგრძლივი ტაში).

დასასრულ, სსრ კავშირშა მოგვცა აზალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც წარმოადგენს არა დაპირებას, არამედ ამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, იმის რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია.

კითხვა ისმება, რა აზრი აქვს ყოველივე ამის შემდევ გერმანული ოფიციონურის ვაჟბატონთა ლიყბობას „პოტიომკინის სოფლების“ შესახებ, თუ არა ის, რომ მათ მიზნად დაისახეს დაუმალონ ხალხს სიმართლე სსრ კავშირის შესახებ, შეიყვანონ ხალხი შეცდომაში, მოატყუონ იგი.

ასეთია ფაქტები. ხოლო ფაქტები, როგორც იტყვიან, ჯიუტი რამ არის. ვაჟბატონებს გერმანული ოფიციონული შეუძლიან სოჭვან: მით უარესი ფაქტებისათვისო. (ხადრო ხიცილი). მაგრამ მაშინ მათ შეგვიძლიან ვუპასუხოთ ცნობილი რუსული ანდაზის სიტყვებით: „რეგენთათვის კანონი არ იწერება“. (მხიარული ხიცილი., ხანგრძლივი ტაში).

მესამე ჯგუფი კრიტიკოსთა არ უარობს აღიაროს კონსტიტუციის პროექტის გარკვეული ლირსებანი, იგი მას დადებით მოვლენად მიაჩნია, მაგრამ იგი, თურმე ნუ იტყვით, ძალან ეჭვობს, რომ შეიძლებოდეს მის მოვლ რიგ დებულებათა ცხოვრებაში გატარება, ვინაიდან იგი დარწმუნებულია, რომ ეს დებულებანი საერთოდ განუხორციელებელია და ქალალზე უნდა დარჩენ. ეს, რბილად რომ ვთქვათ, სკეპტიკოსები არიან. ისინი, ეს სკეპტიკოსები, ყველა ქვეყანაში მოიპოვებიან.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ მათ პირველად როდი ვხედებით. როცა ბოლშევიკები 1917 წელს ძალაუფლებას ხელში იღებდნენ, სკეპტიკოსები ამბობდნენ: ბოლშევიკები, შეიძლება, ითქვას, ცუდი დამიანები არ არიან, მაგრამ ხელისუფლების მხრივ მათ საქმე არ გამოუვათ, ისინი ჩაფლავდებიან. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ჩაფლავდნენ არა ბოლშევიკები, არამედ სკეპტიკოსები.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერესების დროს სკეპტიკოსთა ეს ჯგუფი ამბობდა: საბჭოთა ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ცუდი რამ არ არის, მაგრამ დენიკინი და კოლჩავი პლუს უცხოელები მას, ალბათ, დასძლევენ. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ სკეპტიკოსები აქაც მოტყუფნენ ანგარიშში.

როცა საბჭოთა ხელისუფლებამ პირველი ხუთწლიანი გეგმა გამოაქვეყნა, სკეპტიკოსები კვლავ გამოვიდნენ სცენაზე და აჩვინდნენ: ხუთწლედი, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ არა გვგონია მისი განხორციელება შეიძლებოდეს,

უნდა ვითიქროთ, რომ ბოლშევიკებს ხუთწლედის მხრივ საქმე არ გამოუვათოა მაგრამ ფაქტებმა დაგვანახვეს, რომ სკეპტიკოსებს კვლავ უმტკუნა ბედმა: ხუთწლიანი გევმა ოთხ წელიწადში იქნა განხორციელებული.

იგივე უნდა ითქვას ახალი კონსტიტუციის პროექტზე და მის კრიტიკაზე სკეპტიკოსთა შერით. საქმარისი იყო პროექტის გამოქვეყნება, რომ კრიტიკოსთა ეს ჯგუფი კვლავ გამოჩენილიყო სკენაზე თავისი ნალვლიანი სკეფსისით, თავისი ეჭვებით კონსტიტუციის ზოგიერთი დებულების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ. არავითარი საფუძველი არ ასებობს, ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ სკეპტიკოსები ამ შემთხვევაშიაც ჩაფლავდებიან, ახლაც ისევე ჩაფლავდებიან, როგორც ისინი წარსულში არაერთხელ ჩაფლავებულან.

მეოთხე ჯგუფი კრიტიკოსებისა, იერიში მიაქვს რა ახალი კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ, ახასიათებს მას, როგორც „ძვრას მარჯვნივ“, როგორც „ხელის ალებას პროლეტარიტის დიქტატურაზე“, როგორც „ბოლშევიკური რეჟუმის ლიკვიდაციას“. „ბოლშევიკები მარჯვნივ გადაქანდნენ, ეს ფაქტია“ — ამბობენ ისინი სხვადასხვა ჰანგზი. ამ მხრივ განსაკუთრებით გულმოდგინეობენ ზოგიერთი პოლონური და ნაწილობრივ ამერიკული გაზეთები.

რა შეიძლება ითქვას ამ, უკაცრავად პასუხია, კრიტიკოსებზე?

თუ მუშათა კლასის დიქტატურის ბაზის გაფართოვებას და დიქტატურის გადაქცევას საზოგადოებისადმი სახელმწიფო ბელმძღვანელობის უფრო მოქნილ, მაშასდამე, — უფრო მძლავრ სისტემად ისინი განპარტავენ არა როგორც მუშათა კლასის დიქტატურის გაძლიერებას, არამედ როგორც მის დასუსტებას ანდა შასზე ხელის ალებასაც კი, მაშინ უფლება გვაქვს ვიკითხოთ: იციან კი საერთოდ ამ ვაჟბატონებმა — რა არის მუშათა კლასის დიქტატურა?

თუ სოციალიზმის გამარჯვების საქანონმდებლო განმტკიცებას, ინდუსტრიულიზაციის, კოლექტივიზაციისა და დემოკრატიზაციის წარმატებათა საკანონმდებლო განმტკიცებას ისინი უწოდებენ „ძვრას მარჯვნივ“, მაშინ უფლება გვაქვს ვიკითხოთ: იციან კი საერთოდ ამ ვაჟბატონებმა — რითი განსხვავდება მარცხნა მარჯვნისავან? (საერთო სიცილი, ტაში).

არ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ეს ვაჟბატონები საბოლოოდ დაიბნენ კონსტიტუციის პროექტის თავიანთ კრიტიკაში და, რაკი დაიბნენ, ერთ-მანეთში აურიეს მარჯვენა და მარცხენა.

ამ შემთხვევის გამო არ შეიძლება არ გაეიხსენოთ შინაუმა „გოგო“ პელავია გოგოლის „მკვდარი სულებიდან“. მან, როგორც გოგოლი მოგვითხრობს, ერთხელ როგორლაც იყიდუა გზა ექვენებინა ჩიჩიკოვის მეეტლე სელიფანისათვის, მაგრამ, რადგან ვერ შესძლო გაერჩია გზის მარჯვენა მხარე მისი მარცხენა მხარისაგან; დაიბნა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი კრიტიკოსები პოლონური გაზეთებიდან, მთელი მათი ამბიციის მიხედავად, მანაც ბევრად ვერ გასკილებიან „მკვდარი სულების“ შინაუმა „გოგო“ პელავიას გაეცის ღონეს. (ტაში). თუ გაიხსენებოთ, მცეტლე სელიფანმა საჭიროდ ჩასთვალა დაუტუქსა პელავია იმისათვის, რომ შან ერთმანეთში აურია მარჯვენა

და მარცხენა, და უთბრი მას: „ეხ, შე შავფეხავ... არ იცი, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა“. მე მკონია მართებული იქნებოდა ასევე დაგვეტუქეს ჩვენი კუუმოკლე კრიტიკოსები და გვეთქვა მათვის: ეხ, თქვე ვაი-კრიტიკოსებო... არ იცით, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა. (ზანგჩაძლივი ტაში).

დასასრულ, კიდევ ერთი ჯგუფი კრიტიკოსებისა. თუ წინა ჯგუფი ბრალსა სდებს კონსტიტუციის პროექტს იმაში, რომ იგი ხელს იღებს მუშათა კლასის დიქტატურაზე, ეს ჯგუფი, პირიქით, ბრალსა სდებს მას იმაში, რომ იგი არა-ფერს არა სცვლის სსრ კავშირში არსებულ მდგომარეობაში, რომ იგი ხელუბ-ლებელს სტრუქტურებს მუშათა კლასის დიქტატურას, დაუშებლად სთვლის პოლი-ტიკური პარტიების თავისუფლებას და ძალაში სტრუქტურებს კომუნისტთა პარტიის ახლანდელ ხელმძღვანელ მდგომარეობას სსრ კავშირში. ამასთან, კრიტიკოსთა ამ ჯვუფს მიაჩინა, რომ სსრ კავშირში პარტიათა თავისუფლების არარსებობა დემოკრატიზმის საფუძვლების დარღვევის ნიშანს წარმოადგენს.

მე უნდა აღვიარო, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი მართლაც ძალაში სტრუქტურებს მუშათა კლასის დიქტატურის რეაქტი, ისევე როგორც უცვლელად სტრუქტურებს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ახლანდელ ხელმძღვანელ მდგომარეობას. (მჭუხარე ტაში). თუ პატივცემულ კრიტიკოსებს ეს კონსტიტუციის პროექტის ნაკლად მიაჩინათ, მაშინ შეგვიძლიან მხოლოდ სინანული გამოვთქვათ ამის გამო. ჩვენ კი, ბოლშევიკები ამას კონსტიტუციის პროექტის ღირსებად ვთვლით. (მჭუხარე ტაში).

რაც შეეხება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის თავისუფლებას, ჩვენ აქ რაოდენად ე სხვა შეეძლებებისა ვართ. პარტია არის კლასის ნაწილი, მისი მოწინავე ნაწილი. რამდენიმე პარტია და, მაშასადამე, პარტიების თავისუფლება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც არიან ანტაგონისტური კუასები, რომელთა ინტერესები მტრული და შეურიგებელია, სადაც არიან, ვთქვათ, კაპიტალისტები და მუშები, მემამულეები და გლეხები, კულა-კები და ლარიბები და ა. შ. მაგრამ სსრ კავშირში უკვე აღარ არიან ისეთი კლასები, როგორც კაპიტალისტები, მემამულეები, კუაკები და ა. შ. სსრ კავშირში არის მხოლოდ ორი კლასი – მუშები და გლეხები, რომელთა ინტერესები არა თუ მტრული არ არის, არამედ პირიქით – მეგობრულია. მაშასადამე, სსრ კავშირში არ არის ნიადაგი რამდენიმე პარტიის არსებობისათვის და, მაშასადამე, ამ პარტიების თავისუფლებისათვისაც. სსრ კავშირში არის ნიადაგი მხოლოდ ერთი პარტიისათვის, კომუნისტური პარტიისათვის. სსრ კავშირში არსებობა შეუძლიან მხოლოდ ერთ პარტია – კომუნისტთა პარტიას, რომელიც გაბეჭდულად და ბოლომდე იცავს მუშათა და გლეხთა ინტერესებს, ხოლო რომ იგი ამ ჭალასთა ინტერესებს ცუდიდ არ იცავს, ამაში არა მკონია შესაძლებელი იყოს არამე ეჭვის შეტანა. (მჭუხარე ტაში).

ლაპარაკობენ დემოკრატიაზე. მაგრამ რა არის დემოკრატია? დემოკრატია კაპიტალისტურ კვეყნებში, სადაც ანტაგონისტური კლასები არსებობენ, საბოლოო ანგარიშით არის დემოკრატია ძლიერთათვის, დემოკრატია მქონებელი უმცირესობისათვის. დემოკრატია სსრ კავშირში, პირიქით, არის დემოკრატია

შშრომელთათვის, ე. ი. დემოკრატია ყველასათვის. მაგრამ აქედან გამომდინარებს ის, რომ დემოკრატიზმის საფუძვლებს არღვევს არა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, არამედ — ბურჟუაზიული კონსტიტუციები. ი რატომ ვფიქრობ მე, რომ სსრ კავშირის კონსტიტუცია წარმოადგენს მსოფლიოში ერთადერთ ბოლომდე დემოკრატიულ კონსტიტუციას.

ასეთია საქმის ვითარება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკის მხრივ.

## V

### შესრუჩებანი და დაგატებანი კონსტიტუციის პროექტისათვის

გადავიდეთ პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისას მოქალაქეთა შეირ კონსტიტუციის პროექტისათვის შემოტანილ შესწორებათა და დამატებათა საკითხზე.

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ, როგორც ვიცით, შესწორებათა და დამატებათა საქმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა მოგვაცა. ყველა ისინი გამოქვეყნებულია საბჭოთა პრესაში. შესწორებათა დიდი მრავალფეროვანებისა და მათი არაერთნაირი ღირებულების გამო, ჩემის აზრით, მარტბული იქნებოდა მათი დაყოფა სამ კატეგორიად.

პირველი კატეგორიის შესწორებათა განმასხვავებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი კონსტიტუციის საკითხებს კი არ შექებიან, არამედ მომავალი საკანონმდებლო ორგანოების მიმდინარე საკანონმდებლო მუშაობის საკითხებს. დაზღვევის ცალკეული საკითხები, საკოლმეურნეო მშენებლობის ზოგიერთი საკითხი, სამრეწველო მშენებლობის ზოგიერთი საკითხი, საფინანსო საქმის საკითხები, — ასეთია ამ შესწორებათა თემები. როგორც სჩანს, ამ შესწორებათა ავტორებს ვერ გაუთვალისწინებიათ განსხვავება საკონსტიტუციო საკითხებსა და მიმდინარე კანონმდებლობის საკითხებს შორის. სწორედ ამიტომ ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მცტი კანონი ჩასჭედონ კონსტიტუციაში, მიჰყავთ რა საქმე იქით, რომ კონსტიტუცია გადააქციონ კანონთა რაღაც კრებულის მაგვარად. მაგრამ კონსტიტუცია არ არის კანონთა კრებული. კონსტიტუცია არის ძირითადი კანონი, და მხოლოდ ძირითადი კანონი. კონსტიტუცია-არა თუ გამორიცხავს, არამედ გჯლისტენობს მომავალი საკანონმდებლო ორგანოების მიმდინარე საკანონმდებლო მუშაობას. კონსტიტუცია იძლევა იურიდიულ ბაზას ასეთი ორგანოების მომავალი საკანონმდებლო მუშაობისათვის. ამიტომ ისეთი ხასიათის ჩესწორებანი და დამატებანი, რომელთაც პირდაპირი დამკიდებულება არა აქვთ კონსტიტუციასთან, ჩემის აზრით, უნდა გადაეცეს ქვეყნის მომავალ საკანონდებლო ორგანოებს.

მეორე კატეგორიას უნდა მოვაკუთვნოთ ისეთი შესწორებანი და დამატებანი, რომელიც (კლილობენ შეტანონ კონსტიტუციაში) ისტორიულ ცნობათა-ელემენტები ან დეკლარაციის ელემენტები იმაზე, თუ ჯერ კიდევ რას ვერ მიაღ-

წია საბჭოთა ხელისუფლებაშ და რას უნდა მიაღწიოს მან მომავალში. აღნიშნოს კონსტიტუციაში, თუ რა სიძნელეები გადალახეს მრავალი წლის მანძილზე პარტიამ, შეშათა კლასმა და ყველა მჯრომელშა სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში; მითითებულ იქნას კონსტიტუციაში საბჭოთამ ოძრაობის საბოლოო მიზანი, ე. ი. სრული კომუნისტური საზოგადოების აგება, — ასეთია ამ შესწორებათა თემები, რომლებიც სხვადასხვა ვარიაციით მეორდება. მე ვფიქრობ, ასეთი შესწორებანი და დამატებანი აგრეთვე განზე უდა გადაიდოს, რადგან მათ არა აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება კონსტიტუციასთან. კონსტიტუცია არის იმ მიღწევათა რეგისტრაცია და საკანონმდებლო განმტკიცება, რომლებიც უკვე მოავებულია და უზრუნველყოფილი. თუ ჩვენ არ გვინდა კონსტიტუციის იმ ძირითადი ხასიათის დამახინჯება, იგი არ უნდა ავავსოთ ისტორიული ცნობებით წარსულზე, ანდა დეკლარაციებით სსრ კავშირის მშრომელთა მომავალ მონაპოვრებზე. ამ საქმისათვის ჩვენ გვაქვს სხვა გზები და სხვა დოკუმენტები.

ბოლოს, მესამე კატეგორიას უნდა მიეკუთვნონ ისეთი შესწორებანი და დამატებანი, რომელთაც აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება კონსტიტუციის პროექტთან.

ამ კატეგორიის შესწორებათა მნიშვნელოვან ნაწილს სარედაქციო ხასიათი აქვს. ამიტომ შეიძლებოდა ისინი გადაგვეცა ამ ყრილობის სარედაქციო კომისიისათვის, რომელსაც, ვფიქრობ, ყრილობა შეჰქმნის და დაავალებს მას დაადგინოს ახალი კონსტიტუციის ტექსტის საბოლოო რედაქცია.

რაც შეეხება მესამე კატეგორიის დანარჩენ შესწორებებს, მათ უფრო არ-სებითი მნიშვნელობა აქვთ, და მათ შესახებ, ჩემის აზრით, აქ უნდა ითქვას რა-მდენიმე სიტყვა.

1) უწინარეს ყოვლისა შესწორებებზე კონსტიტუციის პროექტის 1-ლი მუხლისათვის. არის ოთხი შესწორება. ერთი წინადადებას იძლევიან — ნაცვლად სიტყვებისა „მუშათა და გლეხთა სახელმწიფო“ ითქვას: „მშრომელთა სახელმწიფო“. მეორენი წინადადებას იძლევიან — სიტყვებს „მუშათა და გლეხთა სახელმწიფო“ დამატოს: „და მშრომელი ინტელიგენციის“. მესამენი წინადადებას იძლევიან — ნაცვლად სიტყვებისა „მუშათა და გლეხთა სახელმწიფო“ ითქვას: „სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა რასისა და ეროვნების სახელმწიფო“. მეოთხენი წინადადებას იძლევიან — სიტყვა „გლეხთა“ შეიცვალოს სიტყვით „კოლმეურნეთა“, ან სიტყვებით: „სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელთა“.

უნდა მივიღოთ თუ არა ეს შესწორებანი? მე ვფიქრობ, რომ არ უნდა მიჰიღოთ.

რაზე ლაპარაკობს კონსტიტუციის პროექტის 1-ლი მუხლი? იგი ლაპარაკობს საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობაზე. შეგვიძლიან თუ არა ჩვენ, მარქსისტებს, კონსტიტუციაში გვირდი ავუაროთ ჩვენი საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობის საკითხს? არა, არ შეგვიძლიან. საბჭოთა საზოგადოება, როგორც ცნობილია, შესდგება ორი კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან. კონსტიტუციის პროექტის პირველი მუხლი სწორედ ამაზე ლაპარა-

კობს. მაშასადამე, კონსტიტუციის პროექტის 1-ლი მუხლი სწორად ასანავჭ ჩვენი საზოგადოების კლასობრივ შემაღენლობას. შეიძლება გვკითხონ: მშრომელი ინტელიგენცია? ინტელიგენცია არასოდეს არ ყოფილა კლასი და არც შეიძლება იყოს,—იგი იყო და ოჩება ფენად, რომელიც თავის წევრებს იძნეს საზოგადოების ყველა კლასს შორის. ძეელ დროს ინტელიგენცია თავის წევრებს იძნდა თავადაზნაურთა, ბურჟუაზიასა, ნაწილობრივ გლეხთა შორის და მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით მუშათა შორის. ჩვენს, საბჭოთა დროში, ინტელიგენცია თავის წევრებს იძნეს უმთავრესად მუშათა და გლეხთა შორის. მაგრამ როგორადაც უნდა სდგებოდეს იგი და რა ხასიათიც უნდა ჰქონდეს მას, ინტელიგენცია მაინც არის ფენა და არა კლასი.

ხომ არ ლახავს ეს გარემოება მშრომელი ინტელიგენციის უფლებებს? სრულიადაც არა! კონსტიტუციის პროექტის პირველი მუხლი საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა ფენის უფლებებზე კი არ ლაპარაკობს, არამედ ამ საზოგადოების კლასობრივ შემაღენლობაზე. საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა ფენის უფლებებზე, მათ შორის მშრომელი ინტელიგენციის უფლებებზე, ლაპარაკია უმთავრესად კონსტიტუციის პროექტის მეათე და მეთერთმეტე თავებში. ამ თავებიდან ნათლად სჩანს, რომ მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია სავსებით თანასწორი არიან ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, მაშასადამე, მშრომელი ინტელიგენციის უფლებათა შელახვაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

იგივე უნდა ითქვას სსრ კავშირის შემაღენლობაში შემავალი ნაციებისა და რასების შესახებ. კონსტიტუციის პროექტის მეორე თავში უკვე ნათქვამია, რომ სსრ კავშირი არის თანასწორუფლებიანი ნაციების თავისუფალი კავშირი განა ღირს ამ ფორმულის განხეორება კონსტიტუციის პროექტის პირველ მუხლში, რომელიც ლაპარაკობს საბჭოთა საზოგადოების არა ნაციონალურ შემაღენლობაზე, არამედ მის კლასობრივ შემაღენლობაზე? ცხადია, რომ არა ღირს. რაც შეეხება სსრ კავშირის შემაღენლობაში შემავალი ნაციებისა და რასების უფლებებს, ამაზე ლაპარაკია კონსტიტუციის პროექტის მეორე, მეათე და მეთერთმეტე თავებში. ამ თავებიდან ნათლად სჩანს, რომ სსრ კავშირის ერები და რასები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მაშასადამე, ნაციონალურ უფლებათა შელახვაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

ასევე უმართებულო იქნებოდა შეგვეცვალა სიტყვა „გლეხი“ სიტყვით „კოლმეურნე“, ან სიტყვებით „სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელი“. ჯერ ერთი, გლეხთა შორის გარდა კოლმერნებისა ჯერ კიდევ არის მილიონზე მეტი კომლი არა-კოლმეურნენი. რა ვუყოფ მათ? ხომ არ ფიქრობენ ამ შესწორების ფტორები, რომ ისინი სათვალავში არ მივიღოთ? ეს გონივრული არ იქნებოდა მეორე, — თუ გლეხთა უმრავლესობა უკვე ეწევა საკოლმეურნეო მეურნეობას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი აღარ არის გლეხობა, რომ მას უკვე არა აქვს თავისი. პირადი მეურნეობა, პირადი კარ-მიდამო და ა. შ. მესამე, მაშინ საჭირო გახდებოდა შეგვეცვალა აგრეთვე სიტყვა „მუშა“ სიტყვებით „სოციალისტური მრეწველობის მშრომელი“. მაგრამ შესწორების ავტორები ასეთ წინადა-

დებას რატომლაც არ იძლევიან. დასასრულ, განა ჩვენში უკვე გაჰქირნენ მუშათ კლასი და გლეხთა კლასი? ხოლო თუ ისინი არ გამქრალან, განა საჭიროა ამო-გშალოთ ლექსიკონიდან მათვების დადგენილი სახელწოდებანი? შესწორების ავტორებს, როგორც ეტყობათ, მხედველობაში აქვთ არა ახლანდელი, არამედ მომავალი საზოგადოება, როცა კლასები აღარ იქნებიან და როცა მუშები და გლეხები გადაიტევიან ერთიანი კომუნისტური საზოგადოების მშრომელებად. მაშა-სადამე, ისინი აშკარად წინ მირბიან. მაგრამ კონსტიტუციის შედგენისას უნდა გამოვდიოდეთ არა მომავლიდან, არამედ აწმყოდან, იქნიან, რაც უკვე არის. კონსტიტუციას არ შეუძლიან და არც უნდა მირბოდეს წინ.

2) შემდეგ მიდის შესწორება კონსტიტუციის პროექტის მეჩვიდმეტე მუხ-ლისათვის. შესწორება მდგომარეობს იმაში, რომ მოითხოვენ სრულიად გამოირიცხოს კონსტიტუციის პროექტიდან მეჩვიდმეტე მუხლი, რომელიც ლაპარაკობს სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების თავისუფლად გამოსვლის უფლების შენარჩუნებაზე. მე ვფიქრობ, რომ ეს წინადადება არ არის სწორი და ამიტომ იგი არ უნდა მიიღოს ყრილობამ. სსრ კავშირი არის თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი კავშირი. სსრ კავშირიდან თავისუფლად გა-მოსვლის უფლების მუხლის გამორიცხვა კონსტიტუციიდან - ნიშნავს ამ კავშირის ნე-ბაყოფლობითი ხსიათის დარღვევას. შეგვიძლიან თუ არა ჩვენ გაღავდგათ ეს ნაბიჯი? მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან და არც უნდა გადავდგათ ეს ნაბიჯი. ამბობენ: სსრ კავშირში არ მოიპოვება არც ერთი რესპუბლიკა, რომელსაც სურ-დეს სსრ კავშირის შემაღენლობიდან გამოსვლა; ამის გამო მეჩვიდმეტე მუხლს არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენში რომ არ არსებობს არცერთი რეს-პუბლიკა, რომელსაც სსრ კავშირის შემაღენლობიდან გამოსვლა სურდეს, ეს, რასაცირველია, მართალია. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის რომ ჩვენ არ უნდა ჩავწეროთ კონსტიტუციაში სსრ კავშირიდან მოკავშირე რეს-პუბლიკათა თავისუფლად გამოსვლის უფლება. სსრ კავშირში აგრეთვე არ არ-სებობს ისეთი მოკავშირე რესპუბლიკა, რომელსაც სურდეს დასთრუნოს მეორე მოკავშირე რესპუბლიკა, მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციიდან გამორიცხულ უნდა იქნას მუხლი, რომე-ლიც ლაპარაკობს მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებების თანასწორობაზე.

3) შემდეგ არის წინადადება, კონსტიტუციის პროექტის მეორე თავი შევა-უსოთ ახალი მუხლით, რომლის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ პვტონომი-ური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, როცა ისინი სამეურნეო და კულ-ტურული განვითარების სათანადო დონეს მიაღწევენ, შეიძლება გარდაიქმნან მო-კავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად. შეიძლება თუ არა მივიღოთ ეს წინადადება? მე ვფიქრობ, რომ მისი მიღება საჭირო არ არის. იგი არ არის. სწორი არა მარტო თავისი შინაარსის მხრივ, არამედ თავისი მოტივების მხრი-ვაც. შეუძლებელია ავტონომიური რესპუბლიკების გადავყანა მოკავშირე რეს-პუბლიკათა თანარიგში მოტივირებულ იქნას მათი სამეურნეო და კულტურული მომწიფებით, ისევე როგორც შეუძლებელია მოტივირებულ იქნას ამა თუ იმ რეს-პუბლიკის დატოვება ავტონომიურ რესპუბლიკათა სიაში მისი სამეურნეო ან კულ-ტურული ჩამორჩენილობით. ეს იქნებოდა არამარქსისტული, არალენინური

მიღვომა. მაგალითად, თათართა რესპუბლიკა რჩება ავტონომიური, ხოლო კაზახთა რესპუბლიკა ხდება მოკავშირე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ კაზახთა რესპუბლიკა კულტურული და სამეცნიერო განვითარების თვალსაზრისით უფრო მაღლა დგას, ვიდრე თათართა რესპუბლიკა. საქმე სწორედ რომ პირია არის. იგივე უნდა ითქვას, მაგალითად, ვოლგის მხარის გერმანელთა ავტონომიურ რესპუბლიკაზე და ყიდვისთა მოკავშირე რესპუბლიკაზე, რომელთაგან პირველი კულტურული და სამეცნიერო მხრივ უფრო მაღლა დგას, ვიდრე მეორე, თუმცა იგი ავტონომიურ რესპუბლიკად რჩება.

როგორია ის ნიშნები, რომელთა არსებობაც საფუძველს გვაძლივს გადავიყანოთ ავტონომიური რესპუბლიკები მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში?

ისინი, ეს ნიშნები,—სამია.

ჯერ-ერთი, საჭიროა, რომ რესპუბლიკა იყოს განაპირო, რომელიც ყოველ-მხრივ არ არის გარშემორტყმული სსრ კავშირის ტერიტორიით. რატომ? იმიტომ რომ, თუ მოკავშირე რესპუბლიკას რჩება სსრ კავშირიდან გამოსვლის უფლება, მაშინ საჭიროა ამ რესპუბლიკას, რომელიც მოკავშირე გახდა, საშუალება პქმნდეს ლოგიკურად და ფაქტიურად დააყენოს სსრ კავშირიდან თავისი გაბოსვლის საკითხი. ხოლო ასეთი საკითხის დასმა შეუძლიან მხოლოდ ისეთ რესპუბლიკას, რომელიც, ვთქვათ, ესაზღვრება უცხოეთის რომელიმე სახელმწიფოს და, მაშასადამე, ყოველი მხრიდან არ არის გარშემორტყმული სსრ კავშირის ტერიტორიით. რასაკვირველია, ჩვენში არ არიან ისეთი რესპუბლიკები, ფაქტიურად რომ აყენებდნენ სსრ კავშირიდან გამოსვლის საკითხს. მაგრამ რაკი მოკავშირე რესპუბლიკას რჩება სსრ კავშირიდან გამოსვლის უფლება, მაშინ ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ ეს უფლება არ გადაიქცეს ფარატინა და უაზრო ქალალდა. ავილოთ, მაგალითად, ბაშკირეთისან თათართა რესპუბლიკა. ვთქვათ, ეს ავტონომიური რესპუბლიკები გადავიყანეთ მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში. შეეძლოთ თუ არა მათ ლოგიკურად და ფაქტიურად დაეყენებინათ სსრ კავშირიდან თავიანთი გამოსვლის საკითხი? არა, არ შეეძლოთ. რატომ? იმიტომ, რომ ისინი ყოველმხრივ გარშემორტყმული არიან საბჭოთა რესპუბლიკებითა და ოლქებით და, კაცმა რომ სოქეს, მათ სსრ კავშირის შემადგენლობილან არსად წარმატებათ. (საერთო სიცილი, ჟაში). ამიტომ ასეთი რესპუბლიკების გადაყვანა მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში სწორი არ იქნებოდა.

მეორე მხრივ, საჭიროა, რომ ეროვნება, რომლის სახელიც საბჭოთა რესპუბლიკას ეწოდება, წარმოადგენდეს ამ რესპუბლიკაში ცოტად თუ ბევრად კომპაქტურ უმრავლესობას. მაგალითად, ავილოთ ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა. იგი არის განაპირო რესპუბლიკა, მაგრამ ყირიმელ თასტრებს არა ჰყავთ უმრავლესობა ამ რესპუბლიკაში, პირიქით,—ისინი იქ უმცირესობას წარმოადგენს. მაშასადამე, უმართებულობა და ულოგიკობა იქნებოდა ყირიმის რესპუბლიკის გადაყვანა მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში.

მესამე: საჭიროა, რომ რესპუბლიკა არ იყოს ძალიან პატარია თავისი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, რომ მას ჰყავდეს მოსახლეობა, ვთქვათ, არა ნაკლებ, არამედ მეტი თუნდაც ერთი მილიონისა. რატომ? იმიტომ რომ უმართებულო იქნება იმის ფიქრი, თითქას პატარია საბჭოთა რესპუბლიკას, რომელსაც მო-

სახლეობის მინიმალური რაოდენობა და უმნიშვნელო არმია ჰყავს, შეეძლოს პქონდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის იმედი. მგონი ეჭვი არ უნდა ვიქონით, რომ იმპერიალისტური მტაცებლები სწრაფად ჩაიგდებდნენ მას ხელში.

მე ვუიქრობ, რომ თუ ეს სამი ობიექტური ნიშანი არ არსებობს, სწორი არ იქნებოდა ამ ისტორიულ მომენტში დავაყენოთ ამა თუ იმ ავტონომიური რესპუბლიკის მოკავშირე რესპუბლიკათა თანრიგში გადაყვანის საკითხი.

4) შემდეგ წინადადება შემოაქვეთ ამოვშალოთ მე-22, 23, 24, 25, 26, 27, 28 და 29 მუხლებში დაწვრილებითი ჩამოთვლა მოკავშირე რესპუბლიკების აღმინისტრატიულ-ტერიტორიული დაყოფისა მხარეებად და ოლქებად. მე ვფრაქრობ, რომ ეს წინადადებაც მიუდეველია. სსრ კავშირში არიან აღამიანები, რომლებიც მზად არიან დიდის ხალისით და დაუღალავად ხელახლა განისჭრან მხარეები და ოლქები და ამით არევდარევა და რწმენის უქონლობა შეიტანონ მუშაობაში. კონსტიტუციის პროექტი ასეთი აღამიანებისათვის ჰქმნის ლაგამს. და ეს ძალიან კარგია, იმიტომ, რომ აქ, ისე როგორც სხვა ბევრ რამეში, ჩვენში საჭიროა რწმენის ატმოსფერო, საჭიროა სტაბილობა, სიცხადე.

5) მეხუთე შესწორება ეხება მე-33 მუხლს. მისანშეუწონლად სავლიანორი პალატის შექმნას და წინადადებას იძლევიან მოისპოს ეროვნებათა საბჭო. მე მგონია, ეს შესწორება აგრეთვე სწორი არ არის. ერთპალატიანი სისტემა ორპალატიანზე უკეთესი იქნებოდა, საბჭოთა კავშირი რომ ერთიან ნაციონალურ სახელმწიფოს წარმოადგენდეს. მაგრამ საბჭოთა კავშირი არ არის ერთიანი ნაციონალური სახელმწიფო. საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, არის მრავალეროვანი სახელმწიფო. ჩვენ გვაქვს უზენაესი ორგანო, სადაც წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის ხაერთო ინტერესები დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა. ეს არის კავშირის საბჭო. მაგრამ საბჭოთა კავშირის ეროვნებებს საერთო ინტერესებს გარდა აქვთ კიდევ თავისი განსაკუთრებული, სპეციფიკური ინტერესები, რომებიც დაკავშირებული არიან მათს ნაციონალურ თავისებურებებთან. შეიძლება თუ არა ამ სპეციფიკური ინტერესების უგულებელყოფის არა, არ შეიძლება. საჭიროა თუ არა სპეციალური უზენაესი ორგანო, რომელიც სწორედ ამ სპეციფიკურ ინტერესებს ასახავდეს? უთუოდ საჭიროა. არავითარი ეჭვი არაა, რომ ასეთი ორგანოს გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფოს შართვა, როგორიცაა საბჭოთა კავშირი. ასეთ ორგანოს წარმოადგენს მეორე პალატა, სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭო.

მიუთითებენ ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოთა საპარლამენტო ისტორიაზე, მიუთითებენ იმაზე, რომ ორპალატიანმა სისტემამ ამ ქვეყნებში მხოლოდ მინუსები მოგვცა, რომ მეორე პალატა ჩვეულებრივ ჩეაქციის ცენტრად და წინსელის საწინააღმდეგო მუხრუჭად გადავარდებათ. ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ამ ქვეყნებში პალატებს შორის არ არის. თანასწორობა. როგორც ვიცით, მეორე პალატას ხშირად მეტ უფლებებს აძლევენ, ვიდრე პირველს, და შემდეგ, როგორც წესი, მეორე პალატა ეწყობა. არადემო-

ქრატიული გზით, ხშირად შისი წევრების ზევიდან დანიშვნის გზით. უძველია, ეს მინუსები არ იქნება, თუ გავატარებთ თანასწორობას პალატებს შორის და შეორე პალატას მოვაწყობთ ისევე დემოკრატიულად, როგორც პირველს.

6) შემდეგ კონსტიტუციის პროექტისათვის იძლევიან დამატებას, რომელიც მოითხოვს ორთავე პალატის წევრთა რაოდენობის გათანასწორებას. მე ვფიქრობ, ამ წინადადების მიღება შეიძლებოდა. იგი გვაძლევს, ჩემის აზრით, აშვარა პოლიტიკურ პლუსებს, რადგან ხაზს უსვაშს პალატების თანასწორობას.

7) შემდეგ მიდის კონსტიტუციის პროექტის დამატება, რომლის ძალით წინადადებას იძლევიან იმგვარადვე ავირჩიოთ დეპუტატები ეროვნებათა საბჭოში, როგორც კავშირის საბჭოში, პირდაპირი არჩევნების გზით. მე ვფიქრობ, რომ ამ წინადადების მიღებაც შეიძლებოდა. მართალია, მას შეუძლიან ზოგიერთი ტექნიკური უზერხულობის შექმნა არჩევნების დროს. სამაგიუროდ იგი დიდ პოლიტიკურ მოვებას მოვცემს, რადგან იგი ასწევს ეროვნებათა საბჭოს ავტორიტეტს.

8) შემდეგ მიდის მე-40 მუხლის დამატება, რომლის ძალით წინადადებას იძლევიან მივანიჭოთ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება გამოსცეს დროუბითი საკანონმდებლო აქტები. მე ვფიქრობ, რომ ეს დამატება არ არის სწორი და არ უნდა მიიღოს ყრილობაში. ბოლოსგამოლოს საჭიროა ბოლო მოელოს იშმდეომარეობას, როცა კანონმდებლობას არა ერთი რომელიმე ორგანო, არამედ მთელი რიგი ორგანოები. ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება კანონების სტაბილობის პრინციპს. ხოლო კანონების სტაბილობა ანლა უფრო მეტად ვეჭირდება, ვიდრე ოდესმე. საკანონმდებლო ძალაუფლებებს სსრ კავშირში უნდა ანხორციელებდეს მხოლოდ ერთი ორგანო, სსრ კავშირის უზენაესი საბჭო.

9) შემდეგ შემოაქვთ კონსტიტუციის პროექტის მე-48 მუხლის დამატება, რომლის ძალით მოითხოვენ, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე არჩეულ იქნას არა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ, არამედ ქვეყნის მთელი მოსახლეობის მიერ. მე ვფიქრობ, რომ ეს დამატება არაა სწორი, ვინაიდან იგი არ შეესაბამება ჩევნი კონსტიტუციის სულს. ჩევნი კონსტიტუციის სისტემით სსრ კავშირში არ უნდა იყოს ერთპიროვნული პრეზიდენტი, რომელსაც იპოჩევს მთელი ხალხი, უზენაესი საბჭოს თანაბრად, და რომელსაც შეექლება თავისთავი დაუპირისპიროს უზენაეს საბჭოს. საბჭოთა კავშირში პრეზიდენტი კოლეგიალურია, — ეს არის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ჩათვლით, არჩეული არა მთელი მოსახლეობის, არამედ უზენაესი საბჭოს მიერ და ანგარიშვალდებული უზენაესი საბჭოს წინაშე. სსტორიის გამოყდილება გვიჩვენებს, რომ უზენაესი ორგანოების ასეთი აეგბა ყველაზე უფრო დემოკრატიულია და უზრუნველყოფს ქვეყანას არასასურველი შემთხვევითობისაგან.

10) შემდეგ მიდის შესწორება იმავე მე-48 მუხლისათვის. იქ ნათქვამია: გადიდებული სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილობრივი თერთმეტამდე იმ ანგარიშით, რომ თვითული მოვაჭირეს უზღდებული და იყოს ერთი მოადგილე. მე ვფიქრობ, რომ ამ შესწორების მი-

ლეგა შეიძლებოდა, ვინაიდან იგი აუმჯობესებს საქმეს და შეუძლიან მხოლოდ განამტკიცოს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ავტორიტეტი.

11) შემდეგ მიღის შესწორება მე-77 მუხლისათვის. იგი მოითხოვს მოქალაქეობის ახალი საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატი,—თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარიატი. მე ვფიქრობ, რომ საჭირო იქნებოდა ამ შესწორების მიღებაც (ტაში), ვინაიდან მომწიფედა დრო იმისათვის, რომ გამოყოფილი თავდაცვის მრეწველობა და მიუცეთ მას სათანადო გაფორმება სახალხო კომისარიატის სახით. მე მფონია, რომ ეს მხოლოდ გააუმჯობესებდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეს.

12) შემდევ მიღის კონსტიტუციის პროექტის ასოციამეოთხე მუხლის შესწორება, რომელიც მოითხოვს ამ მუხლის შეცვლას იმ მიმართულებით, რომ აიკრძალოს რელიგიურ წესთა შესრულება. მე ვფიქრობ, რომ ეს შესწორება უარყოფილ უნდა იქნას, როგორც ჩვენი კონსტიტუციის სულის შეუსაბამო.

13) დასასრულ, კიდევ ერთი შესწორება, რომელსაც უოტად თუ ბევრად არსებითი ხასიათი აქვს. მე ვლაპარაკობ შესწორებაზე კონსტიტუციის პროექტის ასოციამეხუთმეტე მუხლისათვის. ივი წინადაღებას იძლევა ჩამოერთვას საარჩევნო უფლებები კულტის მსახურთ, ყოფილ თეთრგვარდიელთ, ყველა ყოფილ ადამიანსა და პირს, რომელნიც კი საერთო-სასარგებლო შრომას არ ეწევიან, ანდა, ყოველ შემთხვევაში, — შეიზღუდოს ამ კატეგორიის პირთა საარჩევნო უფლებანი, — მიენიჭოთ მათ მხოლოდ უფლება — აირჩიონ, მაგრამ არ იქნან არჩეული. მე ვფიქრობ, ეს შესწორებაც უარყოფილ უნდა იქნას. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა საარჩევნო უფლებანი არა-მშრომელ და ექსპლოატატორულ ელემენტებს არა უკუნითი უკუნისაშველ, არამედ დროებით, განსაზღვრულ პერიოდამდე. იყო დრო, როცა ეს ელემენტები აშკარა ბრძოლას აწარმოებდნენ ხალხის წინააღმდეგ და წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა კანონებს. საბჭოთა კანონი მათი საარჩევნო უფლების ჩამორთვის შესახებ იყო საბჭოთა ხელისუფლების პასუხი ამ წინააღმდეგობის გაწევაზე. მას შემდევ უოტა დრომ როდი განვლო. განვლილ პერიოდში ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ექსპლოატატორული კლასები მოსპობილი არიან, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება უძლეველ ძალად გადაიქცა. ხომ არ მოვიდა დრო გადაისინვროს ეს კანონი? მე ვფიქრობ, რომ ეს დრო მოვიდა. ამბობენ, ეს საშიშიაო, რადგან ჩვენი ქვეყნის უზენაეს ორგანოებში შეიძლება გაძვრნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული ელემენტები, ზოგი ვინმე ყოფილი თეთრგვარდიელებიდან, კულაკებიდან, ხუცებიდან და ა. შ.; მაგრამ, კაცმა რომ სოჭვას, რისა უნდა გვეშინოდეს აქ? „Волков боятьсяся, в лес не ходить\*“ (შეიარულთ გაცხოველება დარბაზში, მქუჩარე ტაში). ჯერ-ერთი, ყველა ყოფილი კულაკი, თეთრგვარდიელი თუ ხუცესი საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობდები არ არის. მეორე, ხალხმა კიდეც რომ აირჩიოს აქა-იქ მტრული ადამია-

\* მგლებისა გეშინიან—ტყეში. ნუ წანვალ.

ნები, ეს იმის მაჩვენებელი იქნება; რომ ჩვენი სააგიტაციო მუშაობა ძალიან ცუდად არის დაყენებული, და ჩვენ სავსებით დაგვიმსახურებია. ასეთი სირცვა-ლი, ხოლო თუ ჩვენი სააგიტაციო მუშაობა ბოლშევიკურად იწარმოებს, მაშინ ხალხი თავის უზენაეს ორგანიზაციი მტრულ აღამიანებს არ შეუშევებს. მაშასა-დამე, კი არ უნდა ვიწუშუნოთ, არამედ უნდა ვიმუშაოთ (მქუხარე ფაშა), უნდა ვიმუშაოთ და არა დაველოდოთ იმას, რომ ყველაფერი მზამზარეულად მოგვე-ცემა აღმინისტრატიულ განკარგულებათა წესით. ლენინი ჯერ კიდევ 1919 წელს ამბობდა, რომ შორის არ არის ის დრო, როცა საბჭოთა ხელისუფლება სასარ-გებლოდ მიიჩნევს შემოილოს საყოველთაო საარჩევნო უფლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. მიაქციეთ ყურადღება: ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ამას იგი ამბობდა მაშინ, როცა უცხოელთა სამხედრო ინტერვერცია ჯერ კი-დევ ლიკვიდირებული არ იყო, ხოლო ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურ-ნეობა სასოწარმკვეთ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მას შემდეგ უკვე ჩვიდ-მეტმა წელმა განვლო. განა დრო არ არის, ამხანაგებო, შევასრულოთ ლენინის მითითება? მე ვფიქრობ, რომ დროა.

აი რას ამბობდა ლენინი 1919 წელს თავის შრომაში „რკპ (ბ) პროგრა-მის პროექტი“. ნება მომეცით წაგიკითხოთ:

„რკპ უნდა განუმარტავდეს მშრომელ მასებს, წარმავალ ისტორიულ საჭი-როებათა არასწორი განზოგადების თავიდან ასაცილებლად, რომ მოქალაქეთა ნაწილისათვის საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევა სრულიადაც არ ეხება საბჭოთა რესპუბლიკაში, როგორც ეს ხდებოდა უმეტეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რე-სპუბლიკებში, მოქალაქეთა განსაზღვრულ კატეგორიას, რომელნიც სამუდამოდ უუფლებოებად ცხადდებიან, არამედ ეხება მხოლოდ ექსპლოატატორებს, მხოლოდ იმათ, ვინც წინააღმდეგ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კა-ნონებისა ჯიუტობს თავისი ექსპლოატატორული მდგომარეობის დაცვაში, კაპი-ტატიალისტურ ურთიერთობათა შენარჩუნებაში. მაშასადამე, საბჭოთა რესპუბლიკაში, ერთის მხრივ, სოციალიზმის ყოველდღიურ განმტკიცებასა და იმათი რიც-ხვის შემცირებასთან ერთად, ვისაც ობიექტურად შესაძლებლობა აქვს დარჩეს ექსპლოატატორული, ან შეინარჩუნოს კაპიტალისტური ურთიერთობანი, თავისთა-ვად მცირდება საარჩევნო უფლებაჩამორთმეულთა პროცენტი. არა გვგონია ახლა-რუსეთში ეს პროცენტი ორ, სამ პროცენტზე მეტი იყოს. მეორე მხრივ, სულ ახლო მომავალში საგარეო შემოსევის შეწყვეტასა და ექსპრობრიატორთა ექს-პრობრიაციის დამთავრებას შეუძლიან, გარკვეულ პირობებში, შეკვეთას ისეთი მდგომარეობა, როცა პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება აირჩევს ექს-პლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვის სხვა ხერხებს და შემოიღებს საყო-ვილთაო საარჩევნო უფლებას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე“. (ლენინი, ტ. XXIV, გვ. 94. პარტკამომცემლობის გამოცემა. 1935 წელი).

მეონი ნათელია.

ასეთია საქმის ვითარება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტისათვის შესწორებათა და დამატებათა მხრივ.

## სსრ კავშირის აზალი კონსტიტუციის მიღების დღე

თუ ვიმსჯელებთ საყოველთაო-სახალხო განხილვის შედევთა მიხედვით, რომელიც თითქმის ხუთ თვეს გრძელდებოდა, შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ კონსტიტუციის პროექტი ამ ყრილობის მიერ მოწონებული იქნება. (მქუჩარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. დარბაზი ფეხზე დგება).

რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა კავშირს ექნება ახალი, სოციალისტური კონსტიტუცია, აგებული გაშლილი სოციალისტური დემოკრატიზმის საფუძვლებზე.

ეს იქნება ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მარტივად და სხარტად, თითქმის ოქმის სტილით ლაპარაკობს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტებზე, კაპიტალისტური მონობისაგან სსრ კავშირის მშრომელთა განთავისუფლების ფაქტებზე, სსრ კავშირში გაშლილი, ბოლომდე თანმიმდევარი დემოკრატიის გამარჯვების ფაქტებზე.

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაზედაც ოცნებობდნენ და განაგრძობდნენ ოცნებას მილიონობით პატიოსანი ადამიანები კაპიტალისტურ ქვეყნებში, — უკვე განხორციელებულია სსრ კავშირში. (მქუჩარე ტაში).

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის, რაც განხორციელებულია სსრ კავშირში, სავსებით შეიძლება განხორციელდეს სხვა ქვეყნებშიაც. (მქუჩარე ტაში).

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ არა გვგონია შეიძლებოდეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საერთაშორისო მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება.

ახლა, როცა ფაშიზმის მღვრიე ტალღა აფურთხებს მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობას და ტალახში სკრის ცივილიზებული მსოფლიოს საუკეთესო ადამიანთა დემოკრატიულ მისწრაფებებს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია იქნება საბრალმდებლო აქტი ფაშიზმის წინააღმდეგ, აქტი, რომელიც ლაპარაკობს იმაზე, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველი არიან. (ტაში). სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მორალური დახმარება და რეალური საყრდენი იქნება ყველა იმათვეს, ვინც ახლა ბრძოლას აწარმოებს ფაშისტური ბარბაროსაბის წინააღმდეგ. (მქუჩარე ტაში).

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციის სსრ კავშირის ხალხთათვის. თუ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთათვის სსრ კავშირის კონსტიტუციას მოქმედებათა პროგრამის მნიშვნელობა ექნება, სსრ კავშირის ხალხთათვის მას აქვს მათი ბრძოლის შეჯამების, კაცობრიობის განთავისუფლების ფრონტზე მათ გამარჯვებათა შეჯამების მნიშვნელობა. ბრძოლისა და გაჭირვების განვლილი გზის შედეგად სასიამოვნო და სასიხარულოა გვქონდეს ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც ჩვენს გამარჯვებათა ნაყოფზე ლაპარაკობს. სასიამოვნო და სასიხარულო ვიცოდეთ, რისთვის იბრძოდნენ ჩვენი ადამიანები და როგორ მრაღწიეს მათ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას. სასიამოვნო და

სასიხარულოა ვიცოდეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვად დალვარეს ჩვენმა აღა-  
მიანებმა, ამაოდ არ ჩაუვლია, რომ მან თავისი შედეგები მოგვცა. (ხანგრძლივი  
ტაზი). ეს სულიერად აიარალებს ჩვენს მუშათა კლასს, ჩვენს გლეხობას, ჩვენს  
მშრომელ ინტელიგენციას ეს წინ გვამოძრავებს და გვიმაღლებს კანონიერი სია-  
მაყის გრძნობას. ეს განგვიმტკიცებს რწმენას საქუთარი ძალებისაღმი და გვრა-  
ზმავს ახალი ბრძოლისათვის კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.  
(მქუჩარე ოვაცია. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. მჭექარე „გაშა“. საერთო  
შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ ს ტალინს!“ ურილობა ფეხზე აზღარი  
მდერის „ინტერნაციონალს“. „ინტერნაციონალის“ შესრულების შემდეგ ოვა-  
ცია ახლდება. შეძახილები: „გაშა“, „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს ამხანაგ  
ს ტალინს!“).

## შვილებარე გებრძოლი \*)

ახლა, როცა სრულდება ჩვენი პარტიის უდიდესი მოღვაწის, ამხანაგ სტალინის უახლოესი მეცნიერისა და თანამებრძოლის, პროლეტარული რევოლუციის მგზნებარე და აღფრთოვნებული ტრიბუნის სერვე მირონის-ძე კიროვის უაზაქურად მოკვლის წლისთავი, — ძალაუნებურად იხსენებ გმირულ წარსულს ჩვენი ქვეყნისას; რომელიც რევოლუციის აღში სჭედდა, დღვევანდელ ნათელ ცხოვრებას.

ტროცკი-ზინოვიევის კონტრრევოლუციური ოპოზიციის ნაბოლარის ხელით მოკლული კიროვის საამაყო სახელი სამუდამოდ ჩაწერილია სოკიალიზმისთვის ბრძოლის ისტორიაში.

1919 წელს ჩრდილო-კავკასია სამოქალაქო ოშის ცეცხლში იყო გახვეული, ფრონტის ფართო ზოლი მიჰყვებოდა შავი ზღვიდან მთელ ჩრდილო-კავკასიას, მრავილა ვოლგასთან ასტრახანის მახლობლად და მიიმართებოდა შემდეგ ურალისაკენ. წითელი ასტრახანი აშორებდა დენიკინს კოლჩაკისაგან და ხელს უშლიდა მათ გაერთიანებინათ თავისი ძალები. ამავე დროს ასტრახანი იყო ერთადერთი პუნქტი, რომლითაც საბჭოთა რუსეთი ამიერ-კავკასიას უკავშირდებოდა.

ინგლის-საფრანგეთის ფლოტს ხელთ ეპყრა შავი ზღვა. დენიკინი თარე-შობდა თერგზე, და ჩრდილო-კავკასიაში, ინგლისელები და ქსერები — კასპიის ვალმა მხარეში. ამიერ-კავკასია მოწყვეტილი იყო საბჭოთა რუსეთს, და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები — საქართველოს, სომხეთის, და აზერბეიჯანის ბოლ-შევიკები — კავშირს აბამდნენ ბაქოსთან, ხოლო იქიდან, უსასტიკესი კანსპირაციისა, და სიკვდილის საფრთხის პირობებში — ასტრახანთან, სადაც სერვე მირონის-ძე კიროვი ბრწყინვალედ აწყობდა. და ეწეოდა ბრძოლის საბჭოთა რუსეთს ყველა მტერთან.

მაშინ (1919 წლის თებერვალი) კასპიის გაღმა მხარელიან ინგლისელთა და ესერთა სისხლიან კლანჭებს გამოუსხლტა და ბაქოში ჩამოვიდა მიქოანი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ბაქოს ბოლშევიკურ ორგანიზაციას.

ასტრახანის განსაკუთრებით ღიღი მნიშვნელობა იმაში მღვიმარეობდა, რომ სწორედ ამ ხაზით და მხოლოდ ამ ხაზით იყო შესაძლებელი ბაქოს ნავთის გატანა საბჭოთა რუსეთში..

\*) წერალი დაიბეჭდა „პრავდაში“ 1935 წლის დეკემბერს და გაუმობეჭილი „კომუნისტში“ იმავე წლის 3 დეკემბრის ნომერში.

ნავთი კი მეტისმეტად საჭირო იყო. 80 მილიონშა ფუთმა ნავთმა, რომელიც ბაქოს ბოლშევიკებმა 1918 წელს გაგზავნეს, უდიდესი როლი ითამაშა. წითელი არმიის ბრძოლაში. მაგრამ ეს რაოდენობა საკმარისი არ იყო. საბჭითა რუსეთის სათბობის ჩესურსები 1919 წელს უაღრესად მცირე იყო. ნავთი არ ჰყოფნიდათ. დონბასი სანახევროდ თეთრებს ეჭირათ.

ლენინი და სტალინი მწვავედ აყენებდნენ საბჭითა რუსეთისათვის, წილებინი და სტალინი მწვავედ აყენებდნენ საბჭითა რუსეთისათვის. აუცილებელი იყო თელი არმიის საჭიროებისათვის ნავთის მიღების საკითხს. აუცილებელი იყო მთელი მეცადინეობის წარმართვა ნავთის რაც შეიძლება სწრაფად მისაღებად. სერგეი მირონის-ძე, ამოცანად ისახავდა რა პეტროვსკისა და ბაქოს დაბრუნებას, ამავე დროს ყოველ ზომას ხმარობდა ბაქოდან ნავთის პროდუქტების, უწინარეს ყოვლისა, ბენზინისა და საცხი ზეთების მისაღებად.

ბაქოს მუსავატელთა რადიოსადგური მაშინ ფაქტიურად ბოლშევიკების ხელში იყო, რომელთაც იქ თავისი ხალხი ჰყავდათ. ეს კიროვს საშუალებას აძლევდა ხშირად დაკავშირებოდა ბაქოს და ბაქოს ბოლშევიკურ არალევალურ ორგანიზაციას.

ბაქოს ბოლშევიკებმა 1919 წლის მაისში გააჩაღეს ბაქოს პროდუქტართა ფართო მასების ბრძოლა ლოზუნებით: „საქონლის გაცვლა-გამოცვლა ასტრა-ხანთან“, „ნავთის გაზიდვა რუსეთში“. ბრძოლა დაიწყო ბაქოს მუშების მაისის ვაფიცვით. მარცხმა გაფიცვისა, რომელიც დამთავრდა საგაფიცვო ქომიტეტისა და მისი მეთაურის მიქოიანის დაპატიმრებით, საჭირო გახადა სხვა ზომების მიღება ჩრდილოეთისაკენ ნავთის პროდუქტების გასაგზავნად.

კიროვმა უდიდესი რისკის გაწევით მოაგვარა ბაქოდან ასტრახანში გენ-ჭრნის გადაზიდვა „კირუმიებით“, უბრალო თურქენული ნავებით. 1919 წლის ზაფხულს და შემოღომაზე კიროვმა ასტრახანში შევქმნა რამდენიმე ათეული ნავისაგან შემდგარი მოელი ფლოტიალია. ეს იყო სახიდათო, სიკვდილის საღრმოსით აღსავს წამოწყება. ამისათვის საჭირო იყვნენ პარტიისა და პაბჭითა. ხელისუფლებისაღმი უსაზღვროდ ერთგული აღამიანები.. კიროვი ამ საზღვაო ექსპედიციებისათვის პირადად არჩევდა ყველაზე საიმედო, გამედულ აღამიანებს. ნავთის პროდუქტები მცირე რაოდენობით მიქვინდათ ნავებით, მაგრამ საერთოდ გადატანილ იქნა. 20 ათას ფუთზე მეტი. ეს საკმარისი იყო ასტრახანის თვითმფრინავთა ესკადრილისა და ივტო-ტრანსპორტის გამოსაცოცხლებლად და კასპიის სანაპიროზე წითელი ნაწილების ბრძოლის გასაგრძელებლად.

1919 წლის ოქტომბერს დენიკინმა მოახერხა ჩრდილოეთისაკენ წინწარება, ვორონეჟისა და ორიოლის ხელში ჩაგდება.

ამავე დროს კაბინის სანაპიროზე და დალესტანში ფართოვდებოდა კიროვის მიერ მოწყობილი მთიელთა აჯანყება მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. კიროვი უდიდესი სიმედგრით, განსაკუთრებული შეუპოვრობითა და მოხერხებით მშადებდა ამ აჯანყებას, ერთის მხრივ, სამხრეთით, ბაქოსაკენ წინწარებების წილებისათვის, ხოლო მცირე მხრივ, ორიოლ-როსტოვის ხაზზე დენიკინის ვანაღურების გასაღვილებლად.

დეგბოდა გადამწყვეტი ბრძოლებისა და გაღამწყვეტ გამარჯვებათა დღეები.

28 პპრილს ქლევამოსილი წითელი არმია ბაქოში შევიდა. ბაქოში ჩამო-  
ფიღნენ არჯონიერი, კიროვი და მიქიანი

1920 წლის 5 მაისს აზერბაიჯანის კ. კ. (ბ) ბაქოს ორგანიზაციის პირველ  
ლურგალურ კონფერენციაზე კიროვი გამოვიდა მოხსენებით თემაზე: „მიმღ-  
ნარე მომენტი“.

„ჩვენ ა. ამბობდა კიროვი, — ნაფუძელს ჩავუყრით ცივილიზაციული  
ეკონომისა. და ეგრეთწოდებული ჩამორჩენილი, უცულტურო აღმოსავლეთის  
ხალხთა დასა გაერთიანებას“.

ამავე სიტყვაში კიროვმა მთელი სიგრძე-სიგანით დაყენა ნავთისათვის,  
პრძოლის საკითხი, საკითხი, თუ რა როლი და მნიშვნელობა აქვს ამ „მაცოც-  
ხლებელ სითხეს“, „მუშარ-გლეხური საშობლოს“ განსამტკიცებლად.

„თუ ამა მაცოცხლებელი სითხე ყველა არტერიას დაუვლის, მაშინ  
უასლოეს თვეებში მოძრაობა გაცილებით უფრო სწრაფი.. გაცილებით უფრო  
ენერგიული იქნება; ეს არის რუსეთის ხამურნეო ცხოვრების აღდგენის მთა-  
ვარი საწინდარო“.

ნავთისათვის კიროვის ბრძოლის პირველი ეტაპი დამთავრდა.

დადგა ნავთის დარღვეული მეურნეობის აღდგენისათვის კიროვის შეუ-  
პოვარი მუშაობის ახალი პერიოდი.

ეს პერიოდი უშეალოდ დაკავშირებულია კიროვის, როგორც აზერბაი-  
ჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ხელმძღვანელის,  
მოლვაწეობისთან.

1921 წელი. სამოქალაქო ომი დამთავრებულია. საბჭოების ქვეყანა ქნერ-  
გულად შეუდგა ომით მიყენებულ ჭრილობათა მოშუშებას, მშეიღებინ მშეკ-  
ნებლობას და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენის. თუ ნავ-  
თისა და ნავთის პრიდუქტების საჭიროება მწვავედ იყო საგრძნობი სამარი-  
შოებედების პერიოდში, მასი დამთავრების შემდეგ ეს საჭიროება კიდევ უფრო  
მწვავე გახდა.

ნავთოვანი ბაქო ჩვენს ხელში იმყოფებოდა, მაგრამ ნავთის მრეწველობა  
სავსებით დანგრეული იყო. ნამდეინად რომ ითქვას, საჭირო იყო მუშაობის  
ხელმახლა დაწყება. საჭირო იყო ბურღვისა და ექსპლოატაციის ახალი წესების  
შემოღება დიდად განვითარებული ამერიკული ტექნიკის საფუძველზე. საჭირო  
იყო უბრალო მიღების გადაღება, ამოქასრვის შეცვლა ღრმა ტუმბოთი და  
კომპრესორით, ნავთის მოტორის მავივრად ელექტრომოტორის გამოყენება და  
ბურღვის წარმოება არა პირველყოფილი სარტყმელი, ჩარხით, არამედ სწრა-  
ფად მომუშავე — ბრუნვითი ჩარხით.

ასე აყენებდნენ საკითხს ჩვენი პარტია და მთავრობა და სწორედ ასე და-  
რწყო მოქმედება სერვე მირონის-ძე კიროვმა თავისი ჩვეული სიმედგრითა  
და ენერგიით. არათუ ნავთის მრეწველობის მრავალ ინჟინერ-ტექნიკოსს, არა-  
შედ ცალკეულ სპეციალისტებს, სამეცნიერო მუშაკებსა და კომუნისტებსაც კი  
არ ესმოდათ „აზნავთის“ რეკონსტრუქციის აუცილებლობა.

კიროვს მოუხდა ბრძოლა ამ ჩამორჩენილი კონსერვატიული ელემენტების  
ფარულ და აშერი საბოტაფითან, იგი ხან იძულების მეთოდებით მოქმედებდა,  
ჩან დარწმუნების ზომებით.

და მხოლოდ კიროვის გასამცარ შეუბოვრობას, ბოლშევიკურ სიმედგრეს და ორგანიზატორულ ნიჭის უნდა ვუმაღლოდეთ, რომ აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის რეკომისტრუქციის პირველი ეტაპი ბრწყინვალედ დამთავრდა.

ბაქოში კიროვის მუშაობის უკანასკნელ წელს (1925 წ.) ნავთის მრეწველობამ საბჭოების ქვეყანას 4.600 ათას ტონაზე მეტი წავთი მისცა.

ეს ბაქოს ბოლშევიკებისა და ბაქოს ნავთის მუშების დიდი გაძარჯვება იყო!

კიროვის ენერგია და მუშაობაში უნარი განსაცვითებელი იყო, იგი უდიდესი ავტომატეტით სარგებლობდა. საქმარისი იყო სარეწოვებში კიროვის გამოჩენა, მისი მოკლე დამაჯერებელი საუბარი მუშებთან, რომ მუშაობა უკეთ, უფრო სწრაფად, უფრო ორგანიზებულად წასულიყო.

კიროვი თავის ძირითად ამოცანად ნავთის მრეწველობის რეკომისტრუქციას ისახავდა, მაგრამ ამდევ დროს მას არ ავიწყდებოდა ყველა სხვა ამოცანაც: რომლებიც საბჭოთა აზერბაიჯანის წინაშე, მთელი საბჭოთა ამიერ-კავკასიის წინაშე იყო დასახული.

აზერბეიჯანის სოფელი მის ფხიზელ ყურადღებას უქცევდა.

ჯერ კიდევ 1920 წლის მაისში, ბაქოს პარტიულ კონფერენციაზე კიროვმა მკაფიო პოლიტიკურ დამჭრიანობით დაახა აზერბეიჯანის სოფელში პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მუშაობის პროგრამა:

„...პირველი გადამწყვეტი ლახვარი ჩავტეთ ბევრობისა და ხანების წყობილებას. მშრომელი ხალხისათვის ყველა მიწის სრულიად უსასყიდლოდ გადაცემის დეკრეტი მხოლოდ პირველი ლახვარია. რომელიც ბევრი და ხანთა წყობილებას ჩავტეთ. წწორედ აქ ჩვენ, კომუნისტებმა უნდა განვავითაროთ რაც შეიძლება მეტი ენერგია და გავაკვთოთ ეს უფრო ფართოდ, უფრო სრულად.

შემდეგი ლახვარი უნდა ჩაისა აგრეთვე რევოლუციური ლახვარი კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ყოველივე იმას, რითაც ამჟამად მდიდარია აზერბეიჯანი, ყოველივე იმას, რაც დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნისათვის საკრისის წარმოადგენს, ყოველივე ამას უნდა დაესვას, გარკვეული მუშურ-გლეჩერი საბჭოთა კომუნისტური ნიშანი...“

კიროვმა ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ აზერბეიჯანი საბჭოთა კავშირის მებამბეობის მეორე ბაზად გადაქცეულიყო.

ბევრი რამ გააკეთა კიროვმა თურქთა ნაციონალური კადრების გამოზრდის დარგშიაც. ასობით თურქ მუშაკებს, რომლებიც ამჟამად აზერბეიჯანში მუშაობენ, სრული უფლებით შეუძლიათ სერვერ მირონის-ძე კიროვის მოწაფებად და მის მიერ დაწინაურებულებად ჩასთვალონ თავი.

კიროვი კარგად იცნობდა ამიერ-კავკასიის როულ ნაციონალურ და პოლიტიკურ ვითარებას. იგი იცნობდა ამიერ-კავკასიას და უყვარდა იგი:

1920 წლის ზაფხულზე კიროვი იყო რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მენშევიკურ საქართველოში. ‘ტფილის’ აქ იგი იყო საბჭოების ქვეყნის ნამდვილი წარმომადგენელი, ლენინისა და სტალინის წარმომადგენელი, და ფაქტორუად ხელმძღვანელობდა. ბოლშევიკურ ტარგანიზაციებს საქართველოში.

1921—1922 წლებში, როცა ამიერ-კავკასიის საში რესპუბლიკის — საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის — ფედერაციის შექმნის საკითხი იღვა, კიროვი, სერგო ორგანიზიერებასთან ერთად, რომელიც მაშინ ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა, ენერგიულად იბრძოდა ლენინ-სტალინის იდეის განხორციელებისათვის. მგზნებაშე, რეინის ლოგიკით აღსავს სიტყვებში კიროვი დაუზოგავად აცამტვერებდა ქართველ, თურქ და სომებს უკლონისტებს, რომლებიც ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შექმნისათვის.

უკლონისტები და ტროცკისტები, ყველანი, ვინც ცდილობდა პარტიის შიგნით ებრძოლნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზის წინააღმდეგ. ყველანი, ვინც აირებდა შეერყოს ჩვენი პარტიის ურლვევის საფუძვლები, კიროვის სახით ხვდებოდნენ თავის მოსისხლე შტერს, რომელ-საც საუცხოოდ ეხერხებოდა ემხილებინა მათი ონები და მაქინაციები და შეუბრალებლად დაეცხო მათვის.

სწორედ ამიტომ 1925 წელს, როცა დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, პარტია ტროცკი-ზინოვიევის ოპიციიას მუსოს ავლებდა, საკავ-შრო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით. კიროვი გადა-ჰყავთ მუშაობის იმ დროისათვის პასუხსაგებ უბანში — ლენინგრადში — ლენინგრადის ბოლშევიკთა ხელმძღვანელად.

როცა იხსენებ სერგე მირონის-ძე კიროვის ბრძოლისა და მუშაობის წლებს, კვლავ თვალწინ გიცევება შისი დაუკრისა სახე მტკიცე, უდრევი ბოლშევიკ-ლენინელის, შესანიშნავი ორგანიზატორის, მგზნებარე სახალხო ტრიბუნის, რომლის პიროვნებაში შეხატებული იყო გამჭრიახი პოლიტკური ტელმძღვანელისა და ამავე დროს უდიდესი, ნამდვილი ბოლშევიკური, სამეურ-ნეო მუშაკის ნიჭი.

კიროვი სიცოცხლით სავსე იყო და მას უყვარს სიუოცხლე, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გა-შარჯვებისათვის, კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის.

## ჩვენი პარტია მაგარის, რომოც საქონლე კლდე

ქ. გ ი რ თ ვ ი ს სიტყვა, წარმოთქმული წითელ მოედანზე მავზოლეის ტრი-  
ბუნიდან პარტიის მე-17 ყრილობის პატივსაცემად გამართულ გრანდიოზულ  
დემონსტრაციაზე!.

ამხანაგებო, ჩვენი სახელოვანი წითელი დელაქალაქის შუშები და მუშა-  
ჟალებო! ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობის დავალებით გადმოგცემთ მხურვა-  
ლე სალაშს. (ძახილი: „ვაშა“).


ამხანაგებო, ჩვენი პარტიის ყრილობა აჯამებს იმ დღიდ სამუშაოებს, რომ-  
ლებიც შესრულა მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში კომუ-  
ნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ამ სამი წლის მანძილზე. ყრილობა  
კიდევ და კიდევ ადასტურებს, თუ რამდენად სწორი, საიმედო და შემოქმე-  
დებითი იყო პარტიის გენერალური ხაზი. — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის  
აშენების ხაზი.

ჩვენი დღიდ საბჭოთა მიწის ყველა კუთხიდან შეიქრიბნენ ჩვენი ლენი-  
ნური კომუნისტური პარტიის წარმომადგენელნი და ყველა ისინი ლაპარაკო-  
ბენ, რომ ჩვენს საბჭოთა მიწაზე არ არის არც ერთი ისეთი კუნძული, სადაც  
გაჩაღებული არ იყოს ახალი, კომუნისტური, ბოლშევკიური მუშაობა, ახალი  
სოციალისტური ცხოვრების შემქმნელი მუშაობა. არა მარტო ჩვენი ქვეყნის  
ინიციატიდ ქალაქებში, არამედ ქალაქებში, რომელთა სახელი წინათ ფართოდ  
ცნობილია არ იყო, — იქაც იქმნება სოციალისტური მშენებლობის კერძები, ფაბ-  
რიკები და ქარხნები. იქ, სადაც გუშინ უდაბნო, დაუსახლებელი ადგილები  
იყო — ახლა აღმართულან ინდუსტრიის გიგანტები.

ჩვენი სოციალისტური მრეწველობის უდიდეს მონაპოვართა საფუძველზე,  
ჩე მრეწველობის, რომელმაც მოგვცა უამრავი ტექნიკური საშუალება, ამ პე-  
რიოდის განმავლობაში ჩვენ შევძლით შემოგვებრუნებია ჩვენი სოფელი  
ახალ საკოლმეურნეო რელიგიზმე. ამ უდიდესმა მონაპოვარმა შექმნა ახალი  
საფუძველი ჩვენს ქვეყანაში მუშათა და გლეხთა კავშირის კიდევ უფრო გან-  
ვტკიცებისათვის.

ამხანაგებო, ყოველივე ამან ერთად აღებულმა ტირიდად განამტკიცა ჩვენი<sup>1</sup>  
საბჭოთა კავშირის თავდაცვითი უნარისანობა, აამაღლა ჩვენი ქვეყნის ავტო-  
რიტეტი მთელს მსოფლიოში.

ჩვენი პარტიისა და ჩვენი მუშათა კლასის მთავარი, ყველაზე ძნელი, ყვე-  
ლაზე დიდი მონაპოვარი, ამხანაგებო, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ უკანას-



b. a. jahm 80

კნელ წლებში შევსძელით ძირფესკვიანად და საბოლოოდ მოგვესპონ ის საფუძვლები, რომელზედაც სოფლად კაპიტალიზმს შეეძლო აღმოცენება და ვანვითარება. ამით ჩვენ გადაჭრით და სამუდამოდ წარსულს ჩავაბარეთ ძველი, წყეული, ექსპლოატატორული, მემამულურ-ბურჯუაზიული წყობილება. ეს არის ერთერთი ძლევამოსილი მონაპოვარი ჩვენი დიაზი კომუნისტური პარტიისა, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი სახელოვანი, კლდესაფით მაგარი დიდი ლენინელი — ამხანაგი სტალინი (ძახილი: „ვაშა“).

ამხანაგებო, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ წინათ მუშებს არაურთხელ აღუმართავთ აჯანყების დროშა თავიანთ მჩაგვრელთა და დამშონებელთა წინააღმდეგ. ყველაზე უძნელესი და გადაუწყვეტელი ამოცანა მათთვის იყო გლენბის საკითხი. იმის გამო: რომ ეს საკითხი ვერ გადაჭრა, მუშების სისხლში იქნა ჩატრჩხილი პარტიის კომუნა. ამ აკეთხის გადაჭრა ვერ შესძლო ვერც უზრუეთის რევოლუციამ, მაგრამ ეს საკითხი გადაჭრა იმ პარტიამ, რომელიც შექმნა, გაწვრთნა და აღზარდა უდიდესმა ბელადთაგანმა, რომლის საფლავთან თქვენთან ერთად დღეს შევიკრიბეთ.

ეს საკითხი გადაჭრა ჩვენმა საკავშირო კომუნისტურმა პარტიამ, რომელსაც ხელმძღვანელობს საუკეთესო ლენინელი — ამხანაგი სტალინი (ძახილი: „ვაშა“).

ამხანაგებო, ჩვენი გამარჯვებებისათვის უნდა უუმაღლოდეთ აგრეთვე იმასაც, რომ ჩვენ გვყავს უზარმაზარი კომუნისტური პარტია. რომელიც თავს უყრის ყველაზე საუკეთესოს, შემოქმედებითა და რევოლუციურს საბჭოთა კავშირის სახელოვანი მუშათა კლასის წრიდან.

ჩვენ გვყავს ისეთი პარტია, რომელსაც შესწევს უნარი იდლესასწაულოს დავისი დიადი მუშაობის გამარჯვებანი. ჩვენ გვყავს ისეთი პარტია. რომელიც თავის ბოლშევიკურ ქედს არ ჰქონის არავითარი სიძნელისა და საშიშროების წინაშე, რაც შინ და გარეთ იქმნება.

ჩვენი პარტია მაგართა, როგორც სალი კლდე, ჩვენი პარტია მთლიანია, ვანუოფელია, როგორც მონოლიტი.

ჩვენს დიად პარტიას თავს ესხმოდნენ სხვადასხვა მხრიდან. შაგრამ ჩვენი პარტია, დიდ ბრძოლებში გაკაუებული, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით რგერიებდა რა თავდასხმებს, მუდამ აჩებოდა მტკიცე და შეუდრეველი.

ახდენს რა ჩვენი მუშაობის შეჯამებას. ყრილობა სახავს შემდგომ გზას სუკიალიზმის განმტკიცებისათვის სოფლად და ქალაჭად. ჩვენი ქვეყნის მუშათა და მრავალმილიონიანი კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ყრილობას ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ჩვენი ქვეყნის დიადი მუშათა კლასის დახმარებით, უახლოეს წლებში ჩვენ შევსძლებთ მუშათა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლების ამოცანა გადაჭრათ უფრო ჩქარა, ვიდრე მას ვახერხებდით დღევანდლამდე.

ამხანაგებო, ყრილობა სახავს შემდგომ გზებსა და შესაძლებლობას! ჩვენი რამდენიმე კავშირის თავდაცვის განმტკიცებისათვის. ჩვენი გამარჯვებანი დიადი რა შეურყეველნი არიან, მაგრამ ჩვენს ირგვლივ. ამხანაგებო, კიდევ სცოტ-

ღობს, კიდევ ასებობს, მართალია, გახრწნის გზაზე დამდგარი, მაგრამ ჩვენ-  
დამი მტრულად განწყობილი კაპიტალისტური მსოფლიო. განმტკაცების გზით  
შევალ კომუნიზმს იგი უსუფს თავის უკანასკნელ ძალებს.

თავიანთი დედაქალაქების მოედნებზე ფაშისტები სწავლენ მარქსის, ენ-  
გელისის, ლენინის და სტალინის შრომებს; მათ ავიწყდებათ, ორმ მშრომელთა  
და ჩაგრულთა მილიონებს გულში ჩაბეჭდილია ჩვენი დიადი ხელშროვანე-  
ბების და ფუძემდებლების მოძღვრება.

ამხანაგებო, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ თუ ჩვენი  
მტრები აღმისავლეთში ან დასავლეთში განიზრახავენ ხელი ახლონ დიდი საბ-  
ჭოთა კავშირის წმინდა საზღვრებს, მზად ვიქწეთ დავატეხოთ მათ გამანად-  
გურებელი რისხვა.

ამხანაგებო, პარტიის მე-17 ყრილობის მუშაობა არის ამის გარანტია.

დასამუშავ, ნება მიბოძეთ გადმოგცეთ ძმური ბოლშევიკური სალამი ინ-  
ქალაქისა, რომლის დელეგატობა მე მხვდა წილად, — სალამი ჩვენი სახელო-  
ცანი ლენინგრადისა!

გაუმარჯოს ჩვენი დიადი წითელი დედაქალაქის — მოსკოვის მუშებს!

გაუმარჯოს ჩვენი საბჭოთა კავშირის მუშაოთა კლასს, რომელიც წინ უძლ-  
ვის მრავალმილიონიან კოლმეურნე გლეხობას!

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების ხელმძღვანელს, — ჩვენს სახელო-  
ვანს, შეუდრეველს, დიადს მთლიან კომუნისტურ პარტიას, მის მე-17 ყრი-  
ლობას, მის სახელვანს, ქედმოუხრელს, დიად ხელმძღვანელს და სტრატეგს,  
ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ს (ძახილი: „ვაშა“, „გაუმარჯოს მე-17 ყრილობას“,  
„გაუმარჯოს ს ტ ა ლ ი ნ ს“, „გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას“, ოვაცია-  
ინტერნაციონალი).

# მესაგვარული დოკუმენტები

მიწა გელოვანი



ერთხელ ბინდისას გაგზავნეს შტაბში  
 და დაბრუნება დილამდე ბრძანეს.  
 გამოიყვანა მხედარშა რაში,  
 მიუალერსა პირუტყვის თვალებს:  
 მოუთათუნა კისერზე ხელი,  
 და ისარივით გაფრინდა ცხენი...

ვიწროვდებოდა გზა სახიფათო,  
 გზის მარჯვნივ ხევი გველივით იწვა,  
 და მოხრილი ხე, ტლანქი და ფართო,  
 თითქმის სწვდებოდა ტოტებით მიწას.  
 ცხენის ნაბიჯი ხის ფესვებს ეცა,  
 შეასკდა კაცი გაშვერილ ტოტებს...  
 აღმოსავლეთით გაფიტრდა ზეცა,  
 და ეძახოდნენ ჭოტები ჭოტებს.

დაჭრილი კაცი უნაგირს მოსწყდა,  
გააღო ხევმა ლაში საზარლად.  
ვაჟკაცს გულიდან გმინვა აღმოჰქმდა,  
კივილმა მთები შეაზანზარა.  
მერე დუმილი ფრთადაშვებული  
გაეკრა ირგვლივ დაბურულ ტყეებს,  
და სუნთქევა ჰქონდათ შეჩერებული  
მაყურებლებად წიმომდვარ ხეებს...  
ცხენი ნაპრალებს ჩასდევდა სწრაფად,  
ჩალი კლდეების ქიმზე სხლტებოდა,  
სადღაც მდინარე გარბოდა ქაფად,  
ტალღა სხვა ტალღას ეჯიბრებოდა.  
ჩავიდა... ოვალში ჩაუდგა ნისლი,  
გულს—ერთხელ მფეთქავს და მოამაგეს,  
დაუგდო ყური... და მზედრის სისხლი  
წითელ ხალივით დააჩნდა ბაგეს.  
მიხედა პირუტყვი — კვდებოდა იგი,  
ვინც უურვებდა ყოველ ცისმარეს;  
შეურუოლდა, ლამეც დადუშდა ირგვლივ  
და ცრემლი მოსწყდა პირუტყვის თვალებს.  
გაიპო ლამე ცხენის ქვითინით  
და თითქოს ჩალაც ჩაიწვა გულში.  
ადგომა სთხოვა მხედარს ჭიხვინით,  
მაგრამ მხედარი გამოდგა ურჩი.  
... სტიროდა ცხენი მხედრის დაკარგვას —  
მარცხს აბრალებდა თავის შმაგობას,  
მოკვდა მხედარი და მას თან გაჰყეა  
კაცის და ცხენის ამხანაგობაც ..

და ჸრობელ ლამით, როცა ბნელოდა,  
ეკრა ღრუბელი ზეცის დასავალს,  
გზაზე ვიღაცა სევდით მღეროდა  
კაცის და ცხენის თავგადასავალს.



ტართებულ ძმის

ორდენსან შოფერს ნესტორ ალავიძეს.

ხარობდა ხევი მწუხარხმიანი,  
სველი ლოდებიც თითქოს მლეროდნენ.  
გზები გველტანა, გზები ქვიანი  
და ლაჯანური\*). არაგვიანი  
შენს ვაჟკაცობას შემოსცეროდნენ.

შენ კი მისდევდი გზას გალალებით,  
ხევში მანქანის ეხო ბორგავდა  
და მარად სველი კლდეთა თალები,  
ხშირად ცრემლებით გულისწამლები,  
მარტის წვიმიან ზეცას მოჰგავდა?

მას შემდეგ ოცჯერ შესკდათ სიცილი  
კვირტებს და მწვანედ გაღმოიშალენ.  
გაყვითლებული და; სახეცივი,  
ქარწალებული და გაცრეცილი,  
ოცჯერ დაეცენ ფოთლები შარებს...

მხემ ცას და მიწას აპრილი მისცა,  
მერცხლები მისცა ხმადარხეული.  
შთამაგონებელ სიმლერად იქცა  
ახალგაზრდა მხით დასისხლული ცა,  
ცა ორწოხებზე ჩიმოხეული.

\* ) მუინარეა, ლეჩეულისა და სვანეოს სახლვარზე.

და ოცი წელი — ოცი მაისი.  
ოცჯერ მოფრენა ურიცხვი მერცხლის,  
ისევ მიმზიდველ ხმებად გაისმის  
და საჭეს მართავ, როცა აისი  
კრიალებს, როგორც შენი თმის ვერცხლი.


უფრო გაზრდილა, უფრო დიდია  
გარბენის ცეცხლი და აღმაფრენა.  
შენი ფიქრები სხვა გზით მიღიან,  
შენ ინდუსტრიის თუ ხარ მინდია  
და გესმის მუნჯი ლითონის ენა,

თორემ რა იცი რკინას რა უნდა,  
რა უნდა მფეთქავ მანქანის ძარლვებს!  
სიძნელემ გზები ვერ გაგიმრუდა,  
რჩეულის ეშხი გიტაცებს მუდამ  
და გადარბენის მანძილებს არღვევ.

როცა აიენის ტეკლუც ნარგისებს  
შემოლამების ბინდი ეცემა,—  
მოვა და ბინას შუქით აგივსებს  
რიონის გულში დანაბადი მზე  
და ცის კალთებიც აიკუცება...

მაშ, მიშიხვდები თუ რა მაშლერებს,  
განცდის ჩქერები გულს რად უვლიან,  
კვლავ ყურს დაუგდებ ლითონის ბგერებს;  
გჯერა უამთა სვლა ვერ დაგვაბერებს, —  
ყოველი წუთი სიხარულია!..

და მინდა მუდამ იყო პირველი,  
კაცი ზღაპრული გმირის ბადალი,  
რომ გაირბინო ორბელის ველი,  
სვანეთის გზები გასაკვირველი  
და გამობრუნდე ოქროს მაღანით.



(ილია ჭავჭავაძის ხსოვნას)

ამ ლურჯ ღამეში დინჯი აპრილი  
დგება, იშლება, როგორც ზღაპარი...  
და ალაზანი ფაფარაყრილი  
მორბის, მოლელავს მძაფრი ჩქაფანით;  
ჰქონის ნიავქარიც—ცელქი, ხმატკბილი,—  
ტოკავს ტირიფი, ტოკავს ლაფანი!....

აგერ ჭალები, აგერ ყვარელი, —  
მომელანდება ბავშვობა შენი!  
რა გიუმაუი ხარ, რა საყვარელი,  
მხრებზე გეფრქვევა სხივების ჩქერი;  
ნეტავ ოცნების ლურჯი კარები  
არ დაიკეტოს,—რომ შენი ცქერით  
დატკბეს ჭაბუკის ნორჩი თვალები!....

დაქოჩილ ბუჩქებს ვუგზავნი ლიშილს,  
გულმკერდს გიმშვენებს ვაშლის ფანტელი;  
მაგ ნათელ შუბლზე სიცოცხლე ლვივის,—  
შოგაქეს ფიქრები და ურუანტელი;  
მოდიხარ, უსმენ ლურუჯის ყვირილს  
და შემოგხარის გუნდი ატმების..  
მაგრამ გაივლის ოცნება ჩემი, —  
ვეღარ გიცქერი დალუპულ არწივს,  
მეზავრი დუმილის ბადეში ვრჩები, —  
და შენს მაგივრად გაშლილი ფრთებით  
კავკასიონი მიდგება თვალწინ!....

შეგერგო მშობლის ტკბილი ალერსი,  
მოგცა ძალლონე კახეთის მიწამ!  
შევკარ კამარა უმწვერვალესი  
და საყვარელი სამშობლო იცან!...

მოვარდა შენი სიტყვა და ლექსი,  
როგორც აპრილის ჩხრიალა წვიმი;  
და მშრომელ ხალხში გაიდგი ფესვი,  
კლდეზე მაგარი, ყინულზე წმინდა;  
შენი ქუხილა ჩვენ ეხლაც გვესმის,  
შენი ამაგი დღეს უფრო ბოჭყინავს!...





## ՀԱՅԱՀԱՅ ՇԱՀԱՅ

Հայոյքը Հայլա... մշալոնցը հինգըն  
այցո սահեօթո Մշեյրեծ ծալմոն;  
Հենակետո Տոռմ Հակերուու Կուլը  
Ըստ Վամաշալու Շոտլեցիս Քամո.  
Մերե Եցնու Վաղիցնո, Տուրշու  
Շուրը մոշարդա մնուս նուրբարո,  
Որմուս Հյանցարու Օլմահուու Կուցու  
Մշեմոյեցուա Ըլութա Լամյահո.  
Քարցուս Մրցեցնեծմա ոյլու մամոն,  
Մշեատամանա Մժուցեծի յարտան;  
Տոմինցուս Խորո Խամուցա ծալմոն,  
Ռուզըլուս ոյրո Ծայրիս խարճան.  
Ըցաս Կոլմեյրնե, — մածլուան զանցըն  
Հոռմ Տոմլոյրեծո Ստերուս զցունո,  
Հոռմ Հյանցարեցնու Վալմոյան Տարչո  
Մռուկուս Մրցեցնեծի Հոյրապանո.  
Ըստ Հոռմ Աջուռուս յս նուրացո, —  
յս Եռպոյրո Ցովուս նայերո,  
Ռոռմ Տաթլուս ուցցուս Տուրիքո Վաճացու  
Ըստ Հյուցեցնեծման Ըստլուս մախոն.  
Ըցաս Կոլմեյրնե, — Ծայրուլ Ծալազերս  
Մշեմիկույրեծուա Եյլմոն շուրուուտ,  
Ըստինդուլ Ըլութիցն Մշեյանցցեծ, —  
Վամոյելլու Վանցեծ յունուուրո...  
Մեծալցու Ռուզըլո Սուցաս Ըստ Եկլա  
Օվոյցը Ըստ Եյմոն ծալմոն,  
Քարցուան Մրցուցնեծուս Տեսուցեծ Վերութլացն.  
Ըստ Մոջորեցու Շոտլեցիս Քամո.



## ქაბური

ეზოში ობილი მოლი ჩურჩულებს.  
კოკობ ვარდივით მოდის ძაბული.  
შუბლთან ისწორებს ოქროს კულულებს.  
ხისქვეშ ყვავილა ხბოა დაბმული.  
მღერის ძაბული, აფხაზის ცირა,  
ნორჩ ლერწამივით მალლა აყრილი.  
ხბოს უალერსა, დიღხანს უკვირა,  
დიღხანს ჰქონიდა ნაზალ დახრილი!  
ხბო შესკეროდა მწვანე თვალებით,  
წაბლის ფერი და კოხტაფეხება.  
ძაბულის ხელზე მას გამალებით  
თითქოს უნდოლა ენის შეხება!  
ძაბულის გერდი, როგორც ცისკარი,  
ძმწისფერია, ვარდის ნარევი.  
მზე ჯერ ხმოსვლას რომ არ იჩქარის  
ცა ვარსკვლავებით ნამძინარევი,  
ჩაზის ძაბული ლიმონის ბაღში.  
ნერკებს ევლება, ეჩურჩულება.  
შეპარულ, ქათძებს დასძახა: აქში!  
მწვანე ფოთლებში, როგორც თქმულება,  
გაუჩინარდა ტანის მორხევით.  
მალალი ფიჭვი ძირს იყურება,  
თითქო შრიალი იწყო მოლხენით.  
მოთოხნა მიწა, მიძყვა პირწმინდად,  
ჩაყარა ნერგი, მოვლაც ითავა.

ძაბულის ხელით მოვლილ მიწიდან  
ხემ ვარსკვლავები ამოიტანა!  
მწითე ნაყოფი ნაზაღ დაქრიფა.  
სახვალიოდაც შრომას ეშურვის.  
მისცა ლიმონი ბლომად ფაბრიკას,  
რაღან საკაბე სურს აბრეშუმის.  
ეზოში რბილი მოლი ჩურჩულებს.  
გაშლილი შეტანი მოაქეს ძაბულის.  
მღერის, იცინის, არხევს კულულებს,  
როგორც პირველი დღე გაზაფხულის!

---



ეს ტკბილხმიანი ჩონგური  
ერთმა ღურგალმა გათალა,  
ჩააწყო ხმები სოფულური,  
იმ ხმებით ვინ არ დამთვრალა!

შიგ ჩადო ჯადო ნაძდვილი,  
მომლენი კაცის გუნქების.  
უსმენენ გულის წალილით,  
არ ახსოვთ დარდი სრულებით.

წევს ქალიშვილის კალთაში  
ჩონგური კისერმოლერით.  
გულში სიხარულს რა წაშლის,  
შავთვალა გოგო რომ მლერის!

ჩონგური ჯერ არნახული  
ერთმა ღურგალმა გათალა,  
ჩადო ცეცხლის ხმა ხალხური,  
იმ ხმებით ვინ არ დამთვრალა!



## შვიდი კაცის ქორფური

(პატარა ეპიზოდი 1925 წლის ცხოვრებიდან)

„შვიდი კაცის პოლიტიკა“ შესვით გაერდა სოფელ „შწვერვალში“. პირ-ველი ნაპერწყალი მამა ოლიფანტეს მოხვდა, შეანჯლრია, ააფორიაქა, გაღმოაგდო საწოლიდან და სამოქმედოდ გაიწვია.

— მაშ, შვიდ, შვიდ კაცს იქვს უფლება გახსნას გაუქმებული საყდარი, შვიდ კაცს, არა? ა? — ამბობდა ოლიფანტე და ქალამნის თასმებს ისკვნიდა.

— წვიდე, ერთი, მოველაპარაკო სავლეს, რას იტყვის, — გადასწვევიტა: ოლიფანტემ. გაშლილი გაზეთი მოწინებით დაკუცა, ჯიბეში ჩაიდო, ანაფორა წამოისხა, ჯოხი აიღო და საფლავივით ბნელ ღამეს შეუერთდა.

ნახე!... რა ამბები ხდება ქვეყნად... ვინ მოელოდა ამ ამბებს სულ რამდენიმე თვის წინეთ, როგორც ვატყობ ესენი ნელ-ნელა ყველაფერს ძეველს დაუბრუნდებიან. იცოცხლე, თურმე, და ყველაფერს მოესწრები ადამიანი, — ფიქრობდა ოლიფანტე და ჯოხით სიბნელეში გზას იკვალავდა.

მართალია, მამა, ოლფანტე დიდი მოწინე არასოდეს ყოფილა, სოფელ მწვერვალში ჯერ კიდევ ბევრს ახსოეს დიდ ხუთშაბათს და წითელ პასასევს ხორცით რომ გამოიჩერებოდა. ხომლე, მაგრამ საყდრის გაუქმება მაინც ელდა-სავიო ეცა და რამდენიმე წელიწადი იგლოვა ის „წყეული“ თარიღი:

სხვა რომ არ იყოს, საკუთარი კუჭის და ჯიბის საკითხი? — გაიფიქრებდა ოლფანტე და მძამედ ამოიხსრებდა. უბედურება კიდევ ის იყო, რომ საყდრის გაუქმებასთან ერთად თითონ თლიფანტეც „გააუქმეს“, სოფელში სალაში არა-ვინ აძლევდა, ალარც კი ამჩნევდნენ, თითქოს სიცოცხლითვე მჟღარი. იყო.

„წმინდა სალოცავი“, — ის ხომ სულ წაბილწეს, გააოხრეს, მაგრამ არაფერია: ღმერთია მოწყალე, დავიბრუნებთ ძველ საყდარს, ძველ დიდებას და პატივს და მერე პერი ბიჭო... ამ სიტყვებთან ისეთი შეჰყვირა სავლეს

ჭიშკართან მისულმა ოლიფანტეჭ. რომ შითვლემილ ძალლებსაც კი გამოელვიძა  
და გააფთრებული ყეფით გამოექანენ მამა ოლიფანტესაკენ.

— ეს ძალლები რამ გადარია, რომ არ ვიცი?!...

შენი მკვდარი და ცოცხალი!.. — დაილრიალა ოლიფანტემ და საკბენად  
მისულ ძალლს უშველებელი ქვა სთხლიშა. ძალლმა საშინელი წკავწჭავი მორთო,  
პირი იბრუნა და ოდის ქვეშ შეძვრა.

— ვინ ხარ, ძალლს რომ მიკლავ! — გამოეხმაურა სახლიდან ნაშძინარევი  
სავლე.

— სავლე ბიჭო! ვიღაც მგზავრმა შენ ძალლს ქვა ესროლა, გავცოფთი  
ქაცი და კინალამ ვეცი წელში, მაგრამ გამექცა, აი საღ მიდის, დაინახე! უპა-  
სუხა ოლიფანტემ და თითი დაღმართისაკენ გაიშვირა, საღაც სიბნელის მეტი  
არაფერი ჩანდა.

— სავლე ჟავარჯენით პირს ჩამოცოცდა, ალაგებს გადაადგა, შარას გახედა  
და დაუსტვინა, მაგრამ ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა.

— სავლე! დაანებე თავი, ვეღარ მოეწევი, გაიქცა, — ურჩია მეგდობრულად  
ოლიფანტემ — შენთვის მე დიდი სასიხარულო ამბები მაქვს სათქმელი. იცი, სა-  
ვლე, რა ამბები ხდება!... მიაყარა სულმოთქმულად ოლიფანტემ. დღეს გაზე-  
თში დეკრეტია, დეკრეტი, გაიგე, ბიჭო!

— ჰო, დეკრეტი, — ძლიეს ამოილო ხმა სავლემ, ისე რომ მისი გონება კი-  
დევ იმ მგზავრთან იყო, ძალლს, რომ ქვა ესროლა.

— მერე, მერე?

— მერე და დეკრეტის ძალით სოფელში თუ შეიდი კაცია წირვალოცვის  
შეურველი, საყდარი უნდა გაიხსნას, გაიგე?...

— ჰო, საყდარი უნდა გაიხსნას, — გაიმეორა სავლემ. უგულოდ, თითქო აქ  
არაფერიაო, — მერე?

— მერე და... შენი სიკვდილი და არგადარჩენა! დაგილია პირი! მერე ის,  
რომ მოვაგროვოთ შეიდი კაცი, მოვაწერიოთ ხელი. გავგზავნოთ რაიონში და  
საყდარს გაგვიხსნიან.

— ჰო, საყდარს გაგვიხსნიან? — გააგრძელა უგულოდ სავლემ.

— მართლა, გაგვიხსნიან? — ერობაშად გამოერკევია ნაშძინარევი სავლე, ყა-  
ვარჯენი ხელში შეათამაშა და კვიცივით შეკუნტრუშდა.

— მოიცა, კაცი! რას ხტუნავ, ჯერ ადრეა, შვიდი კაცის მოგროვება ასე  
ადვილიც არ არის ჩვენს დროში.

— ჰო, არც ისე ადვილია, — გაიმეორა სავლემ ოლიფანტეს ბოლო სი-  
ტუვები, — მაგრამ, რატომ, შვიდი კაცი არ არის ჩვენს სოფელში!?

— ბიჭო, შე აბდალავ! შვიდი კაცი რავა არ არის, მაგრამ შვიდი მორწმუნე  
უნდა, გაიგე? — ჩასძახა ოლიფანტემ.

— ჰო, მართლა, შვიდა მორწმუნე უნდა, თუმცა შეიძლება შვიდი მორ-  
წმუნეს მონახვაც.

— აბა, დაფთვალოთ!

ხუცები ალაგებს ორივე მხარეს ჩამოსხდენ და მორწმუნების თვლას შეუ-  
დგნენ.

- მკაპვე, — უბრძანა ოლიფანტემ და სავლემაც ნეკი სანახევროდ მო-  
ლუნა.
- პირველი — იპოლიტე.
- რომელი იპოლიტე? — შეეკითხა გაუბედავად სავლე.
- იპოლიტე; ბიჭო, ჩვენი გელაძე, ძველი ვაჭარი ჩვენი კაცია, ხელს რაგა  
არ მოგვიწერს?
- ჰო, მართლა, იპოლიტე! მოგვაქვე ერთი...
- მოკაპვე, ჩემი ცოლი დარინე და შენი ცოლი ბუუტი — და ნეკს არა-  
თითი და შუათითი მიპყვა.
- მოკაპვე ლომინე, ჩვენი ძმა-კაცი, მევაზშეს რომ უძახიან ბოლშევიკე-  
ბი... — და სალოკი თითიც მოიკაპვა.
- პუბი, ჩვენი ექიმბაში, და ლუკა მნათე.
- რამდენი სულ? — სავლემ მოკაპული თითები გადათვალა, მაგრამ შეიდი  
არ გამოვიდა. შვიდი, შვიდი... — აბუტბუტდა ოლიფანტე — შვიდი კაცი რავა არ  
იყოს სოფელში, ფური ამფერ დროებას!
- აბა, მოიფიქრე სავლე! კარგად მოიფიქრე, ვინმე გეყოლება — ჩაცივდა  
ოლიფანტე, მაგრამ სავლეს ამ წუთს თვალწინ საღრმულდება წარმოუდგა გახსნილი  
საყდარი, წირვა-ლოცვა, ჯვრისწერა, მკვდრის ფული, ძველი დიდება და პა-  
ტივისცემა...
- ჰეე! — შეიყვირა ოცნებაში წასულმა სავლებ და ხელები ჰაერში  
ვაასავსავა.
- ვაი შენ და ლვთის ცეცრლი! — მიაძახა უმაღ ალიფანტემ — რა გაყვი-  
რებს, რომ არ ვიცი!
- რა მაყვირებს და... რა მაყვირებს... იცი რა? ორიც ჩვენ ხომ ვართ, —  
მოისაზრა პასუხი დარცხუნილმა სავლემ — ექვსი და ორი ხომ რვა ვიქნებით,  
შვიდის მაგიერ.
- ოჟო, თქვა რუქამ არაკი! — შენ და შე ვინ გვთვლის კაცად, შე აბდა-  
ლავ? ჩვენ არა ვართ, ჩემო სავლე, სათვალავში, არა, მიხვდი?
- რავა კაცო! ერთ კაცად არ გვთვლიან ამ ორ კაცს?
- დაიბნა სავლე.
- მაშ ესე, მეშვიდე გვეირია, მეშვიდე, — გაჟყვა ფიქრებს ალიფანტე. შვი-  
დი მორწმუნე, რავა არ იყოს სოფელში, ფური, დასწყევლოს ლმერთმა, მაინც რა  
ოხერი რიცხვია, რატომ შვიდი და არა ექვსი, ან რვა?... მეშვიდეს ძებნაში  
შვიდჯერ მაინც გადასინჯა მთელი სოფელი, მაგრამ სასურველი წევრი ვერ  
იპოვა.
- \* \* \*
- შუალამე გადავიდა, მამლებმა ყივილს მოუსმირეს, სადღაც ჭოტმა დაიწი-  
ვლა.. ნაგვიანებმა მთვარემ მთის მწვერვალებს გადმოაშუქა და კაშკაშით შეა-  
ნათა თვალებში ხუცებს, კითხვის ნიშნებივით რომ იყვნენ ერთმანეთის პირს-  
პირ ალაგებზე მოკაჭული.
- სავლეე? — გააბა ძახილი აივანზე გამოსულმა ბუუტიმ და უცხო კაცის  
განახვისას შალი მოიხურა.

— მოვდევარ, — გაეხმაურა სავლე და წასასვლელად მოემზადა.

— რა ვიცი, გული კი გამიხეთქე და, — წაიბუზლუნა ბუქუტიმ.

— ოლიფანტე! იცი, რას გეტყვი? ეხლა დავიძინოთ და ხვალ მაგ საქმეს მე თვითონ მოვაგვარებ, კაცის მეტი რაა, ოჯო, ჩვენს სოფელში. მართლა ისე კი არ არის საქმე, შენ რომ გვონია, მორწმუნის მეტს რას ვიშოვით, შენ სხვა თქვი, თორემ! წავალ თორემ ი დედაკაცი გადამერევა, — და სავლემ პასუხის დაუცდელად ყავარჯენი შეატრიიალა.

— ღამე მშვიდობისა, ოლიფანტე!

— ღამე მშვიდობისა, — გულნაკულულად უპასუხა თლიფანტემ.

სოფელში ხმა დაირხა — საყდარს ხსნიანო.

როგორც საერთოდ, ყოველი ახალი მოვლენა, ეს ამბავიც სხვადასხვა ცნობიერებაში სხვადასხვანაირად გადატყდა და ყველამ თავისებური დასკვნა გამოაიტანა. სენსაცია, საყდრის გახსნის გარშემო შექმნილი, მალე ჩაქრებოდა, რომ ხუცებს მოხერხებიათ და შვიდი წევრი ეშოვათ, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა: ჩვენ მიერ ჩამოთვლილ ექვსი წევრიდან ორმა უარი განაცხადა. სხვადასხვა მოსაზრებით და ეხლა მათ უკვე სამი წევრი აკლდათ.

— წავიდა, გაფუჭდა დრო, შაურად არ ღირს ცხოვრება! — ბუზლუნობდა. ოლიფანტე, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა და ხან ერთ მეტობელს მიაღვებოდა კარზე, ხან მეორეს, ვითომ რამე საქმეზე, და საუბარს კი საყდრის გახსნით დააბოლოვებდა.

— მერე, მერე?! — შეეკითხვა ნადიაკვნარ სიპიტიეს ცოლს, ცეცხლის პირას. მჯდომ ეროვნინეს, ნანო და ცომის ზელვა დაიწყო.

— მერე და ის, რომ — განაგრძო ეროდინემ — მღვდელ - დიაკვანი ისევ. უნდა იქნესო, წირვა - ლოცვა დი ღვთის შიში ისევ. უნდა დაბრუნდესო. მერე... არა ვიცი, ალბათ...

— მასპინძელო! — გაისმი ჭიშკრიდან ხმა, სწორედ იმ დროს, როდესაც ნინომ კომი გავარებულ ქვის კეცზე დადო.

— სიკედილი და არგადარჩენა! — რამ მოგიყვანა ახლა, სად მაქ შენი დრო! ? ჰუპი იქნება, ნამდევილად, საყდრის საქმეზე, — აბუზლუნდა ნინო და ცომიანი ხელი კალთაზე შეიტმინდა.

— დედა! რამ მოგიყვანა, ბატონო, პუპი, რამდენი ხანია არ მინახვიხართ, თქვენი ჭირიმე, ჩემო პუპი და დარინე, მობრძანდით, ჩემო, ბატონო, მობრძანდით! — მიაყარა ზედიზედ სტუმრებს ნინომ და შინ შემოუძლვა.

— კი, მარა ახლა რომ აგინებდი შენ არ იყავი?! — აღუნლულდა ნინოს ექვსი წლის შვილიშვილი გივი. ნინოს ელდა ეცა, ბავშვს თმები მოუქაჩა, ტუჩები მოუჩერესა, ნაცარში ჩაწოლილ ლევას ფეხი დაადგა, ააკიფლა, ციბრუტივით დატრიალდა, და სტუმრებს სკამი მიაწოდა. ბავშვი კუჭახეში აიტუზა და სლუკუნი ამოუშვა.

— ნინო ბატონო! იცი, რეიზა შეგაწუხე! — დაიწყო შემპარავად ჰუპიმ. — შენ კი გაიგებდი, ახალი კანონი რომაა გამოსული... პო და იმ კანონში ისე წერია რომე, სადაც სოფელში ხუცესი და საყდარია, თუ კი შვიდი წევრი ყავდეს, ყოლგან<sup>1)</sup> გახსნით საყდარი, ხალხს, წირვა - ლოცვა არ დაავიწყოთა.

<sup>1)</sup> ყოლგან, იგივე ყველგან, გურული გამოთქმა.

საკურთხი და ჯვრისშერა შემოილეთ, თორებ ხალხი გაურჯულდათ. პო და ახლა ჩვენც მოვიფიქრეთ, რომ აგი ჩვენი საყდარი რომ წაბილწეს და გააოხრეს ვიღაც ყაზირალებმა, გვინდა დავიბრუნოთ შენი ჭირიმე, და ლვლებს გადავცეთ.

— აბა, აბა! მაი ამბავი ეხლა ეროდინებ მიამბო, — დაემოწმა ნინო ისე, თითქოს დიდი შეურველი ყოფილიყოს საყდრის გახსნისა და ეროდინესაკენ მიიხედა, მაგრამ იგი უკვე გაპარულიყო, — პო, და, გითხრა სიმართლე, ნამეტანი ვამეხარდა, რომ გითავებიათ ეგ დიდი საქმე, შენ ყოლიფერ კარგს იზამ, ჩემო პუპი!

— პო და, იმაზე შეგაშუხეთ, მე და აგერ დარინებაც, რომ გვინდა შენც ვედოს წილი ამ საქეყნო საქმეში, ვიცი, გეწყინებოდა, რომ არ გვეცნობებია, და პუპიმ სია და ფანქარი მიაწოდა ნინოს.

ნინომ თახჩიდან სათვალები ჩამოილო, ყურებზე ჩამოიცო, სიას დახედა და შიგ ოთხი წევრი გაარჩია, ფანქარი მოიმარჯვა, მაგრამ, სწორედ ამ დროს თითქო რალაცამ დაპკრაოთ თავში, მოსაწერად აწეული ხელი ჰაერშივე გაუშეშდა. ოთხი ვაჟი, ოთხივე პარტიის წევრი, მწკრივში ჩამდგარ ჯარისკაცებივით დაირაზმა მის თვალწინ, — შენ არცხევნ შენ შეილებს, რა პასუხს გასცემ მათ! დაიწივლა ვიღაცამ ყურებთან და ნინოს მთელი ტანით კანკალი დააწყებინა. დაიბნა, მიხვდა რომ გაება და...

— დედაკაცო! აი ხბო რომ აგიშვია და აწოვებ, რატომ არ გამოხედავ! — შემოიძახა ეზოში ნინოს ქმარმა ჯაბულომ და ხბოს ბაწარს დასწვდა:

ნინომ დრო იხელთა და სიით ხელში გარეთ გავარდა.

— რამ გაგააბდალა, ქალო, რა დროს საყდარია! ვერ ხედავ, რა ამბები ხდება. ჭეყუანაზე? — დაიბლვინა ჯაბულომ და კარებში შეაბიჯა.

პუპიმ იგრძნო მარცხი, სია გამოართვა, ჯოხი აიღო და ბაჯბაჯით გაუდგა გზას. დარჩენეც წამოდგა, თავსაფარი შეისწორა და ჩახალით მიჰყეა უკან.

აღმასკომის პატარა ოთახი პაპიროსის ბოლით არის სავსე. ახალგაზრდობა, სოფლის აქტივი მშრომელი. გლეხობა, გაცხარებით მსჯელობს „მწვერვალის“ საჭირობოროტო საკითხებზე.

— სოფელს დღემდე არ აქვს წითელი კუთხე, კლუბი, სამკითხველო, ძვირფასი ხისაგან აშენებული საყდარი, აქლემის კუზივით, რომ აზილულა უშნოდ „მწვერვალის“ ზურგზე ორი ხუცესის „კაპრიზს“ ემსახურება, იღვენთება ფოლადივით, ომახუჭუჭა გოგონას სიტყვები ჰაერში და კრებაც სულგანაბული უსმებს მას. — მთელი სოფლის მოსახლეობა მოითხოვს, — განაგრძობს ის — საყდარი — დაინგრეს და მის მასალისაგან აშენდეს კლუბ-სამკითხველი.

კრებამ იმსჯელა და დაადგინა... რომ და ვინაიდან და რადგანაც სოფელ მწვერვალს არ აქვს კლუბ-სამკითხველო და სხვა და სხვა...

ეკვტარზე ჩამომჯდარი სავლე უაზროდ გაპყურებს შორეულ სივრცეს. ზა...  
ფხულის მშენერი დილა და ყვავილების ისეთი დაშათრობელი სუნი დგას,  
ადამიანს სულს და გულს ომ უფორიაქებს და ყველაფერს ავკარგს მოაგონებს  
ხოლმე. მოლაზონს საყდარი გაულია და ცოცხით ხელში დაფუსფუსებს. მარიო-  
ბა დილა და ვინ იცის, იქნება ოლიფანტემ კარგი ამბავი მოიტანოს და ეს დღე  
ძველებურად ვიუქმოთ—ეუბნება მოლაზონი სავლეს. მაგრამ სავლემ შვიდი წევ-  
რიდან კარგად იკის, ომ ოლიფანტეს მიერ მოგროვილ შვიდი წევრიდან  
ურთი მოლაზონია და ორიც მცირეჭლოვანი.

— დასწყევლოს ლმერთმა, რას ამეკვიატა, ან მე რას ავყოლივარ,—ფიქ-  
რობს სავლე და გული ბოლმით ევსება,—რად გვინდა ისეთი საყდარი და წირ-  
ვა-ლოცვა, თუ შვიდი კაციც არ ვეყყოლება! ჩვენს ხალხს ოცი წელიწადია და-  
ვიწყებული ჰყავს ლმერთი და ჩვენ კი ვერ მივხვდით. ოლიფანტე მაინც თავი-  
სას გაიძახის, მას ხომ ვერაფერში დაჯერებ! რა ვარ ეხლა. მე? ერთ დროს კა-  
ცი ვიყავი სოფელში, ყველა ჭეუას მექითხებოდა, ეხლა კი ამ გაუქმებულ საყ-  
დარსავით ვდგევარ ყველასაგან მივიწყებული, კაცი არაფრად მთვლის, სალამ-  
საც კი არ მაძლევს, არა მარტო ახალგაზრდები, მოხუცებიც. ვაი ამ დღეს, ვაი  
ამ ცხოვრებას, რად ვლირვარ ეხლა მე?

— დილა მშვიდობისა სავლე!—წამოაღგა თავზე ნადიაკვნარი სიპიტიე და  
პასუხის დაუცდელად ოლიფანტე იკითხა.—ოლიფანტეე?—გააგრძელა ჩვეულებრივ  
საფლემ—წასულია, საყდრის მომხრებს აგროვებს.

— რაო?—გაიკვირვა სიპიტიშმ,—საყდარი თავზე გენგრევათ და... დაინა-  
ხე—გაუშვირა თითო.

სავლემ იმ თითს თვალი გააყოლა და აუარებელი ხალხი, დაინახა მოე-  
დანზე თავმოყრილი. სიპიტიამ იღროვა, საყდარში შევიდა და მოლაზონთან თა-  
თბირების შემდეგ ორი ლანდი ბოლჩებით ხელში სიჭმარივით უქანა კარებიდან  
გაქრა.

\* \* \*

მოედანზე მხიარული სიცილ-კისკისია.

ახალგაზრდობა, აქტივი იქრიშისთვის ემზადება.

სოფელ „მწვერვალის“ დღიურში ახალი ფურცელი იწერება: რაიონიდან  
ელსმენმა აცნობა სასურველი შედეგი.

— იცი, ეფიზო!—საყდრის გუმბათზე ჩიტომუნდა აიტანოს დროშა—თო-  
მას ციცემ—ეუბნება ასაკგადასული ეკვირინე ეფიზოს და შურით გასცემის ჯან-  
ლონით სავსე გოგონას.

ჩიტო კი ამ დროს ოთართან საუბრობს.

— ძველი ქვეყნის ნაშთის გადაკეთებასთან ძველი მორალიც უნდა შეიცვა-  
ლოს, ამისვთვის ჩემი პირობა ხომ იცი?... ამბობს ოთარი.

— ოთარ! არ გრცხვენია?... ჩვენ ხომ ახლობლები ვართ,..

— ჩიტო! დაანებე/ მაგეებს თავი, თორემ ისეთ გუნებაზე დავჟები, რომ  
შეიძლება გაღმოვვარდე ძირს.

— და სწორედ ეს მისცემს საბაბს ხუცებს და ძველი ქვეყნის ნაშთებს გა-  
ავრცელონ ხალხში ცრუმორწმუნეობა. კარგი ოთარ, თანახმა ვარ, მხოლოდ თუ  
გაჯობე... იცოდე, უნდა მომებსნა, პირობა ხომ იცი... ვინც ჯვარს მიასწოდებს...  
და ჩიტომ ოთარს ხელი მაგრად ჩამოართვა.

\* \* \*

ხალხი ტალღასავით შემოერტყა საყდრის კედლებს, ორი ლანდი ორი შო-  
ვირდაპირე მხრიდან კატასავით აცოცდა კედლებზე.

— ოთარ, გაჯობე! — ჩასწურჩული ჩიტომ და ცალი ხელით რომ ჯვარს  
დასწრედა, მეორე ოთარს მიაშველა.

— გაუმარჯოოს! — იგრიალა ხალხმა.

ოთარი გაფითრდა, დაბარბუდა, მთელი ტანით შეიძრა... წუთი... და...  
მაგრამ ჩიტომ ხელი მაგრად ჩასჭიდა და მოტეხილი ჯჭრის აღგილზე იმ ჯვარ-  
სავით დაარქო. ერთი წუთის შემდეგ თუნუქის გუმბათზე აფრიალდა ოქროთ  
ნაქარგი წითელი ღროშა და, სოფელ „მწვერვალს“ ამცნო ახალი გამარჯვება.



## სარწინებელი

### შება პირველი

1. ამიერიდან სულის ჩემის ხომალდი მალი უკეთეს წყალთა საუფლოში ზეასწევს აფრას.
3. ჩვენს უკან დარჩა ზღვა სასტიკად აზვირთებული, ხამს ვუმრეროდე აწ სამყაროს რიცხვით მეორეს, სად სულს კაცისას, გაწმენდილს და განსპეტაკებულს ცად ამაღლებას სრული ნიჭი მოეფინება.
7. და პოეზია სულმიხდილი რომ ალსდგეს მკვდრეთით, წმინდა მუზებო, რადგან თქვენი ეკიყავ მარადუაშს
9. და კალიოპე მწედ მეყოლოს და შემაწიოს ხმა იგი, ერთხელ პერიიდებს რომ დასცა რისხვა,
11. რამაც საესტი წარუკვეთა მათ სასოება. აღმოსავლური საფირონის ფერმა დამტკბარმა,
13. რომელიც ზეცას მოსდებოდა გავარვარებულს და სხივოსნობის ათინათი ციდან ნასროლი
15. პირველ გარსამდის ცის კაბადონს, მოჰკიდებოდა,
17. რა შემლონებელს დავალწიე პაერს მე თავი, რომელიც გულს და თვალთანედვას აუძლურებდა:

1-12. ამ პოემის დასაწყისში დაწევ მოუწოდებს საუროოდ მუზებს და ვანსაკუთ-რეზათ კალიოპს.

2. უკეთეს წყალთა საუფლად უნდა, მივიჩნიოთ სალხინებელი;
3. ტექსტში: mazsi crudelle — იგულისხმება „ჯოჯოხეთი“.
9. Caliope — კალიოპე — ეპიურ პოეზიის მუზას ეწოდება.
10. ფრანგულად: პიის—დახრა ქალწულებმა შევიბრუში გაიწვიეს. მუზები. მაგრამ და-მარცდნენ, ქსინი აბალონშა კაჭკაჭებად აქცია. ოვოდ.

19. ტურფა პლანეტი სიყვარულის გამწესებელი  
მთელს აღმოსავლეთს ულიმოდა, თანაც ჩრდილავდა
21. თვის ასაბიას (კიურ ცოორცლს თევზად წოდებულს.  
მხარმარჯვნისაკენ მოვიქეცი, მყისვე მიხედე
23. პოლუს მეორეს და ვიხილე ვარსკვლავი ოთხი,  
რომელიც მხოლოდ პირველყაცთა პქონდათ ნახული,
25. თითქოს ზეცასაც ახარებდნენ ციაგით თვისით,  
მაგრამ ვაც, შენ ჩრდილოეთო დაქრიძვებულო,
27. რომ არაოდეს გელირსება ხილვა იმათი.  
რა განერიდა მზერა ჩემი იმა ცოორმილებს,
29. სხვა პოლუსისკენ მოვაბრუნე, აღვაბყრე თვალი,  
სად უკვე ეტლი უჩინარი იქმნა იღუმალ.
32. მოხუც მარტოეას თვალი ვკიდე იქვე მახლობლად,  
მის აღნაგობა გულისხმობდა ატივისცემას,
33. რომელზედ შეტაც ველარ მოსთხოვს მამა თავის შვილს.  
თეთრი ერია გრძლადმოშვებულ და სათნო წვერებს,
35. საქმაოდ ხშირი გარეოდა ჭალარა თმებშიც,  
ორმაგ ნაწნავად ზედ მკერდამდის ჩამოშვებული
37. ოთხივე წმინდა ცოორმილების სხივთა ციალი,  
ისე. მოსავდა სახეს მისას გასხივოსნებულს,
39. რომ მზისა დარად იდგა იგი ჩემსა წინაშე.  
ვინ გაქცევიხართ, მარადეამულ საპყრობილისა
41. ბნელი არაეის მდინარებას, მარქვით ვინა ხართ?“  
გვეკითხებოდა, უტოევდა სათნო წვერები.
43. ეს გიშინამძღვრათ ვინ გიჩვენათ გზა დია ბნელი,  
როცა უკუნი ლამის წიალს განელტვეთ მუნით,

12. Dole color d'orientae zaffiro — ტებილი ფერი. აღმოსავლეთის საფირონის.  
სასოების, იმედის სიმბოლო (იხ. პერალი, გვ. 352).
15. დანტე: primo giro — გარსი პირველი — იგულისხმება ცოორმილის გარსა.
17. იგულისხმება ჯოჯოხეთი.
19. La belle pianesa — ლამაზი გარსკვლავი — ვენერა.
21. ტექსტში: Pesci — იტალ. თევზი. იგულისხმება ცოორმილი პესკი — ვენერას.  
შელებელი პლანეტი.
23. ეს ოთხი ვარსკვლავი: ოთხი სიქველის: ჟერის, მართლმაჯულების, მამაცობის,  
და ზომიერების. სიმბოლონი არიან დანტეს წარმოდგენაში. ქრისტიანის აზრით. სამხრეთის  
ცაზე დანტეს დროს, მარკო პოლო. 1295 წ. (რომელმაც იავადან მადაგასკარამდის იარა)  
უნდა ენახა.
31. ეს დარბაისელი მოხუცი, (კომენტარიების აზრით) უნდა ყოფილიყო კატონე  
ტე'უტიკა, რომელმაც თავი დასდო რომის რესპუბლიკის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.  
მოხუცი კატონე მჩინეულია, როგორც სიმბოლო თავისუფალ ნებისყოფისა.

45. የወጪዎች ሰነድኝነት አምላካዊ ቤት ዘመንኩርጥ ይረዳ?  
ገዢና ገዢሸያዥ ሰነድኝነት ዘመንኩርጥ አዴ ውስጥኩርጥ  
47. ቤት ስራው የወጪዎች ሰነድኝነት አዴ ዘመንኩርጥ  
49. የወጪዎች ሰነድኝነት ዘመንኩርጥ የወጪዎች ሰነድኝነት  
51. የወጪዎች ሰነድኝነት ዘመንኩርጥ የወጪዎች ሰነድኝነት  
53. የወጪዎች ሰነድኝነት ዘመንኩርጥ የወጪዎች ሰነድኝነት  
55. የወጪዎች ሰነድኝነት ዘመንኩርጥ የወጪዎች ሰነድኝነት  
57. የወጪዎች ሰነድኝነት ዘመንኩርጥ የወጪዎች ሰነድኝነት  
59. የወጪዎች ሰነድኝነት ዘመንኩርጥ የወጪዎች ሰነድኝነት  
61. የወጪዎች ሰነድኝነት ዘመንኩርጥ የወጪዎች ሰነድኝነት  
63. የወጪዎች ሰነድኝነት ዘመንኩርጥ የወጪዎች ሰነድኝነት  
65. የወጪዎች ሰነድኝነት ዘመንኩርጥ የወጪዎች ሰነድኝነት  
67. የወጪዎች ሰነድኝነት ዘመንኩርጥ የወጪዎች ሰነድኝነት  
69. የወጪዎች ሰነድኝነት ዘመንኩርጥ የወጪዎች ሰነድኝነት  
71. የወጪዎች ሰነድኝነት ዘመንኩርጥ የወጪዎች ሰነድኝነት  
40. የወጪዎች ሰነድኝነት ዘመንኩርጥ  
41. የወጪዎች: fiume.  
45. የወጪዎች: Valle delle inferni — የወጪዎች ሰነድኝነት  
50. የወጪዎች: Con parole, con mano, con cenni — የወጪዎች ሰነድኝነት  
56. የወጪዎች: di nostra condizione...  
58. non vide... — የወጪዎች ሰነድኝነት  
59. follia — የወጪዎች ሰነድኝነት  
61. የወጪዎች: mandato. | የወጪዎች ሰነድኝነት  
65. fe animi del purgatorio — የወጪዎች ሰነድኝነት


73. შენ მიმიხვდები, რადგან თავათ დასთმე სიცოცხლე:  
 უტრიკასათვის, სადაც დაგრჩა მოკვდავი ნეშთი,  
 75. რომელიც კიდეც გაბრწყინდება განკითხვის ფამსა.  
 არც თუ კანონი შეგვიძლალას მარადეამული,  
 77. ის ცოცხალია და მე მინოსს არ ვემონები  
 და ვიმყოფები მე იმ გარსში, უბიწო მზერით,  
 79. შენი მარჩია თითქოს კიდეც გემუდარება,  
 სულო დიადო ჩვინც ჩაგვთვალო თავისიაზად,  
 81. ჩვენც შეგვირდომო სიყვარულის მისის სახელით.  
 და გაგვატარე ჩვენ შვიდივე საშეფოს გალმა,  
 83. მე კი მას ვამცნობ თავაზიან მოპყრობას შენსას,  
 თუ კი ქვესკნელში შენ ხსენებას არ აგვიკრძალავ,  
 85. „მართლაც ჩარჩია ლხენას პგვრიდა თვალებსა ჩემსა,  
 გვითხრა მოხუცმა—„როცა ვიყავ მეც იმ მიწაზე,  
 87. მე მას დიახაც ვუსრულებდი ყოველ საწადელს,  
 • ან კი დამლუპველ ნიავლვარის გალმა შთენილი,  
 89. „ვეღარ მოსწვდება, იმ კანონის გამოისობით,  
 „რომელიც ჩემის აქ წამოსვლის ხანში დამკვიდრდა.  
 91. „მაგრამ თუ დედა ზეციერი შენ გხელმძღვანელობს,  
 „როგორც თავათ სთევი, მოცერება რა საჭიროა,  
 93. „ისიც იქმარებს რომ შეზოთხვდე მისის სახელით,  
 „წა, ლელისაგან გაუკეთე, ამ კაცს არტაგი,  
 95. „ასხურე წყალი და მობანე პირისა სახე,  
 „რომ არსად აჩნდეს მცირე ლაქის რამ ნატამალი,  
 97. „რადგან არ არის მართებული რომ მცირე ლაქაც,  
 „გაჩნდეს სახეზე, როს შეხვდება პირველ კარისკაცს,  
 99. „სამოთხის სულთა საუფლოში როცა მიაღწევს,  
 „მცირე კუნძულზე ხოშ კი ხედავ იქ ქვევით, ქვევით,  
 101. „სადაც ტალღები გარს ევლება მტკიცე ნაპირებს,  
 „იზრდება ლელი გარეშემო ლონთქოში შლამზე.  
 103. „ვერავითარი სხვა მცენარე აქ ფურცლოვანი,  
 „ან ლერიანი ვერ გასძლებდა, ვერ იხარებდა,  
 105. „რაკი რომ წყალთა მიმოქცევას არ დაჰყვებოდა.  
 „მაგრამ იცოდეთ აწ აქეთკენ აღარ მობრუნდეთ,  
 107. „ამომავალი მზე გიშველით როცა აივლით  
 „თხემზე ნაკლებად დაცურებულ ბილიკით მერმე“;

77. კატონი არ ემორჩილება მინოსს, რადგან ეს უკანასკნელი ჯოჯოხეთშია.  
 85. ფრანგ. Marcia. კატონმა თავისი ცოლი მარჩია პორტენზიუს ტენზიუს და-  
 უთმო, ხოლო ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ კვლავ დაიბრუნა.  
 100. ლელი — ამ შემთხვევაში სათონების, თავმოდრეების კიმბოლოა.  
 112. *mollo limo* — რბილი შლამი:

109. და განქრა იგი. წამოვდექი სიტყვისუთქმელად,  
მიუუახლოვდი, ვეახელი ისევ, ჩემს ოსტატს,
111. და მივაჩერდი, გავუყარე თვალი მყის თვალში.  
„აწ მე მომყევი შვილო ჩემო, მითხრა ოსტატმა,
113. „უკან გავბრუნდეთ და ჩავეშვეთ იმ ბილიკიდან,  
„რომელიც ტაფობს ძირს ჩაყვება ქვემო მიჯნამდის“.
115. უკვე ცისკარმა წინ გაიგდო რიურაჟის უამი,  
ილტვოდა მრუმე პირისაგან სინათლისასა,
117. მე მყის შევნიშნე შორეულის ზღვისა ცახცახი.  
და ჩვენც ვიდოდით როგორც მგზავრი ვინმე ეული
119. დაკარგული გზის საძებარად უკუქცეული.  
დარდს რომ ეძლევა ვიდრე მართალს ვერ ჰპოვებს გზასა.
121. როს მივაღწიეთ ისეთ ადგილს, სად დილის ცვარი  
მზეს შემბებოდა, თანაც ჩრდილებს ეფარებოდა,
123. იბნიდებოდა, ქანკალებდა, ოდნავ ლხვებოდა.  
ჩემმა ოსტატმა ხელის გულნი მოლზე დააწყო,
125. ეს რა შევნიშნე, ვეახელი, მყის მიუშვირე,  
მე ლაწვნი ჩემი დანამული ცრემლთა დენისგან,
127. მანაც ხელები დაცვარული მომისვა პირზე,  
შემავლო ხელი, ალადგინა ჩემი სახისა
129. ფერი წარყვნილი, გამურული ქვესკნელის ბოლში,  
შემდეგ ამისა მივაღწიეთ უდაბურ ნაპირს,
131. რომელსაც წყალთა ზედან თვისთა არვინ უნახავს  
აქ გაეაროს და უკანვე მოქცეულიყოს.
133. მე აქ კატონის ნებისამებრ ჩემმა მეგზურმა  
წელზე ქამარი შემომარტყა, ო სასწაულო,
135. მაგრამ ჩხეული ლელი იგი შემეხსნებოდა  
იქვე ხელახლა ალსდგებოდა, საღაც მოსწყვიტეს.

136. — ლექსში rinaque — კვლავ აღორძინება, ხელახლად აღმოცენება, აღდგომა  
ხელახლად შობა.

ფაზნსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი.



6. Ա Տ Ե Խ Ո Յ Ե Ծ Ո

# პრიზი

03. წულუკიძე

## ნიკოლოზ ოსტროვსები

გარდაიცვალა ნიკოლოზ ოსტროვსკი — ავტორი წიგნისა, რომელიც საბჭოთა მეითხველმა მხურვალე გულით მიიღო და სცნო ჩვენი რევოლუციური სინამდვილის ერთერთ უშესანიშნავეს მოვლენად.

„როგორ იწროთობოდა ფოლადი“ არ არის მარტო ხელოვნების ნაწარმოები, ას მისი შემქმნელის ავტობიოგრაფიაცა; კოტალი დოკუმენტი საბჭოთა ქვეყნის, სტალინის ღიღი ეპოქის ადამიანებზე. ეს არის ნაწარმოები, საღაც ხელოვნება, საზრდოობს შესანიშნავი ადამიანის ბიოგრაფით, ხოლო თვით ბიოგრაფია ამ ადამიანისა ხდება ხელოვნების ისეთ მაღალ მხატვრულ ფაქტად, რომელიც ბევრს რასმე იძლევა ჩვენი სინამდვილის, ჩვენი დიდი ეპოქის ხასიათის გასაგებად და შესაცნობად.

ოსტროვსკის ავტობიოგრაფიული წიგნის მთავარი გმირი კორჩაგინი ახალგაზრდა მუშა ებმება რევოლუციურ მოძრაობაში, აქტიურად მონაწილეობს სამოქალაქო ომში, ხოლო მისი დასრულების შედეგ — გაშლილ სოციალისტურ მშენებლობაში. ეს არის კომქავშირელი კომუნისტი, რომელიც მთელი თავისი არსებით წინ აღუდგა ძველ ქვეყანას, ადამიანი, რომელიც აღიზარდა სოციალისტურ წყობილების დაყარებისათვის ბრძოლაში. ყოველ თავის მოქმედებას, ყოველ თავის აზრს კორჩაგინი აფასებს მხოლოდ იმ ბრძოლის თვალსაზრისით. „როგორ იწროთობოდა ფოლადის“ დედააზრი, ძირითადი რდეა გახსნილია კორჩაგინის შემდეგ სიტყვებში:

„ყველაზე ძვროფასი ადამიანისათვის — ეს არის სიცოცხლე. იგი ადამიანს ერთხელ ეძლევა და უნდა გაატარო ისე, რომ შემდეგ გული არ გეტკინოვს უმიზნოდ გატარებული წლებისათვის, რომ სირცევილმა არ დაგწვას უმსგავსო და წვრილმანი წარსულისათვის, რომ სიკვდილისას შეგეძლოს სთქვა — მთელი სიცოცხლე და მთელი ძალა შეეწირა ყველაზე უმშვენიერესს ამ ქვეყანაზე — ბრძოლას კაცობრიობის განთავისუფლებისათვის. უნდა გეჩქარებოდეს ცხოვრება. ხომ შეიძლება, რომ უაზრო ავაღმყოფობამ ან რაიმე ტრაგიკულმა შემთხვევამ შესწყვიტოს ივი?“

მძიმე ავადმყოფობამ კორჩაგინ-ოსტროვსკის საშუალება არ მისცა ეცხოვრა და ებრძოლა ისე, როგორც ეს მას სურდა. სამოქალაქო ომის დროს

ურონტზე მიღებულმა ჭრილობამ, ავადმყოფობამ და ბრძოლის წლებში გა-  
დატანილმა გაჭირვებამ თავი იჩინეს. კორჩაგინ-ოსტროვსკის წაერთვა ხელ-  
ფეხის მოძრაობა და ბოლოს თვალის ჸინათლეც დაჭარება.

ამ მოვლენების ტრაგიზმი, რომელიც თავისთვად საშინელია ყოველი  
ადამიანისათვის მეტი სიძლიერით გამომუდავნდა, როცა ეს უბედურება თავს  
დაატყდა გატაცებულ მგზებარე ენერგიულ მებრძოლს,

„განა შეიძლება ტრაგედია იმაზე უფრო საშინელი, როცა ერთ ადამიანში  
შეერთებულია სხეული, რომელიც უარს ამბობს სამსახურზე, და ბოლ შევიკის  
ჯული, მისი ნებისყოფა, რომელიც შეუქერებლად შრომისაკენ მოგიწოდებს,  
ზოგიწოდებს თქვენკენ: მთელი ფრონტით შეტევაზე გადასულ მომქედ არ-  
მიისაკენ, იქეთკენ, სადაც გაშლილია შებრძოლთა რკინის ნიაღვარი“. — სწერს  
კორჩაგინი თავის ძმას.

მაგრამ როგორ აქვა ეს ტრაგედია გადაწყვეტილი ოსტროვსკის?

იგი არ შორდება, არ ეთიშება კოლექტიკს, შრომისა და ბრძოლას. სა-  
რეცელზე მიჯაჭული იგი ხელმძღვანელობს წრეს, ზრდის, პარტიულ ახალგა-  
ზრდობას და ორი თვალით დაბრმავებული სწერს წიგნს, რომელშიაც სდებს  
მთელს თავის ბოლშევიკურ ენერგიას, მთელს თავის მგზებარებას, წიგნს, რო-  
მელიც უდიდესი უბრალოებით და სიმართლით მოვიდობს ჩვენი ქვეყნის  
ურთერთი საუკეთესო შვილის ერთი მიზნისაკენ. მიმართულ, მღელვარე ცხოვ-  
ებას:

მწერლობა, მხატვრული სიტყვა გადაიქცა მისთვის ახალ იარაღად კომუ-  
ნიზმისათვის ბრძოლაში: „გარღვეულია რკინის რეოლი, და ის მაინც უკვე  
ახალი იარაღით უბრუნდება მებრძოლთა რიგებს და ცხოვრებას“. იგი მიმარ-  
თავს მისთვის ამ ერთადერთ მისაწვდომ იარაღს, რომ გახდეს აქტიურად სა-  
სარგებლო საზოგადოებისათვის, რომ უჩვენოს ახალგაზრდობას კომუნიზმის  
იდეისათვის ბრძოლის აზრი, ბრძოლის მაგალითი.

1935 წლის 2 ოქტომბერს, როცა გაზეთებში გამოქვეყნდა „მთავრო-  
ბის დაგენილება ლენინის ორდენით ოსტროვსკის დაჯილდოების შესახებ,  
ვაზეთ „კომსომოლსკაია პრავდა“-ში დაიბეჭდა ერთი პატარა წერილი, რომ-  
ლის ვაჟეცურ კილოში ქონდესირებული იყო ის ძალა, რითაც გამსჭვალულია  
ოსტროვსკის მთელი წიგნი „როგორ იწროობოდა ფოლადი“. ამ რას ამბობს  
ამ წერილში ნ. ოსტროვსკი:

„ჩვენს დროში ბნელი ღმევი კი კაშკაშა, ღილად იქცევა. მე არასოდეს  
არ მიოცნებია ისეთ ჰერიტაჟებაზე. როგორიც მოპოებულია დღეს. ბრძო-  
ლის და მუშაობის შესაძლებლობის რა უდავო მაგალითია ისეთ პირობებშიც  
კი: როგორშიაც ბურუუაზიული საზოგადოება აღამიანს ღუპას მარტოობაში.

„სურვილი მუშაობისა მე დღით მაქსი, მე მინდა, მე ვალდებულიცა ვარ.  
ასეულცხლო სულ მცირე სამი წელიწადი მაინც, რომ მიკაცე ჩვენს ახალგა-  
ზრდობას ერთი, ან ორი მისთვის მშობლიური წიგნი, ეს დღიდად მნიშვნელო-  
ვანია, განსაკუთრებით ჩვემთვის.

...პირველი წიგნის გამარჯვება მე ბრუს ცერ დამასხამს. მე ახლადწამო-  
ჩიტული ყმაწვილი კი არა ვარ. არამედ ბოლშევიკი, რომელმაც იცის, თუ

რამდენად შორს არის ჩემი პირველი წიგნი სრულყოფისა და ნამდვილი ოსტატობისაგან".

"ვაკეთებ ყველაფერს, რომ მეორე ბავშვი ღაიბაღოს გონიერო და ლამაზი. ჩემს ცხოვრებაში უკვე არის ის, რასთვისაც ღირს სიცოცხლე".

მართლაც, ოსტროვსკის სამი უჭიანასკნელი წლის სიცოცხლე წარმოადგენდა გამუდმებულ მოუსვენარ მუშაობას ამ ღაპირების ბოლშევიკურ განიღებისათვის. იგი სწერდა წიგნს, სადაც ისეთივე ბრძოლის სურვილი და შეზნებარებას, როგორიც მის პირველ წაწარმოებში. მან უკ მოასწრო თავისი ახალი რომანის „ქარიშხლის შობილთა“ საბოლოო გადამუშავება, მავრამ ეს მეორე წიგნიც უფრო მეტი მხატვრული სიძლიერეთ ცხადყოფს, რომ ადამიანის ბედნიერება მხოლოდ კომუნისტური იდეებისათვის ბრძოლაშია, რომ „წევნის ღრაში თვით ბნელი ღამეც კაშკაშა დილად იქცევა“. ეს მეორე წიგნიც გვეუბნება, რომ ამ ცხოვრების აზრი რეალურ სინამდვილეშია — რეალურ შემოქმედებითს მუშაობაშია. კომუნიზმისათვის გაერთიანებული ძალით ბრძოლაშია.

„კომისომოლსკაია პრავდა“ — ში მოთავსებულ ოსტროვსკის ზემოხსენებულ წერილს სათაურად აქვს „ბედნიერებაა ცხოვრობდე“. ეს სიტყვები ორ აზრს ჰეთიცავენ: ბედნიერებაა ცხოვრობდე იმიტომ, რომ ცხოვრობ ადამიანთა ბედნიერების მოპოვებისათვის საბრძოლველად და იმიტომაც, რომ ბედნიერება უკვე მოპოვებულია, რომ უკვე აჟსებობს ამ ბედნიერების ისეთი რეალური პირობები, რომლებმაც დამბლადაცემულს და უსინათლო ოსტროვსკისაც კი შინაარსიანი ცხოვრებისა და ბრძოლის შესაძლებლობა მისცის.

ოსტროვსკის ბიოგრაფია შესანიშნავს როგორც დიდი ლიტერატურული მოვლენა, და ამავე დროს როგორც ჩვენი სინამდვილიდან აღებული ცოცხალი მაგალითი.

ოსტროვსკის უდიდესი ღამსახურება ის არის. რომ კორჩაგინის სახით მან შექმნა ჩვენი დიდი ეპოქის დადებითი გმირი, რომელიც უკვე გახდა ნიმუშად და მისაბად მაგალითად მიღლიონებისათვის. კორჩაგინის მაღალი თვისებები — შეურიგებლობა, მგზებარე სიძულვილი კლასობრივი მტრებისაღმი. მისი განუწყვეტილი კავშირი მასებთან, ორგანიზატორული უნარი, უშიშრობა, სიმამაცე, ნებისყოფის სიმტკიცე. აი ყველა ის თვისება. რომელსაც ნერგავს კორჩაგინი-ოსტროვსკი ჩვენს ახალგაზრდობაში და რომელიც აუცილებელია ნამდვილი რევოლუციურ მებრძოლისათვის.

ასეთი გმირი შეეძლო შეექმნა მხოლოდ ადამიანს, რომელმაც თვითონ უშუალოდ გაღაიტანა რევოლუციის ქარტეხილი და იყო გრანდიოზული ბრძოლების, დიდი შემოქმედებითი მუშაობის უშუალო მონაწილე.

ოსტროვსკის რევოლუციური და ლიტერატურული მოღვაწეობა მრავალ მხრივ საგულისხმოა ჩვენი თაობის ახალგაზრდობისათვის, განსაკუთრებით ასალი თაობის მწერლებისათვის, რომლებსაც ბევრი ააშ შეუძლიანო ისწავლონ. ოსტროვსკის მაგალითზე.

როგორც კორჩაგინი შეიქმნა. იდეალი ყველა კომკავშირელისათვის, ისე ასტრონომების შემოქმედებითი მეთოდი უნდა გახდეს მისაბაში ახალგაზრდა მწერლებისათვის, რომლებმაც ბეჯირად უნდა გაიკვეთონ ნიკოლოზ ოსტროვას ცხოვრებიდან და ლიტერატურული პრაქტიკიდან გამომდინარე შემდეგი დასკვნა:

მხოლოდ სოციალისტური შრომისა და რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში იწრთობა ნამდვილი ბოლშევიკი; მხოლოდ მწერლის ორგანული, აქტიური მონაწილეობა რევოლუციურ ბრძოლასა და სოციალისტურ მშენებლობაში წარმოშობს მასების ამაღლვებელ მგზნებარე ნაწარმოებს.

## ხალხურობის საკითხი საბჭოთა მფრიცელობაში

(ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ)

### წერილი პირველი

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა მწერლობაში უაღრესად ჰაინტერექსო პრობლემები წამოიჭრა. ჩვენი მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელმა მაქსიმ გორგიმ მწვავედ დასვა საკითხი სალიტერატურო ენის შესახებ. მზის სინათლეზე იქნა გამოტანილი ყოველგვარი გადამახინჯებანი სალიტერატურო ენის სფეროში. ამჟამად საბჭოთა მწერლობის წინაშე სდგას საკითხი ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ დაუნიდობელი პრძოლის შესახებ. ორივე ეს საკითხი ურთიერთშორის მჭიდროდ არიან დაკავშირებული. არც ერთი და არც მეორე მორიგი კამპანიური დისკუსიის ობიექტს არ შეადგენენ. ჩვენ ეს საკითხები ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს და კიდევ და კიდევ უნდა ვუბრუნდებოდეთ მათი სწორად გადაჭრის ცდებს. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ფორმალიზმისა და ნატურალიზმის განდევნა, სწორი და უნაჯლო სალიტერატურო ენის დადგენა — აუცილებელი პირობანი არიან საბჭოთა მწერლობის ნამდვილ ხალხურ მწერლობად გახდომისათვის.

სოციალისტური ეპოქის მწერლობა კი აუცილებლად ხალხური უნდა იყოს. იგი ხალხის იდეებსა და გრძნობებს უნდა გამოხატავდეს, ხალხისათვის გასაგები და საყვარელი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა მწერლობა ხალხური არ იქნება, მაშასადამე, თავის პირდაპირ ამოცანებსაც ვერ განახორციელებს. ამიტომ ჩვენი ამოცანაა ვიბრძოლოთ ხალხურობის დამკეთრებულების რებისათვის საბჭოთა მწერლობაში. ამისათვის კი აუცილებელია, უპირველეს ყალბისა, ნათელი წარმოდგენა გვქონდეს, თუ რას ნიშნავს მწერლობის ხალხურობა, რა თვისებების მატარებელი უნდა იყოს მხატვრული ლიტერატურა, რომ ხალხური გახდეს.

ნიშნავს თუ არა ხალხურობა მხოლოდ მას, რომ მწერლობა მარტივი და გასაგები იყოს? არა, მხოლოდ ამას არ ნიშნავს. ეს აუცილებელი თვესებებია, გასაგები იყოს? არა, მხოლოდ ამას არ ნიშნავს. ეს აუცილებელი თვესებებია, გასაგები იყოს? არა საკმარისი. ნაწარმოები შეიძლება გასაგებიც იყოს, მარტივიც, მაგნიტი არა საკმარისი. მარტივობი შეიძლება გასაგებიც იყოს, მარტივიც, მაგნიტი არა საკმარისი. ნაწარმოდგენა გვქონდეს, თუ რას ნიშნავს მწერლობის ხალხურობა, რა თვისებების მატარებელი უნდა იყოს ვინმე შესაგებად სწერდნენ. რევოლუციამდე ჩვენში გავრცელებული იყო ვინმე შესაგებად სწერდნენ. რევოლუციამდე საბჭოთა მწერლობის მატარებები და სხვადასხვა ბარათოვის ლექსები, სიმღერები მშე, ქალის ვიწრო კაბებზე და სხვადასხვა მრავალ ეფექტიურ თემებზე. ეს ლექსები ფრიად საღად და გასაგებად იყო.

დაწერილი, და მათ ფართო მკითხველებიც ჰყავდათ. მაგრამ ამ სახის ლიტერატურა არასოდეს ხალხური ან ყოფილა და არც იქნება.

იქნებ ხალხურ შემოქმედებაში, ფოლკლორში იყოს გამოსავალი? ჩვენ აუცილებლად უნდა გვჭონდეს გამომუშავებული მტკიცე მიღებობა ფოლკლორისადმი, ხალხურ შემოქმედებისადმი. ცხადია, რომ საბჭოთა მწერლობის საფუძველი ხალხია და მისი შემოქმედებაც უაღრესად მნიშვნელოვანია მწერლობის განვითარებისათვის. აუცილებელია ხალხურ შემოქმედებაზე დაყრდნობა. აუცილებელია ამ ულეველი სიმღიღრის ცოდნა, მისი ჭივიანურად გაძოყნება. ხალხური შემოქმედება ნამდვილი შთაგონების წყაროა და ყველა დიდი კლასიკოსი უხვად ეწაფებოდა ამ წყაროს. ხალხური შემოქმედების ორგანული ათვისების გარეშე საბჭოთა მწერლობა ხალხური ვერ გახდება. გენიალური და დიადია ხალხური შემოქმედება. მრავალი ტალანტი იყო და არის ხალხში, რომელნიც კოლექტიურად შედუღებულნი წარმტაც ნაწარმოებებს შენიდნენ. დიდი განძია დაგროვილი ხალხურ შემოქმედებაში. მრავალი თვალწარმტაცი მარგალიტა შექმნილი, რომელიც ღლემდე შემოქმედების მწვერფალებზე დგას. ხალხმა შექმნა სანიმუშო გმირული ეპოქა. ეხლაც ხალხური შემოქმედება მდიდრდება და ფართოვდება. თუ საბჭოთა მწერლობა ხალხური შემოქმედების საუნჯეს ვერ ჩასწოდება, იგი ხალხური ვერ გახდება.

სწორედ ამ „ამოცანის კარგად შესრულებისათვის აუცილებელია ზუსტად გარეკვეულ იქნას ის, რომ ყველაფერი არ არის საუნჯე, რასაც ხალხში უსახელო ავტორები შექმნიან. ხალხი უადრესად ნაყოფიერი და მკაცრი კოლექტიური ავტორი და რედაქტორია. ულიოს ის ცხრილავს, ასწორებს, ივიწყებს და ახალს, სამაგიეროს ქმნის, რაც საუკუნეებსა და ათეულ წლებს უძლებს, ის რჩება ხალხური შემოქმედების მარაგში. არიან ხალხური შემოქმედების ჭიროსფალნი, რომელნიც მას უდგებიან ბრძან, შეურაცხმყოფელი გულაჩუცებით: ყველაფერს ხალხის საუნჯის ოქროს ფონდში მიათრევენ.

ფოლკლორს არ უნდა მოვუღეთ ფორმალისტურად, ემპირიული რეგისტრაციის წესით. ხალხს აქვს ალორ და გემოვნება. მას უნდა ჩასწოდე და მიუხვდე თუ რას დასტოვებს ხალხი თავის შემოქმედებაში.

1935 წელს გაზითმა „კოლექტურიზაციაშ“ გამოსცა „საუნჯე ხალხური შემოქმედებისა“. დიდი და საჭირო საქმეა. ხალხური შემოქმედების მრავალი ლირსეული და შესანიშნავი ნიმუშია ამ წიგნში შეტანილი. მაგრამ „საუნჯეში“ შეტანილია ისეთი ნაწარმოებიც, რომელთაც არავითარი გამართლება არა: აქვთ გავეცნათ ზოგიერთ მაგალითს.

ხალხურ შემოქმედებაში იშვიათი რომანტიულობით, თავდაჭერილობით და ნამდვილი აღამიანური გრძნობებითაა მოცემული ქალ-ვაჟის დამოკიდებულება. მას პორნოგრაფიის უგემურობისა და ზერელობის იერიც კი არ ეკარება. „საუნჯეს“ კი შიგაღაშივ „შეურჩევა“ ამ სახის შაირებიც:

„ჰაი მთვარეო, მთვარეო!

ლამაზ ქალს მიმაპარეო,

გათენებამდე მამყოფე,

გათენდეს, გამაპარეო“.

(„საუნჯე“, გვ. 169).

„გოგოვ, მელოდე ამღამეს,  
ჩაგვკონები ძილშია,  
დაიმალება ხოხობი  
შენი თვალ-წარბის ჩრდილშია.

აქ მოდი, ემანდ რასა იქ?  
მარტო რას აქნევ ძილსაო?  
ამაღამ შეგახსნევინებ  
ჩემი პერანგის ღილსაო.  
ჩაგიქრავ ბროლის უბეში,  
გაგაფრთხობინებ ძილსაო“.

„საუნჯის“ ამგვარი შაირები თანდათანობით კიდევ უფრო პირდაპირნი ჰდებიან:

„ადეგ და ჩქარა წამოდი,  
გადმოიარე ბანები,  
კარს უქან ჩემი საწოლის  
ლია დაგხვდება კარები..

ასწიე უუთნის საბანსა,  
ზედ გადმომხვიე მკლავები!  
შენი გუნების საქმე ჰქენ,  
მტერს დაუყუნე თვალები!..“  
(იქვე გვ. 170).

„თეორო ქალო, გულქანაო,  
კოხტა, ნაზო სუქანაო,  
ნეტა შენი თვი მომცა  
დიდ წიფელას უკანაო!..“  
(იქვე. გვ. 171).

ესენი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი სალალობო შაირებია. მხატვრული შემოქმედების ნაპერწკლები მათში ოდნავადაც არ. ღვივის. „გუნების საქმე ჰქენ“-ო და „თეორო ქალო, სუქანაოში“ — არც არაეითარი შემოქმედება არის. რაც მთავარია კი მათში უგემურობაა, უხეშობაა, ღილი გრძნობისა და უაღ-რესად მნიშვნელოვანი აღამიანური მოვლენის ვულგარული, მოუკრძალებელი და მახინჯურად შიშველი წარმოდგენაა. ხალხის საუნჯის ნამდვილ ნიმუშებს ამ საკითხში კი სწორედ ეს უხეშობა და ფრიად მარტივი ურცხვი სიშიშვლე არ ახასიათებთ. აქ საქმე პორნოგრაფიულობაში არ არის. არც არის ზემოთ მოყვანილი შაირები დიდი პორნოგრაფია. საქმე ის არის, რომ აქ ზერელობა, უხეშობა და ღარიბი მარტივობაა ვამომჟღავნებული ეს კი ნამდვილ

„საუნჯებ“ მოკლე შაირებშიაც კი არ ახასიათებს. რა ვუყოთ, რომ ესა თუ ის შაირი ხალხში ითქვა, ბევრი რამ ითქმება, მაგრამ ყველაფერი კი არ გა- მოხატავს ხალხური შემოქმედების ბუნებასა და სტილს.

აბა რა მხატვრული ღირებულება აქვს ასეთ „რაჭულ შაირებს“:

„ეს გალაჭტიონ გოშაძე  
ნაპერწკალივით ელავსო,  
როცა ბარიშნებს ვერ ნახავს,  
როგორც ზღვა, ისე ლელავსო.

მიყვარს, მიყვარს თამაში,  
ფეხს გაფაჩუნება,  
გოგონებში არშიყობა,  
თვალის ჩაბაჭუნება.

ახალუხი შევიკერე,  
ჩოხა მაქვს მიბარებული,  
წუხელის გოგოს ვაკოცე,  
სუდში ვარ დაბარებული“.

(იქვე, გვ. 186).

ასეთ მდარე ხარისხის შაირების გვერდით იბეჭდება. შესანიშნავი სა- ტრფიალო ლექსები, იმავე ხალხური შემოქმედების ნიმუში: თუ რაოდენი- ჟფსკრულია პირველსა და მეორეს შორის, მაგალითისათვის მოვიყვანოთ ერთი: უკანასკნელთაგანი. ს. ლექსურაში (ქვემო-სვანეთში) ჩაწერილია შემდეგა- ლექსი:

### სატრფოს

მივიღე შენი სალამი, ცის კიდეს მოელვარეო,  
გულს მომხვდა მწველი ლახვარი; თავთავად დავიშალულ!  
მეც შენთვის ნუგეშსაცემად კალამი მოვახმარეო.  
ჯოჯოხეთი ხარ ჩემთვისა, ვეღარ მინათებ მთვარეო.  
ჩემი მზე მყვანდა, დაკვარეგ, აქ მე ვარ მგლოვიარეო.  
სიცოცხლის დიდო იმედო, რა მალე გამეყარეო!  
ჩემ გულში სულად ჩასულო, ამომავალო მალეო,  
ტანჯვით სულამომდინარსა, მომხედე, შამიბრალეო.  
შენთან მალირსე სიკვდილი, ან მეც მანდ წამიყვანეო,  
ან შენგან დაობლებულსა ნამარე გამითხარეო,  
შიგ მე დამმარხე სიცოცხლით, ზედ მიწა მომაყარეო,  
დამსუდრე მიწის საბანი, ზედ გულზე დამაფარეო,  
უუუნა თვალით მიტირე, ცრემლები ჩამაყარეო,  
შენთანამც კიდე მამყრფა ერთი დღე, ერთი ღამეო.  
(იქვე, გვ. 189).

ეს არის ნამდვილი სატრფიალო ლირიკა, მაღალ-მხატვრული ხარისხის შექმნები. მას არაფერი აქვს საერთო „ქალო-მსუქანა“-ოსთან. ეს ლირიკა ღრმა ადამიანური გრძნობების მხატვრული გადმოშლა, მდიდარი ფერწებით, პოეტური სახეებით. ასეთი სატრფიალო ლექსი კლასიკოს პოეტების ლექსების უტოლდება და ბევრი მათგანის ნამდვილ სათავეს ამჟღავნებს. ასეთი ლექსების კითხვის დროს ხელშესახებად ეცნობით აკაკი წერეთლის ლირიკის სათავებს, საფუძველს. და სწორედ ამ დონის ნაწარმოები არიან ხალხის ხაუნჯეში შეტანის ღირსნი და არა ყოველივე „შემთხვევითი სამტრედიულ-ულაბრული ოხუნჯობა და ჩიქორთული ენით დაწერილი შაირ-კუპლეტები. მა შედარებების დროს თვალში გეცემათ სიტყვიერი მასალის სხვაობაც. პირველი კარიბია, — ბარიშნებითა, სუღებითა და სხვა სიტყვის ბუშებითაა აჭრელებული, მეორეში კი სუფთა და ნათელი ქართული ენა, უხვი, გაუცემული, მრავალ-თავისებურებათა მქონე სიტყვიერი მასალით. ასეთი შემოქმედებაა რომ ხელს უწყობს ენის დახვეწას და ამდიდრებს მწერლობის სიტყვის მარაგს. ასეთ ლექსებში პოეტური შედარებები არამც თუ არ არის განდევნილი, არამედ მათ მეტწილად ახალი, მოულოდნელი და განსაკუიფრებელი განათება აქვთ. ეს კი ნამდვილი პოეზიის აუცილებელი თვისებაა. ამ დებულების და-სამტკიცებელ სანიმუშო მაგალითად აკილოთ 10 დეკემბერს (1936 წ.) „კოშუნისტში“ გამოქვეყნებული ლექსი „სტალინ“. ეს ლექსი თქმულია გ. ქადაგიძის მიერ ზემო-აღვანში (თუშეთი). ლექსი სავსეა მოულოდნელი, თავისებური შედარებებით, სახეებით. მაგრა სტალინის სიღიადის გრძნობა უშუალ მიმძაფრითა და მხატვრული სილრმითაა მოცემული. აი ეს ლექსი:

„არ მინდა ვოლგას გამსგავსო, —  
მდორეა, გაბლანტებული;  
არც ამ ჩვენებურ არაგვა, —  
გაუია, აქაფებული. „

არც მყინვარს ჰევებარ თეთრწევერის, —  
ცოვია, უკარებელი;  
არც კლდე ხარ, კაცის ურგები, —  
სალია, უტარებელი.

იქნება ოკუნე ხარ,  
ლაუგარდით დამძიმებული;  
ან ქარიშხალი, ცეროზას  
კლდეებთან დაჭიდებული:

მალალი მთების არწივო,  
ცა მხრებით გაგიხვია,  
გაგიქვეთია ღრუბლები,  
მზე ქვეყნად დაგიბნევია.

მშრომელის ბედის აკვანი  
მზრუნველად დაგირწევია,  
საბუღრად მილიონების  
გულები აგირჩევია.

შენ ჩვენი აზრი, ფიქრი ხარ,  
მიგვიძლვი, გულებს გვიალებ,  
ჩვენი გრძნობა და ცეცხლი ხარ,  
გულში იმედად ფრთხიალებ.

ჩვენი დროშა ხარ, მიიბრძვი  
და კალთებს მიაშრიალებ,  
~~თვით~~ ჩვენდ სისხლის დენა ხარ;  
თუ გზას გადავცდით, დაგვიტევ,  
ძახილს არ დაგვიგვიანებ.

ჩვენი გული და გონება,  
თვით ჩვენი სისხლის დენა ხარ;  
უკუნეთ შუა ღამეში  
დილის მზის გამოჩენა ხარ.

ათასი წლისა მანძილის  
ათ წუთში გამორბენა ხარ,  
შენზე მღერიან მწყემსები —  
„ნეტავი თვალით გვენახა“.

შეუძლებელია ამ ლექსის ციტატებად დანაწილება, ამიტომ იძულებულია ვიყავით მთლიანად მოგვეტანა. იგი პოეტური ფოლადისაგანაა ნაჭელი და უეჭველად ჭეშმარიტი შემოქმედების ნიმუშია. ეს ლექსი მოზღვავებულია გრძნობის ნაყოფია, ხალასი განცდის შედეგია; ამ განცდას უაღრესად მხატვრული ფორმაც მოუნახავს, შესანიშნავ სახეებში გამოკვეთილა და უჩვეულო შედარებებით გვაოცება. მე ძალზე მეეჭვება, რომ იგი „თქმული“ იყოს და არა საცემით მცოდნე და პოეტურად შედარებით განსუავლული ავტორის დაწერილი. „ოქეანე... ლაჟვარდით დამძიმებული“ და სხვა მთელი რიგი სახეები მოწმობენ, რომ ამხ. გ. ქადაგიძე ბრძან მეფანდურე, ან და წერაკითხვის უცოდინარი ზემო-ალვანელი მწყემსი კი არ არის, არამედ საკმაოდ მომზადებული შემოქმედია. ეს მდგომარეობას არ ცვლის, ჯერ ერთი ის, რომ ხალხური შემოქმედების შედევრები ბევრ ცნობილ მწერალ-პოეტის ნაწარმოებს აღმატებიან თავისი პოეტური ლირებულებით და მეორე ის, რომ ზეშოთ შოტანილი ლექსი, ვისიც არ უწდა იყოს, ხალხური შემოქმედების წიაღილიდანაა წარმოშობილი, მისი სტილის, სულისკვეთების და მის თავისებურებათა გამომხატველია. ამ ლექსში ხალხურ შემოქმედების მიმზიდველობა, უშუალობა უხვადაა მოქცეული. იგი საცემა თამამი სახეებით და მძაფრი პოეტური გამოფქმებით. პოეტი მიღებული შედარებების შებრუნებას ახდენს:

ჰერცოგი გამოიქვებოთ. ბოლენი მიღუბული შედარებებთა უქმნებას ხდება. მე არ მინდა ვოლგას, არაგვს, მყინვარს, კლდეს გამსგავსო, მიმართავს ივი სტალინს; იმიტომ ორმ ვოლგა მდორეა გაბლანტებული. მყინვარი ცივია, კლდე სალია უტარებელიო და სხვა. თავისთავად ესეც შედარებაა, მაგრამ ახლებურად მობრუნებული, პოეტური თავისებურობის შემცველი.

შესანიშნავია:

„უქუნეთ შუა ლამეში  
დილის მზის გამოჩენა ხარ,  
ათასი წლისა მანძილის  
ათ წუთში გამოჩენა ხარ“.

ეს ლექსი ცნობილი პოეტების მიერ სტალინზე დაწერილი ლექსების უმრავლესობას სჯობს. მასში მეტია პოეტური ნილრმე, სიახლე, უძუალობა, ლირიკული სითბო.

ხალხურ შემოქმედების მარგალიტებს შემჩნევა უნდა და გამორჩევა. იგი უნდა გაიწმინდოს ულიოსი, მდარე ნაგავისაგან. ზემოთმოტანილი ნიმუშები აშერად მოწმობენ თუ რაოდენი განსხვავებაა კარგსა და ცუდს შორის ხალხურ შემოქმედებაში. ყოველგვარი ფრაგლორული მასალის გაიდგალება და უქრიტიკოდ მიღება არ არის საჭირო. კულაკობაც ცდილობდა ფოლკლორში თავისი ხრინწიანი ხმა ჩაეწიოვა და ნათელი შემოქმედება მღვრიე მტრული ნაკადით მოეწამდა. ფოლკლორში მონური წარსულის ნიშნებიც საკმაო. მასში მყრალი ბალაზივით გარეულია ცრუმორწმუნება, ადამიანის ლირისების შეუცნებლობა, მისტიკიზმი და სხვ. საბჭოთა მწერლობამ ფოლკლორის სწორედ ეს ნაკლი უნდა უკუაგდოს. ფოლკლორის იმიტაცია, ნედლი მასალის გადმოტანა, მისი უკრიტიკოდ მიღება — ხალხურობას არ ნიშნავს. პირიქით — ეს აკილებს ხალხს მწერლობას. ბევრ მწერალს ეს არ ესმოდა და ზოგიერთს დღესაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ხალხური შემოქმედების ხასიათზე.

ჩვენმა ცნობილმა პოეტმა სანდრო შანდიაშვილმა ფორმალიზმს შესახებ გამართულ დისკუსიაზე განაცხადა, რომ „მე... ოცი წლის წინათ ვიყავი მომ-რე სადა, გასაგები, ხალხური მწერლობისათ“ — და მოუწოდებდი პოეტებს ჯანსაღი პოეზიის შესაქმნელად. დასამტკიცებელ საბუთად იგი მიუთითებდა. „ცისფერ ყანწელების“ მიმართ ლექსად მიწერილ წერილზე, სადაც იგი, სხვა-თა შორის, სწერდა:

„მინდა სომლერა მექნეს მე საღა,  
შევქმნა მარტივი, გრძნობით მაღალი  
ლექსი მსუბუქი, ჰანგით ახალი,  
იყოს ნათელი და საარაკო...“

ასეთი დეკლარაცია სიმბოლისტების ბუნდოვანობისა და დაცემულობის ასეთი უეჭველად მისასალმებელი და სასურველი იყო. თუ ამას გამო-კერიოდში უეჭველად მისასალმებელი და სასურველი იყო. თუ ამას გამო-

ვაკლებთ „მარტივობის“ სურვილს, რადგან მარტივი — პრიმიტიულს უდრის. ჯანსაღი პოეზია ნიშნავს მის ხალხურობას. ამ შემთხვევაში კი მასში უნდა გაერთიანდეს სათანადო იდეურობაც და მხატვრობის მაღალი დონეც. მწერლობა ხალხური მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ იგი მშრომელი ხალხის ისტორიულ ინტერესებს გამოხატავს, თუ იგი მოწინავე იდეებით სულ-დგმულობს და მაღალ-მხატვრული და, მაშასაღამე, სადა ფორმის მქონეა. სალხურ შემოქმედებაზე დაყრდნობაც ამ ხაზით უნა ხდებოდეს. ს. შანშიაშვილმა ხალხთან კავშირის შესახებ კარგი დეკლარაცია დასწერა, მაგრამ თავის პოეტურ პრაქტიკაში ყოველთვის არ იდგა ხალხური მწერლობის დონეზე, როგორც ეხლა მას ჰგონია. ზოგჯერ იგი ხალხურ შემოქმედებიდან იღებდა არა „ნათელსა და საარაკოს, ჰანგით ახალს“, არამედ მახინჯას, უაზროს და არეულს. მან საგრძნობლად გამოიტანა უარყოფითი ნაკადი: ცრუმორწმუნეობა, მონური ფსიქოლოგის ხაზი, ბუნდოვანობა, მისტიკიზმი. ს. შანშიაშვილის პოეტური პრაქტიკის ეს ხაზი თვალსაჩინოდ გამოვლინებულა მის უკანასკნელ წიგნშიაც („განვლილი შარა“, ლექსები, სახელგამი, 1935 წ.).

მთელ რიგ ლექსებში ს. შანშიაშვილის პოეტური ფანტაზია სოფლის ცრუმორწმუნეობით განისაზღვრა; აი მისი ერთ-ერთი პოემა-ლექსი: „პაპლა-ურა და ელთერო“:

„ბანჯგველიანის ცხენის ფეხით  
პაპლაყურა მობაჯბაჯებს,  
კისერი აქვა მხრების სისქე,  
ქშინავს, ძლივს სდგამს მსუქან ლაჯებს“.

ამ უცნაურ ცხოველს ხელთ უნდა ჩაიგდოს ცელქი ელთერო. იგი ეძებს ელთეროს და მიაგნებს მას:

„წყაროს პირად იჯდა ქალი  
და მის გვერდით სხვა ტყის კაცი  
რქებიანი, როგორც ვაცი“.

გაიმართება ბრძოლა. პაპლაყურა, ცხადია, გაიმარჯვებს, გაიტაცებს ელთეროს და გამართავს ლრეობას თავის ტყის „ძმა-ბიჭებში“:

„პაპლაყურა ტლინქავს სტვირზე,  
ელთეროსაც ათამაშებს,  
მაჯლაჯუნა დოლის ნაცვლად  
ხელებს ურტყავს მსუქან ფაშვებს.  
ჯმუხს ბაბაყულს ასლოკინებს  
და ჩამოსდის დორბლი ლაშებს,  
ვილაც მკვეთრად კივის, წივის,

მით ამხნევებს ქაჯთა დასებს,  
კუდიანი ალარ აცლით,  
დაღის და თან აწვდის თასებს.  
ჩხინკა მეტად ჭირვეულობს,  
უბედობს, ხელებს ასავსავებს.  
ბაიყუშმა გაიცინა, —  
ნეტა თუ რას მოასწავებს!  
ის უთუოდ ვისმეს ნავსავს  
და ფიალას ბოლმით ჩვსებს!  
ერთი ჭინკა პირქვე ბლუნავს,  
იღმანშება, პირს ასაქმებს.  
პაპლაყურა ისევ ტლინკავს,  
ელთეროსაც ათამაშებს".

(ს. შანშიაშვილი, „განვლილი შარა“, გვ. 68).

ამ ტყის უცნაურ სულიერებს გულმოდგინედ უყრის თავს პოეტი. იქვე ლექსი „უძილო ღამე“ — დათარეშობს ჭრელი ჭინკა, ავსული და ალქაჯები, ჩაჯლაჯუნა:

„ბაიყუში კუდიანი  
თხისწვერა და ბანჯვლიანი  
ჯაღო კბილებს აკაპუნებს".

და ა. შ.

პოემა „დალი“ — ში ღმერთების პანთეონია გაშლილი. ლექსი „რანი ოდე-ლი“ ტურფა რანს სტანჯავს „ნახევრად ცხენკაცი გონჯი რუხა“.

რა მხატვრული და იდეური გამართლება აქვს ამ უცნაური სულიერების ჯირითს საბჭოთა პოეტის წიგნის „განვლილი შარის“ ფურცლებზე და რით ამართლებენ ისინი პოეტის მიერ ოცი წლის წინათ გამოქვეყნებულ ფეკლა-რაციას ჯანსაღი პოეზიის შესახებ? არაფრით. ეს მაბინჯი და გულუბრყვილო ფანტაზია. ცრუმორწმუნეობის პოეზიის ობიექტად გადაქცევა არ შეიძლება. როდესაც გასულ საუკუნეში ბალადები იწერებოდა, იქ თუნდაც ცრუ-ძორწმუნეობის გავლენის ჩვენებითაც იმ დროის აღამიანის ფსიქოლოგია იყო გახსნილი. ს. შანშიაშვილს კი ესეც არა აქვს. იმ პაჭლაყურასა წა ალ-ქაჯებში, მათზე დაწერილ პოემა-ლექსებში რეალიზმის ნასახიც კი არ გაძოკრთის. ისინი თვითმიზნურად, თავისითავად არსებობენ. და ამიტომ მხატვრული ნაწარმოების საინტერესო სიცოცხლეს სავსებით მოკლებულნი არიან და იდეურად — მახინჯნი. კუდიანების ამ არულს ხალხის შემოქმედების ნათელ სახესთან არაფერი აქვთ საერთო. ის მხოლოდ ბნელი მხარის უსარგებლო ასლია. რეალიზმისაგან და ადამიანურ გრძნობებისაგან ასეთმა უკუქცევაშ ს. შანშიაშვილის სხვა ნაწარმოებებსაც დააჩინა დალი. მისი ვეებერთელა პოემები „ელდინო“, „ქალი გრძნეული“ და სხვ. ნახევრად მითოლოგიურ-

(და ამ ხაზითაც კი ყალბად და ხელოვნურად) ნაკვთზე აგებული, არარსებულ, ყოველვარ სინამდვილისაგან განკენებულ აღაშიანების გრძნობების ასახვისა ზაზითაა გაშლილი. ამიტომ მათში ვერ იცნობთ რომელიმე ეპოქაში მცხოვრები ცოცხალი აღამიანის გრძნობებს, იდეებს. ასეთი პოემები ჰაერში გამოკიდებულნი რჩებიან. ისინი მკითხველისათვის ცივი და უცნაურნი არიან. შათი მხატვრული ოსტატობაც განფასებულია და უსარგებლო. როგორც არ შეიძლება წისქვილის ქვა ბრუნვდეს და არაფერს ფქვავდეს, ისე მწერლობაში არ შეიძლება ამქვეყნიური აღამიანის გრძნობებს, განცლებს და იდეებს დაცილებული იყოს მხატვრული ნაწარმოები. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ რითმების უსარვებლო რაკუნი ისმის. რაც არც არავის ალელვებს და არც არავის აკმაყოფილებს. ასეთი ნაწარმოებნი არ სცოცხლობენ. ასე დაეძათა ს. შანშიაშვილის ზოგიერთ დიდ მოცულობის პოემას. ეს კი ოცი წლის წინათაც არ იყო სწორი ვზა და დღეს მით უმეტეს. ყველაფერი ეს კი ნიშნავს, რომ იგი ხალხური შემოქმედების წყაროსთან ზოგჯერ მრუდედ მივიდა ამის კვალი მას ზოგიერთ ლექსებში დღემდეც გამოყვა. ავილოთ სულ უახლოესი ლექსი: „ახალ საქართველოში“; ხალხური ლირიკისა და ხალხური სიმღერების მეტად ნაზი, მრავალფეროვანი და გულში ჩამწვდენი მოტივები მან პრიმიტიული, ღარიბი და უხეში გახადა. იგი საქართველოს ეუბნება:

„ილიამ და აკაკიდ  
ცრუმლით გილბეს ძალები!  
მაინც მღერდენ: „აყვავდი!  
გვეკუთნოდეს ძალები!“.

აზრი ბუნდოვანადაა გამოთქმული და პოეტურად. ნაძალადევსა და არამხატვრულ ფორმაშია გამოკვეთილი:

„წინ სტალინი მიგვიძლვის  
ბელადი და სრულადი;  
არ დამიწყდეთ სიმებო!  
ვიყოთ მისებრ გულადი!“

ძალზე ცუდია. გაცვეთილი „ხალხური“ სიმღერების ყაიდაზეა აგებული. ტლანქი და ამ შემთხვევაში ნაძალადევი, მოუხეშავი ქართულია — სრულადი. ჩვენი ეპოქის შესანიშნავი მოვლენა მეტად უმწეო ფორმაშია მოცემული. აქ კარგმა ადეამ სათანადო მხატვრული ხორცი ვერ შეისხა.

ეს მოუხეშავი, უმწეო მხატვრული სახეები, ხშირად ბუნდოვანობაში გადასულნი, არა მარტო ცალკე სტროფებში აქვს პოეტი:

„არ მომტყუნო, ჩონგურო,  
ჩემიც შენი მტერია!  
ახალ საქართველოში  
მცირე დამიმღერია!

ოხ, რამდენი გადამჩჩა  
ქართლ-კახური-ფშაური!  
ვის მოვთხოვო, ერთვულო,  
ჩემი დანაშაული?

შენი ნესტან აქ არის,  
მჩინ გზა ვერ არიეს,  
„მდელოც აყვავებულა“  
შხამი ველარ გარიეს!

მაშ, ჩონგურო, დაუკარ!  
მიჰყე, ბელადს — ედარე!  
ახალ საქართველოში  
არ გსურს ლაჩრად მდებარე».

(ს. შანშიაშვილი — „განვლილი შარა“ ახალ საქართველოში, გვ. 3)

ვითომ სადადაა დაწერილი. მაგრამ რამდენი რამ არის ბუნდოვანი ამ სტროფებში. პოეტს აქვს გამზრახვა რაღაც სთქვას, რაღაც აზრიანი დაამლეროს თავის ჩონგურს. მაგრამ იმთავითვე სიტყვა უწყდება; რჩება დამოუკიდებლად არსებული სიტყვები. აბა რა უნდოდა მას „უთქვა“:

ჩემიც შენი მტერია!

რა ჩემი? რისი შენი? მიხვედრაც კი არ შეიძლება თუ პოეტს რა უნდა სთქვას. რა რამდენი გადარჩა მას „ქართლ-კახური-ფშაური“, ეს პირდაპირ მუნჯური ლაპარაკია. პოეზიაში კი ენა, სიტყვა ბატონობს.

როგორ ედაროს ბელადს ჩონგურმა:  
„მაშ, ჩონგურო, დაუკარ!  
მიჰყე, ბელადს ედარე!“

ახალ საქართველოში ლაჩრად მდებარე ვინ არ სურს პოეტს, თავის თავი, სხვა...! ლაჩარი უსულო კუნძული ხომ არ არის. დავუშვათ, ჰგავს კუნძული, მაგრამ მაინც მისი დება არ შეიძლება.

ასეთი სტილითა და მხატვრული საშუალებებით დაწერილი ლექსი მხოლოდ პრიმიტიულობისა და მთარე პოეტორი ლი ების შესახებ ვველავარაკება. იგი ვერ შეედრება ხალხური პოეზიის ღრმა ნიმუშებს. თუნდაც გ. ქადაგიძის, ან და რომელიც გნებავთ ფშაურ-სვანურ ფოლკლორის პოეტურ მეტყველებას. იგი ბაძას მათ, მაგრამ ცრდად ცურალ უშედებოდა ს შანშიაშვილს კი ეს არ ეპატიება. მან ქართული ენაც კორფულ იცის და ქართულ ლექსიაც, თავის თაობის პოეტებთან შედარებით, კარგად ფლობს. ეს უჟეველად იმის ბრალიცაა, რომ მხატვრული ალლო მას არც ისე იშვია-

თად ლალატობს და ხალხურ შემოქმედებაზე ძველი შემცდარი გაგება, მასზე არასწორი დაყრდნობა, დღემდე ვერ მოუკილებია.

ჩვენ ამ წერილში ს. შანშიაშვილის შემოქმედების მიმოხილვას არ ვაკეთებთ, მისი შემოქმედების ნიმუშები მოვიტანეთ ჩვენი დებულების — მწერლობის ხალხურობის — საილუსტრაციოდ. ამიტომ ამჟამად ჩვენ გვერდს უხვევთ ს. შანშიაშვილის პოეზიის დადებითსა და საინტერესო მხარეებს. ეს კი მის პოეზიაში უეჭველად არსებობს. მისი „კახეთის დედოფალი“ ეს მისი შემოქმედებისა და ხალხური პოეზიის ნაყოფიერი გავლენის შესანიშნავი ნიმუშია. ლექსი „მუხის დაცემა ჭიათურის ტყეში“ ქართული პოეზიის ერთერთი საუკეთესო ლექსია. უკანასკნელ წლებში ს. შანშიაშვილს მთელი რიგი, იდეურადაც და მხატვრულადაც — უეჭველად მნიშვნელოვანი — ლექსები აქვს („დედისერთა“, „ლენინი ჯავშანოზე“ და სხვ.). მათი გარჩევა ამ წერილის ამოცანებში არ შედის ჩვენ მოტანილ ნიმუშებით დავამტკიცეთ, თუ როგორ ხდება ხშირად სისადავისა და ხალხურობის გაყალბება, და ის, რომ ამ გზით ვერ მივიღებთ ხალხურ პოეზიას, პირიქით, მას მეტად დავცილდებით.

ფოლკლორიდან, ხალხურ ზეპირ-სიტყვაობიდან, მისი მცირე მღვრიე ნაკადის შერჩევა და გაღმოტანა ხდება არა მხოლოდ პოეზიის ზოგიერთ ნიმუშებში, არამედ მხატვრულ პროზაშიაც. კ. გამსახურდიას შემოქმედებაშიაც, განსაკუთრებით მის წინანდელ ნაწარმოებებში („დიონისოს ლიმილი“, „ტაბუ“ და სხვ.) ჭარბად შეჭრილია მისტიკიზმი, ცრუმორწმუნეობანი, მახინჯი ლეგენდები. ის იჩენდა განსაკუთრებულ უნარს ხალხურ თქმულებიდან აერჩია ყალბი, ბუნდოვანი, მისტიური. მთელი მოთხოვა „ტაბუ“, თავის მორიელებით, ცრუმორწმუნეობით, ბუნების ძალებისადმი მონური შიშით ამ დებულების დამამტკიცებელია.

სულ სხვა ხასიათისაა მაგრამ მაინც საყურადღებო ტენდენციების შეცველა დემნა შენგელაის რომანი „ბათა ქექია“. ეს რომანი პირდაპირ შთაგონებულია ხალხური შემოქმედებით, ფოლკლორით, ანდაჭებით, მოსწრებული თქმებით, ხალხის მიერ შექმნილ ხასიათებითაც კი. ეს დიდ მიზიდველობას და ძალას აძლევს ამ ნაწარმოებს. მწერალი დიდ ოსტატობასა და ცოდნას იჩენს ხალხის მიერ გამოკვეთილი მასალის გამოყენებაში, მის ორგანიულ ათვისებაში. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ დემნა შენგელია. ხანდახან ზომიერებას ვერ იცავს. „ბათა ქექიაში“ ბატონობს ფოლკლორული მასალა, ხშირად კოლორიტის დაცვა თვითმიზნად ხდება. ხალხური გამოთქმება, ანდაჭები, თქმულებები, უკვე შექმნილი შტრიხები მასში ჭარბა და ზოგჯერ უკრიტიკოდ აღებული. ყველაფერი ეს მწერალს მიეზიდება ნატურალიზმისაკენ. თუ ეს „ბათა ქექიაში“ მომაბეზრებლად არ გეჩრებათ თვალში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დემნა შენგელაია სიტყვის საკმაოდ მომწიფებული ოსტატია, იგი ნატურალიზმის უფერულობას და ერთფეროვნებას მოხერხებულად ფარავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი მას საესებით სძლევს. რამდენად უფრო მოიგებდა ეს ნაწარმოები, რომ ეს ტენდენცია მწერალს დაეთრგუნა და განედევნა?

ფოლკლორის იმიტაცია, ნედლი მასალის გაღმოტანა არ არის ხალხურობის ორგანიული შეთვისება. აი როგორ იქცევა პოეტი ტიციან ტაბიძე ერთ-

ერთ თავის ნაწარმოებში: „თავფარავნელი ჭაბუკი“. იგი სიტყვა-სიტყვით იღებს ხალხურ ლექსს, „თავფარავნელი ჭაბუკი“, უმატებს მას ორ სტროფს და ბეჭდაეს თავის წიგნში დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით:

„თავფარავნელი ჭაბუკი,  
ასპინძას ქალსა ჰყარობდა,  
ქალი ანთებდა სანთელსა,  
სანთელი კელაპტარობდა“.

ჭაბუკი შეცურდება წყალში, ქალი უნათებს სანთელს, მაგრამ ერთი სულ-ძყრალი ბებერი აქრობს ამ სანთელს. ჭაბუკი წყალში დაიხრჩება. ასეთია ეს ხალხური ლექსი. ტ. ტაბიძე მის გათანამედროვებას ცდილობს და აკერძნს მას შემდეგ კუდს:

„ჭაბუკი სუვე გაცოცხლდა,  
მიღის და მიუხარია  
ცალ მკლავზე ელექტრო აცვამს,  
მარჯვენას — რკინის ხარია.  
მხოლოდ სულძალლი ბებერი  
საფლავში უფრო მყრალია.

არცა ჩაქრება არას დროს  
გიზგიზა ცეცხლის ქარბუქი,  
ახალი საქართველოა  
თავფარავნელი ჭაბუკი“.

(ტ. ტაბიძე — „ლექსები“, გვ. 173).

უმცეველად ყალბია და უაზრო ასეთი ქირურგიული ოპერაცია. რად უნდოდა ხალხურ ლექსს ტ. ტაბიძის „ადეოლოგიური“ გაგრძელება? რატომ გახდა მაინცა და მანიც ახალ საქართველოთ დადგუაჭლი თავფარავნელი ჭაბუკი? მხატვრულად სრულებით გაუმართლებელია ხალხური ლექსის ამგვარად პირდაპირი გადმოტანა და ხელოვნურია, სქემატიურია მისი ასეთი გადაკეთება. საერთოდ ეს გზა საესებით შემცდარია და კიდევ ერთხელ მოწმობს თუ ზოგიერთ პოეტს როგორ ყალბად ესმის ხალხურ შემოქმედებასთან ურთიერთობის საკითხი. ეს მხოლოდ ტ. ტაბიძის არ ეხება. პოეტი გ. ლეონიძე ხარბადა დაწაფებული ხალხური შემოქმედების წყაროს, ეს მის პოეზიას დიდ კოლორის და შემთხვეველობას მატებს, შაგრამ მას სტილიზაციის დიდი საშიშროება აქვს. პოეტი არც ისე იშვიათად ხალხური შემოქმედების, ფოლკლორის სასიმღერო მოტივების სრულ გავლენაში ექცევა. ეს ჩრდილავს მის პოეტურ მეს, აუპიროვნებს მას. ასეთ შემთხვევაში ძალაუნებურად ვლებულობთ გალარიბებულ ფსევდო-ხალხურობას. მდგომარეობა არ იცვლება, რო-

დესაც ასეთი გეზით ნაწარმოები იწერება ახალ თემაზე, თუ ძველ „ნეიტრალურ“ თემაზე. გ. ლეონიძე ხშირად ამ სტილით ახალ ტფილისზე სწერს. აქაც კი მას უძნელდება დამოუკიდებელი პოეტური ინდივიდუალობის გაშლა და საკუთარი ძალის შესაფერ პოეტურ სიმაღლემდე ასვლა.

ყოველი დიდი პოეტი ხალხურ შემოქმედების მოტივებს, მის მხატვრულ ბუნებას ორგანიულად ითვისებდა და საკუთარ შემოქმედების სპექტრში ატარებდა. პუშკინი და აკაკი წერეთელი ხალხური შემოქმედების ულეველ ბარაგიდან კრეფლნენ თავის ლექსების ცხოველმყოფელობას; მათი შემოქმედება ხალხის პოეტურმა გენიამ გაამდიდრა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის დამორჩილებულის მდგომარეობაში. პირიქით, ამ მოვლენამ სრულად გაფურჩქვნა მათი პოეტური მეობის თავისებურება. ხალხური შემოქმედების მზამზარეულად გადმოტანის გზა ყალბია, ხელოვნურია, მცდარია. უკანასკნელი წლების ძუშაობით გ. ლეონიძემ დაამტკიცა, რომ იგი თვალსაჩინო შესაძლებლობის ძქონე, საინტერესო პოეტია. უკანასკნელ ხანებში მან გამოაქვეყნა მთელი რიგი ლექსები, უეჭველად შეუჩერებელი ზრდის მაუწყებელი. გ. ლეონიძის პოეტური შესაძლებლობის სრული გაშლის ერთადერთი გზაა — ღრმა იდეურობა, აზრიანობა და აუცილებლად მხატვრული დამოუკიდებლობა, რაც არამც თუ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს ხალხურ შემოქმედების ორგანიულ ათვისებას.

ხალხური პოეზის სწორი გზა არ იყო არც ის, რასაც თავისი მუშაობის პირველ პერიოდში დაადგა მწერალთა ის ჯგუფი, რომლის მთავარი გამოძარებული იყო პოეტი სიმონ ჩიქოვანი. ის ესპერიმენტები, რომელთაც დღეს პოეტი „ორკესტრულ ლექსალობას“ უწოდებს, არაფრით არ არიან დაკავშირებულნი ხალხურ შემოქმედებასთან. ისინი არც წარსულის იმ პოეტების ნაწარმოებიდან გამომდინარეობენ, რომელიც ყოველთვის ხალხურ შემოქმედებასთან ახლოს იდგნენ ეს როგორც სჩანს ს. ჩიქოვანს დღემდე ნათლად წარმოდგენილი არა აქვს.

თავის ლექსების რუსულად ნათარგმნ წიგნის (1935 წ.) წინასიტყვაობაში იგი სწერს:

„იმისათვის, რომ დაუცილებოდი რუსული სიმბოლიზმის წამბაძველობას, მე ნაწილობრივ გადავიხარე ხალხური პოეზიისაკენ, მივუბრუნდი სიტყვის იმ გაგებას, რომელიც ახასიათებდა მე-18 საუკუნის ქართველ პოეტს ბესიკ გაბაშვილს. იმ პერიოდის ჩემ ლექსებს „ხაბო“-ს და „ქარბორი“-ს კრიტიკოსები აღარებდნენ ხლებნიკოვისა და სხვა ფუტურისტების ნაწარმოებთ, მაგრამ ეს შემცდარი შედარება იყო. ორივე ეს ლექსი გაცილებით უფრო ახლოს არის იმ სიტყვიერი მასალის პოეტურ გაგებასთან, რომელიც არის ბესიკის ლექსებში „ტანო-ტატანო“ და „შავნი შაშვნი“. მათში არც ხლებნიკოვის სიტყვათაჭმნაღობაა და არც კამენსკის პოეზიის ზაუმური ამლერება“.

(ს. ჩიქოვანი. „ლექსები“. 1935 წ. „გოსლიტიზდატი“, გვ. 8).

ეს დებულებანი თავიდან ბოლომდე შემცდარია. სიმ. ჩიქოვანის პირველი პერიოდის ზაუმური ლექსები არც ხალხური პოეზიისაკენ გადახრა იყო და ბესიკის პოეზიისაგანაც შორს იდგა. ნათელყოთ ეს უშუალო დაპირისპირებით. ავიღოთ ის ლექსები, რომელთაც თვითონ ს. ჩიქოვანი ასახელებს.

აი — „ქარბორია“:

„ფაფარი, ფუნჯირი, ფანდური, ორველი ცხენების,  
გაფრინდი, მერანო,

მერგილი შორიდან მინდორს და ნალიებს!  
გქნდეს, ულაყო, ფეხბურთში სიმაგრე, დამჭედის ცხონება —  
ადრინდე გაფრინდი, გაშორდი რიერაჟს და გზას მოინანიებ,  
ნატორი, ნადირი ტიროზე მან მტვერი ტირიფი ადინა,  
გაქცეულს ცაბორი, მოვარდნილს ცაბორით

ცაბორით და მორიო!

მივარდნილს ქარბუქი, ცხერის ჯოგებს უკოუროთ მოდენილს,  
გარიურაჟს სიმღერა, ლარიბი შორს და ქარბორიას“.

და ა. შ.

ან კიდევ „ხაბო“:

„მეკობრების ხიფათს აბრუებს ხაბო,  
ხარბი აბრეშუმის ხორაგი ხაბო,  
როგო ხრეში ხარდინგი ხაბო,  
ბობოლი ბეგო თფოფი ხაბო,  
ლარია ლარია კლდეებს ციცაბოს,  
ობობაც ლრუმე ლრუბელი ორმო,  
ბირთვის და ბურთი ბეგობი ზურგი,  
როყო ხუნაგი ხარიბა კუზი,  
ბუნაგი ბაბრის კოვზი საგუბე,  
ქოლგა ქოგგალე  
ბუნდობის ქუბა...“ და ა. შ.

(ს. ჩიქოვანი. „ლექსები“, გამ. 1934 წ., გვ. 324).

რა აქვს საერთო ამ „ბუნდოას“ ნათელ ხალხურ პოეზიასთან? არათერი. ეს არის სიტყვისა და აზრის სიკვდილის „პოეზია“. ეს გამომდინარეობს არა იმდენად ხელბინკოვისაგან, რამდენადაც ზაუმნიკ კრუჩინიხის დეკადენტურ პრაქტიკისაგან. იქ სადაც სიტყვა იმგვარად იშლება. როდესაც უაზრო ჯამბაზობად იქცევა, იქ კვდება პოეზია, ხელოვნება. მკვდარი სიტყვების, უაზრო გამოთქმების უსარგებლო შეკრწიწებას ხალხის შემოქმედების ცხოველმყოფელობასთან არათერი აქვს საერთო. ამათა ამ უსარგებლო და არაპოეტური საქმიანობის გასამართლებლად ამა თუ იმ კლასიკოსის უყრით მოთრევა. ბესიკის პოეტურ შედევრებში, რომელთაც ს. ჩიქოვანი სრულებით უსაფუძვლოდ, ხელოვნურად ინათესავებს, არის სიტყვის ვირტუოზული დაფლობა. მათში გამოყენებულია ხალხური ენის მთელი სიმდიდრე. მრავალგვეროვანება; სიმღერა, უმაღლესი მუსიკა არა კლავს პოეზიას. პირიქით. როგორი მუსიკა, აზრი, ულრმესი პოეტური სახეები, შესანიშნავი ქართული სიტყვებია მხატვრულ მთლიანობაში შედუღებული ბესიკის შედევრებში და საერთოდ როგორი წარმტაცი ლირიული სიმფონიაა. მოცემული:

„ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო!  
 ზილფო-კავებო, მომკლავებო, ვერ საკარებო!  
 წარბ-წამწამთვალნო, მისათვალნო, შემაზარებო!  
 ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგუო, სულთ წამარებო!  
 პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო!

თვალთა ნარგისი, დამდაგისი, შეგშვენის მწველად,  
 ველსა ბროლებსა, უტოლებსა, გველი გყვა მცველად“.

ან და:

„შავნი შაშვნი, შავს გალიას შემსხდარნი,  
 სუფთად მხმობნი, ყმა-ყარიბად, მსტვინავნი,  
 მრჩობლად მშეღნი, მით ერთითა პირითა  
 მათებურად სალ გულთ ამატკინავნი“.

ოდნავი დაფიქრებაც კი არ არის საჭირო, რომ ითქვას: „ქარბორიასა“ და „ხაბოს“ და პოეზიის ამ თვალმარგალიტებში სხვადასხვა სიცოცხლეა, სულ სხვადასხვა ხაზია. უკეთ: მეორეში სიცოცხლე სჩექს, პოეტური სიტყვა ბატონობს, პირველში კი სიტყვა მკვდარია, სიცოცხლე მოჩენებითია და არა: არის იგი. ცხადია, რომ მთ შორის კავშირი არ არსებობს. ს. ჩიქოვანის ზაუმში ფორმალიზმი უკიდურეს წერტილამდეა ასული. ფორმალიზმის ამ ძკვდარ ნიმუშებს ვერავითარი ხელოვნური თეორიები ვერ ჩაბერავენ სიცოცხლეს. ზედმეტია პოეტის მიერ მათი ნაგვანენები გამართლების ცდაც. სანუგეშო მხოლოდ ის არის, რომ ამ ცდას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან სიშ. ჩიქოვანმა დღეს უკვე თავის შემოქმედებითი პრაქტიკით ძირითადში დასძლია ფორმალიზმი. იგი სოციალისტურ რეალიზმის ცხოველშეყოფელ გზაზე დადგა, გაიგო სისადავის, აზრისა და კლასიკოსების ნათელი მხატვრული სულის გადამწყვეტი ძალა. მისი ლექსი უფრო დაიხვეწა, ბუნდოვანობას შეებრძოლა, და ხალხური პოეზიის წყაროებისაკენაც სწორი გზით გაეშურა. ცხადია, შაჟ ჯერ კიდევ დასაძლევი აქვს ფორმალიზმის ცალკეული ტენდენციები, მეტობრძოლა სჭირდება ბუნდოვანობის საბოლოოდ გასაღევნად, მაგრამ მთავარი ის არის, რომ იგი სწორე გზაზე დგას და ამოცანას ლირსეულად შეასრულებს.

რედაქტორი — დავით დევეტრაშვ.

გდივანი — ალ. არაშელი.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ქორესის ქ. № 5,

შეკვ. 627.

მთავ. № 16705.

ტირ. 2200